ენერგოკრიზისზე პასუხისმგებლობის აღება დღევანდელ ხელისუფლებას მოუწევს A4

ვარდების რევოლუცია და ასი ათასი თავგანწირული ქართველი A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილი B6-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 29 დეკემბერი, 2003 წელი. №335 (547)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## ზურაბ ადეიშვილი საქმიანობას შეუდგა

საახალწლოდ ზურაბ ადეიშვილს, იუსტიციის მინისტრობის გარდა, კიდევ ერთი "თანამდებობა" შესთავაზეს - თოვლის ბაბუის. ოღონდ, თუ პირველი პოსტი ყოფილმა დეპუტატმა მეტ-ნაკლებად კარგად შეიფერა, თოვლის ბაბუის საპატიო წოდება მან მოწიწებით სხვას დაუთმო.

A2

### ეკონომიკა

## დღევანდელ მთავრობას აწევს განუხორციელებელი რეფორმების მძიმე ტვირთი

რატომ მოხდა ისე, რომ დღეისათვის ჩვენ მივიღეთ მოშლილი ეკონომიკური სისტემა როგორც საფინანსო, ისე ეკონომიკის რეალურ სექტორში?

A4

### უცხოეთი

## კომუნისტებს არჩევნებზე ახალი სახე გაუძღვება

შაბათს რუსეთის კომუნისტური პარტიის პლენუმზე გადაწყდა, რომ პოსტსაბჭოურ ხანაში რუსი კომუნისტების სტაჟიანი საპრეზიდენტო კანდიდატი გენადი ზიუგანოვი 14 მარტს დანიშნულ არჩევნებში კენჭს არ იყრის.

A5

### საზოგადოება

## ყალბ პასპორტებს პოლიციელებიც ყიდულობდნენ

სახალხო დამცველის ოფისში ჩატარდა არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონული სამუშაო კონფერენცია თემაზე: "საქართველოში ტრეფიკინგის პრობლემა და მასთან ბრძოლის გზები".

A6

### სამართალი

## საახალწლო ფეიერვერკი კონტრაბანდისტთა სავალ გზებზე

შიდა ქართლის გუბერნატორის ინიციატივით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, "საახალწლო ფეიერვერკი" გაიმართა – ირაკლი ოქრუაშვილის მოთხოვნით, უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა კონტრაბანდისტთა სავალი გზები ტროტილით ააფეთქეს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | |
| ქუთაისი | 12 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 7 | |
| ახმეტა | 7 | |
| ჭიათურა | 9 | |
| გაგრა | 11 | |
| სამტრედია | 13 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0500 |
| ევრო | 2.5525 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6338 |
| რუბლი | 0.0701 |

# "ჩვენ შევქმნით უკრაინულ ვარიანტს!"

ვასილი ზორია
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*გასულ კვირას უკრაინაში განვითარებული მოვლენები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. სიტუაცია ძალზე ჰგავდა ქართულ პარლამენტში სულ რამდენიმე თვის წინ არსებულ ვითარებას. გავრცელებული ინფორმაციით, გასულ კვირას "ვერხოვნაია რადამ" პრეზიდენტის არჩევის უფლება (2006 წლის შემდეგ) პარლამენტს გადაულოცა და ამის შეჩერება უკრაინულმა ოპოზიციამ ვერ შეძლო. გთავაზობთ უკრაინული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან, ბლოკ "ნაშა უკრაინას" ხელმძღვანელ ვიქტორ იუშჩენკოსთან ინტერვიუს. ეს გახლავთ პოლიტიკოსი, რომელიც სოციოლოგიურ გამოკვლევებში ბოლო პერიოდში უცვლელად პირველ ადგილზეა და პოპულარობის მაჩვენებლით თითქმის ორჯერ უსწრებს მეორე ადგილზე გასულ კონკურენტს - პიოტრ სიმონენკოს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ვიქტორ იუშენკო: "ოპოზიციის დამარცხებაზე საუბარინაადრევია, ბრძოლა ახლა იწყება".*

# რევოლუციური ნაძვის ხის "ეკლიანი მოსართავები"

*დამდეგ 2004 წელს საქართველოს მოსახლეობა გაორებული გრძნობით ხვდება. ერთი მხრივ, საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ზედმეტი ოპტიმიზმით თავის მოტყუება საჭირო არ არის, რადგან "მაიმუნის წელიწადში" კვლავ მოუგვარებელი დარჩება უამრავი პრობლემა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობიდან დაწყებული და სოციალ-ეკონომიკური კრიზისით დამთავრებული. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ამ პრობლემებთან შესაჭიდებლად, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ისეთი პოლიტიკური ნება და მუხტი არსებობს, როგორიც აქამდე არასდროს ყოფილა. საზოგადოების თითქმის ერთსულოვანი მხარდაჭერა - ეს ისეთი ბერკეტია, რომლის გონივრულად გამოყენებაც 4 იანვრის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ძალას პრობლემებთან ჭიდილს საგრძნობლად გაუადვილებს.*

გიორგი ასანიშვილი

თუმცა, ვიდრე სტრატეგიული ამოცანების დაძლევას შეუდგება, რევოლუციურ ხელისუფლებას ჯერ ერთი "ტექნიკური საკითხი" ექნება მოსაგვარებელი. ეს არის აჭარის დღევანდელი ლიდერის "მოთვინიერება".

მართლაც, ავტონომიურ რესპუბლიკაში ასლან აბაშიძის მიერ დანერგილი მმართველობის სტილი არანაირად არ შეესაბამება პოსტრევოლუციური საქართველოს პოლიტიკურ ორიენტირებს. ამიტომ, ვიდრე აბაშიძე რეგიონულ ლიდერად რჩება, ცენტრალურ ხელისუფლებას, რეფორმების განხორციელების გზაზე, ყოველთვის ექნება სერიოზული წინაღობა. მით უმეტეს, ვინაიდან აჭარის ხელმძღვანელი ბუნებით კონსერვატორია, თითქმის არ არსებობს შანსი, რომ იგი დროის მოთხოვნებს მხარს აუბამს და ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოკრატიულ გარდაქმნებს განახორციელებს.

ასევე გამორიცხულია აჭარაში "რევოლუციის ექსპორტი" - თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ასლან აბაშიძე ყველაფერზე წამსვლელია, მათ შორის, ცენტრთან შეიარაღებულ დაპირისპირებაზე. ეს კი ახალი ხელისუფლების სახელმწიფოებრივი მშენებლობის გეგმებში ნამდვილად არ უნდა შედიოდეს.

ახლა იმის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, რომ დრო ნამდვილად არ ასხამს წყალს ასლან აბაშიძის წისქვილზე. დავანებოთ თავი იმას, რომ 23 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, მისეული მმართველობის სტილი საქართველოში უკვე ანომალიად იქცა. გარდა ამისა, როგორი პოზიციაც არ უნდა დაიკავოს მან 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მაინც წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება: თუ აჭარის ტერიტორიაზე საარჩევნო უბნების გახსნაზე უარს იტყვის, ქართული საზოგადოებისა და საერთაშორისო წრეების თვალში აბაშიძე კანონდამრღვევად წარმოჩინდება, მეორე მხრივ კი, საარჩევნო ყუთებთან აჭარის მოსახლეობის მიშვება მათში დემოკრატიზაციის გაღრმავების სურვილს წარმოშობს და ამავე დროს, დაადასტურებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასურველია არა ასლან აბაშიძის, არამედ მიხეილ სააკაშვილის ტიპის მმართველი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ფოტომესიჯი მთელ საქართველოს




*რევოლუციურ დღეთა მოგონება.*

## ცესკო-ს თავმჯდომარე ბათუმში მიემგზავრება

დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი ბათუმში მიემგზავრება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მასთან ერთად ბათუმში ჩავლენ ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებიც. სავარაუდოდ, თბილისიდან ჩასულებს აჭარის ავტონომიის ლიდერი ასლან აბაშიძე მიიღებს. ოფიციალური ვერსიით, ზურაბ ჭიაბერაშვილის ბათუმში ჩასვლის მიზანს ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების გამართვა წარმოადგენს.

ბუნებრივია, ეს შეხვედრები დახურულ კარს მიღმა გაიმართება. თუმცა, ამის მიუხედავად, ხვალ მთავარი საკითხი მაინც გაირკვევა და უკვე ოფიციალურად გამოცხადდება, გაიხსნება თუ არა აჭარის ტერიტორიაზე ოთხ იანვარს საარჩევნო უბნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, თუ აჭარაში ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია ვერ ჩატარდება, საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონში ცვლილებები დამატებით სიებთან დაკავშირებით.

იგი, ამავე დროს, იმედს გამოთქვამს, რომ **"აჭარის მოსახლეობას ექნება საშუალება განახორციელოს საკუთარი კონსტიტუციური უფლება და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს".**

იმის გამო, რომ წინასწარი რეგისტრაციის პროცესი უკვე დასრულებულია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არსებობს არანაირი მონაცემები აჭარაში მცხოვრებ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თაობაზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ქართველი ქალი ტრეფიკინგისთვის დააპატიმრეს

*გეოგრაფიული მდებარეობის და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, საქართველო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის კიდევ დიდხანს იქნება ტრეფიკინგის წყარო. მიუხედავად არაოფიციალურად გავრცელებული მოსაზრებისა, საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ, ამ მხრივ დანაშაულის გამოვლინება არც ისე დიდია. სამართალდამცველები თავს იმართლებენ, ტრეფიკინგი ჯგუფური დანაშაულია, დაზარალებულები ჩვენამდე არ მოდიან და, აქედან გამომდინარე, მისი გამოვლენაც დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებულიო.*

თამარ კაციტაძე

ამ მხრივ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პროკურატურაში აღძრული საქმე ნამდვილად გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან ტრეფიკინგის მსხვერპლმა ორმა ქალბატონმა თავად მიმართა სამართალდამცველ ორგანოებს და ადამიანებით მოვაჭრეც დაასახელეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

## რკინიგზის გენერალური დირექტორის დანიშვნა ჭიანურდება

### სახელმწიფო მინისტრი სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდის

*დღეს, წესით, სახელმწიფო წილების მართვის სააგენტოს შპს "საქართველოს რკინიგზის" ახალი გენერალური დირექტორი უნდა დაემტკიცებინა. შეგახსენებთ, რომ შაბათს შპს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭომ საწარმოს გენერალურ დირექტორად გიორგი ლეჟავა აირჩია. თუმცა, გუშინ საბჭოს გადაწყვეტილებას სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას საკმაოდ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა.*

თამარ ივანიძე

**"მართალია, გუშინ ბაქოში ვიყავი, მაგრამ ბაქოდან დაბრუნების შემდეგ, ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს რკინიგზის დეპარტამენტში განვითარებულ მოვლენებს. ამ პროცედურებთან დაკავშირებით, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება და სანამ ეს კითხვის ნიშნები მოხსნილი არ იქნება, მანამ საქართველოს ხელისუფლება ამ პოსტზე ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას არ დაუშვებს. ჩვენ პროცესებს თვითდინებაზე არ მივუშვებთ. მე თუ არ მექნება სრული გარანტია, რომ ახალი დირექტორი ყოველგვარი კომერციული ინტერესებისგან თავისუფალი იქნება, და გაატარებს სახელმწიფო პოლიტიკას და არა კერძო ჯგუფის ინტერესებს, ისე ახალი ხელმძღვანელი არ დაინიშნება. მე დამჭირდება ერთი-ორი დღე, რათა ბოლომდე გავერკვიო სიტუაციაში. ქონების მართვის სააგენტო მთავრობისთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს,"** - განაცხადა ბაქოდან დაბრუნებულმა ზურაბ ჟვანიამ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საპარლამენტო არჩევნები სერბიაში

გუშინ სერბეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ამომრჩეველს ორი ალტერნატივა ჰქონდა: აღმავლობის გზაზე მდგარი ულტრანაციონალისტები, რომელთაც ჰააგის ციხეში მყოფი სამხედრო დამნაშავე ხელმძღვანელობს და რეფორმატორები, რომლებმაც, მას შემდეგ, რაც მილოშევიჩი დაამხეს, ერთმანეთს დაუწყეს ბრძოლა.

საარჩევნო უბნები დილის შვიდ საათზე გაიხსნა და საღამოს რვაზე დაიხურა. შედეგები დღეს უნდა გახდეს ცნობილი.

რადიკალური პარტია, სავარაუდოდ, ხმების ერთ მეოთხედს მიიღებს. მისი ლიდერია ულტრანაციონალისტი ვოისლავ შეშელი, რომელიც 90-იან წლებში ბალკანეთის ომებში ჩადენილი დანაშაულებებისათვის იხდის სასჯელს. 25 პროცენტით, ეს პარტია პარლამენტში ყველაზე მეტ მანდატს მიიღებს.

პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვს სლობოდან მილოშევიჩსაც. გამოკითხვების თანახმად, სოციალისტური პარტია უპრობლემოდ გადალახავს ხუთპროცენტიან ბარიერს. მილოშევიჩი კი პარტიის პირველი ნომერია.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოსტა

B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

# „ჩვენთვის მთავარია არჩევნების ნორმალურად ჩატარება"

### საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის გამოსვლა ქუთაისის მერიაში

მოგესალმებით ყველას კიდევ ერთხელ!

ძალიან კარგად ვიცი ქუთაისის პრობლემები და ისიც, რომ ეს პრობლემები, პრაქტიკულად, მთელი საქართველოსთვის ერთია - უშუქობა, უწყლობა, უგზოობა და ბევრი სხვა რამ.

ცხადია, დღეს თითოეული ჩვენგანი არჩევნებზე საუბრობს. ორი აზრი არ არის, თუ ქვეყანაში არჩევნები არ ჩატარდა, ვერ ჩავდგებით ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში და პოლიტიკური არეულობა არ მოგვცემს ჩვენი პრობლემების მოგვარების საშუალებას.

ამიტომ მინდა, ყველას მოგმართოთ და გთხოვოთ, რომ ხალხს არჩევნებზე მოსვლის საშაულება მივცეთ. როგორც მიმდინარე რეგისტრაციამ გამოავლინა, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი და აქტივობა იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა. არა მარტო ჩემი, არამედ მიხეილ სააკაშვილის თხოვნაც არის, რომ ყველამ, გამგებელი იქნება ეს თუ საკრებულოს თავმჯდომარე, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადამიანებს კვლავ შეურაცხყოფა არ მივაყენოთ.

ჩვენთვის მთავარია არჩევნების ნორმალურად ჩატარება.

საერთაშორისო თანამეგობრობა ისე გვაკვირდება, რომ არანაირი გაყალბება არ უნდა დავუშვათ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად. ჩემი და ჩემი თანამოაზრეების, პრეზიდენტობის კანდიდატის აზრია, უმკაცრესად დაისაჯოს გაყალბების ნებისმიერი მცდელობა. ჩვენ დარწმუნებულები ვართ ჩვენს გამარჯვებაში და არ გვჭირდება არანაირი გაყალბება. ასევე, დარწმუნებულები ვიყავით წინა არჩევნების დროსაც და, რომ არ გაეყალბებინათ, გამარჯვება გარდაუვალი იყო.

მოხარული ვარ, რომ ახალ გუბერნატორს აქვს ძალიან კონკრეტული პროგრამები და გეგმები, რომლის განხორციელებასაც ის აპირებს ახლებური ფორმატით. დარწმუნებული ვარ მის წარმატებაში.

დღევანდელ შეხვედრას ესწრებიან საკრებულოს თავმჯდომარეები, წევრები, სასამართლო ხელისუფლება, გამგებლები, მაჟორიტარი დეპუტატები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყალიბდება თანამშრომლობის ახალი ტიპი.

კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო.

კარგად ვიცი, რა მდგომარეობა იყო, კონკრეტულად, ქუთაისში - დაბნელების შემდეგ ხალხს ქუჩაში გამოსვლის კი არა, სახლში ყოფნისაც ეშინოდა. იყო დაყაჩაღების უამრავი შემთხვევა.

სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც აწიოკებს ოჯახებს, ქუთაისს, ახლომახლო სოფლებს და, მე მგონი, უკვე ჩანს ამის ნიშნები.

ტერორისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ, როგორც კი დავიწყეთ გარკვეული დამსჯელობითი სამართლებრივი მანქანის ამოქმედება, იმ წუთში გაჩნდა წარწერები, რომ 1937 წელია.

ღმერთმა დაგვიფაროს 1937 წლისაგან და რამენაირი პოლიტიკური შეკვეთისაგან, მაგრამ გარწმუნებთ, პირველი მე ვიქნები და უმკაცრეს ზომებს მივიღებ, თუ დავინახავ, რომ პოლიტიკური დევნა ხორციელდება და რაღაც გადაწყვეტილება პოლიტიკური მოსაზრებით არის მიღებული.

ჩვენ შორიდან ვერ ვუყურებთ დამნაშავეთა სამყაროს და ამ საქმეში ძალიან დიდი იმედი მაქვს ბატონ ზურაბ ჩიკვაიძის.

რახან დასჯაზე ჩამოვარდა საუბარი, გეტყვით, რომ არ იქნება იმ ადამიანების დაზოგვა, ვისი დაუდევრობისა თუ უსინდისობის გამო სიმწრით დაგროვებული პენსია ხალხამდე ვერ მივა. იმ ხალხს, ვინც პენსიონერების ფულს, ვითომ, ტექნიკური მიზეზის გამო დაატრიალებს და საკუთარ ჯიბეში ჩაიდებს, არ ეპატიება!

არც ერთი თეთრი არ უნდა დარჩეს სადღაც გაჩხერილი, იმის გამო, რომ იქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. არ მესმის, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ ცელოფნის პარკებით ვატაროთ თანხები, მაშინ, როდესაც ბანკი არსებობს. ბიუჯეტისთვისაც მისაღებია, რომ ბანკის მეშვეობოთ ხორციელდებოდეს ანგარიშსწორება. ის, რომ ვიღაცას ხელს არ აძლევს ბანკის მეშვეობით გატარდეს ასიათასობით თანხა, იმას ნიშნავს, რომ მის უკან ძალიან სერიოზული ინტერესი დგას.

ამის თაობაზე ხმამაღლა უნდა ითქვას!

ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს ქუთაისს, ჩემთვის სადარდებელი გახლავთ, არა მხოლოდ როგორც ამ ქალაქის მკვიდრისთვის და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისათვის, არამედ როგორც მომავალი მაჟორიტარი დეპუტატისთვისაც.

მე ვთხოვე ყველას, რომ ჩართულიყვნენ ქალაქის გზების უზრუნველყოფის საკითხში. არსებობს ამ პრობლემების მოგვარების გზები, იგივე მსოფლიო ბანკის პროგრამებში მონაწილეობით. რაც მე ქუთაისში გზები ვნახე, ამას გზა არ ჰქვია.

მიკვირს, როგორ არ დაგვიშინა ხალხმა ქვა, რომელსაც არა აქვს შუქი, წყალი (გათბობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია) და მუხლამდე ტალახშიც დადის. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია!

ამას ახლა ამ ზამთარს არაფერი ეშველება, თუმცა გუბერნატორსაც და ქალაქის მერსაც უნდა ვთხოვო, რომ იქნებ ხრეში მაინც დაყარონ გზებზე.
არა მგონია, ეს კატასტროფულ თანხებთან იყოს დაკავშირებული.

რაც შეეხება შუქს, მე მოსკოვში სპეციალური მოლაპარაკებები მქონდა - შევხვდი რუსეთის ბიზნესის ათ ყველაზე ძლიერ წარმომადგენელს, მათ შორის იყო ჩუბაისი და რაპაპორტი, რომლებიც სპეციალურად მოვიდნენ. მათი მხრიდან იყო შეპირება, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა საქართველოს ამ ზამთარს ელექტროენერგიის პრობლემა არ ჰქონდეს; მაგრამ, ყველაფერს ისინი ვერ მოაგვარებენ.

როგორ შეიძლება საჩხერე იხდიდეს ასი პროცენტით და არ ჰქონდეს ელექტროენერგია? როგორ შეიძლება ვერ მოვახერხოთ ის, რომ, ელემენტარულად, გრაფიკით მივცეთ ქუთაისს დენი? ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ თუ ორსაათიანი გრაფიკია, ამას მაინც ნუ დავარღვევთ. მინდა, გთხოვოთ, რომ უახლოეს დღეებში გრაფიკით მიწოდების საკითხი იყოს კატეგორიულად გადაწყვეტილი.

ასევე, უნდა შევძლოთ წყლის გრაფიკით მიწოდება. მინდა, ქუთაისლებმა იცოდნენ, რომ, დავით მუმლაძის თხოვნით, შევხვდი სლოვაკ ბიზნესმენებს, რომელთაც აქვთ ძალიან სერიოზული პროექტი ქუთაისში წყალმომარაგების რეაბილიტაციის და გაუმჯობესების თვალსაზრისით. მე ძალიან კარგად მესმის, რამხელა პასუხიმგებლობა ავიღე, როდესაც ქუთაისს შევპირდი, რომ წყლის მომარაგების პრობლემას მოვაწესრიგებდი; პირადად ჩემი თხოვნა იყო მათდამი, რომ პროექტი მაქსიმალურად სწრაფად მოემზადებინათ.

ცხადია, ეს ერთ-ორ თვეში ვერ გაკეთდება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა ძალიან მალე უნდა გადაწყდეს.

გაჩნდა ისეთი იდეაც, რომ საავტომობილო ქარხნით დაინტერესდეს ერთ-ერთი ძალიან სერიოზული რუსული კონცერნი, რომელიც ნახევრად რუსულია და რომლის პაკეტების ნახევარი "ვოლვოს" საავტომობილო ინდუსტრიას აქვს.

ინტერესი ძალიან დიდია და მე არ გამოვრიცხავ, რომ საახალწლო დღესასწაულების შემდეგ ჩამოვიდეს გარკვეული ჯგუფი, რომელიც დაინტერესდება საავტომობილო ქარხნის შესაძლებლობებით და გარკვეული პროექტი შეიძლება ამასთან დაკავშირებით დაიდოს.

მე არ მინდა ვთქვა, რომ ეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ, თავისთავად, ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი პროექტი განხორციელდეს, ნამდვილად არსებობს!

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც თავის საქმეს ახორციელებს კეთილსინდისიერად და რომელსაც უყვარს თავისი საქმე, თავისი ქალაქი და, პირველ რიგში, თავის ხალხზე ფიქრობს და მერე საკუთარ თავზე, ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება. პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით, გარწმუნებთ, არავინ შეირჩევა.

თქვენც, ალბათ, თვალყურს ადევნებდით, რა ხდებოდა ჩემი მაასტრიხტში, რუსეთში ყოფნის დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნისთვის ახალი შესაძლებლობები გამოჩნდა.

ხედავთ, როგორი დახმარება და ყურადღებაა აშშ-ს მხრიდან და ახლა თუ ეს ვერ გამოვიყენეთ, გარწმუნებთ, უახლოესი ორმოცდაათი წელი ჩვენ ასეთი შანსი აღარ მოგვეცემა.

ამიტომ მოგვიწევს მკაცრი ზომების გატარება და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ თქვენი მხრიდან იქნება სრული მხარდაჭერა და მაქსიმალური მცდელობა, რომ მოსახლეობას ელემენტარული პრობლემები მაინც გადაუწყდეს.

მინდა, თითოეულ თქვენგანს დიდი წარმატებები გისურვოთ. მინდა, მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი და გთხოვოთ, რომ ის კონკრეტული საკითხები, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, კატეგორიულად იქნეს შესრულებული!


**საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე**

2003 წლის 31 დეკემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 25.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 19 მაისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2003 წლის 31 დეკემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**


# ზურაბ ადეიშვილი საქმიანობას შეუდგა

ლელა მჭედლიძე

საახალწლოდ ზურაბ ადეიშვილს, იუსტიციის მინისტრობის გარდა, კიდევ ერთი "თანამდებობა" შესთავაზეს - თოვლის ბაბუის. ოღონდ, თუ პირველი პოსტი ყოფილმა დეპუტატმა მეტ-ნაკლებად კარგად შეიფერა, თოვლის ბაბუის საპატიო წოდება მან მოწიწებით სხვას დაუთმო, **"რა ვქნა, პირადად მე თოვლის ბაბუაზე უკეთესი წარმოდგენის ვარო"**.

მეორე "თანამდებობა" "ნაციონალური მოძრაობის" წევრ ადეიშვილს სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ სპონტანურად "მოუხერხა", როცა იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს გუშინ ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა. თავად ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ზურაბ ადეიშვილს დიდად წარდგენა არც სჭირდება, რადგან იგი **"ჩვენთვის საამაყო, ევროპისთვის კი - სანიმუშო საკანონმდებლო აქტების ერთ-ერთი ავტორია"**. უფრო ზუსტად, ადეიშვილი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი შემოქმედია. თავისი წვლილი აქვს შეტანილი ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შექმნაშიც... ზურაბ ჟვანია პარლამენტში ადეიშვილთან თანამშრომლობის პერიოდს სიამოვნებით იხსენებს. სახელმწიფო მინისტრი ადეიშვილს, სხვა თვისებებთან ერთად, **"განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანების მოსმენისა და ოპტიმალური გამოსავლის მოძებნის უნარსაც"** უწონებს. ახალ მინისტრს ახლა რთული მისია აკისრია - ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოების გარდა, სამართლებრივ და ძალოვან სტრუქტურებში კომპლექსური რეფორმების გატარება. გარდა ამისა, რაც მთავარია, რეფორმა პენიტენციალურ სფეროში, რომლის "გაუმართაობას" და პატიმრების მასობრივ გაქცევას ზედიზედ რამდენიმე მინისტრის სავარძელი ემსხვერპლა. სახელმწიფო მინისტრმა არ იცის, თუ კონკრეტულად რა თანხით დაეხმარება ამ რეფორმების ჩასატარებლად იუატიციის სამინისტროს.



ზურაბ ჟვანია: "ზურაბ ადეიშვილი ჩვენთვის საამაყო, ევროპისთვის კი - სანიმუშო საკანონმდებლო აქტების ერთ-ერთი ავტორია".

თავად ადეიშვილს, რომელსაც რეფორმების გარკვეული მონახაზი უკვე აქვს, მომავალში უცხოელების ფინანსური დახმარების იმედი აქვს. იუსტიციის სამინისტროს კოლექტივი გუშინ ახალ ხელმძღვანელს დაჰპირდა, რომ რეფორმების გასატარებლად მაქსიმალურ თანადგომას გაუწევდა და პრობლემას არც საკადრო ცვლილებების თვალსაზრისით შეუქმნიდა. იუსტიციის მინისტრის მოადგილეებმა ადეიშვილს გადადგომის შესახებ განცხადებები დაახვედრეს. მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილებები ახალმა მინისტრმა სამ-ოთხ დღეში უნდა მიიღოს. როგორც თავად აცხადებს, თანამშრომლების მნიშვნელოვნად შემცირება მას არ სურს, თუმცა, გადაწყვეტილებას თითოეულ თანამშრომელთან დაკავშირებით მისი პროფესიონალიზმის დონის შესაბამისად მიიღებს. როგორც ამბობენ, როლანდ გილიგაშვილის მიერ სამინისტროდან წასვლის შემდეგ, ადეიშვილის "მემკვიდრეობით" მიღებული ოთხი მოადგილიდან, თანამდებობის დაკარგვის საშიშროება მხოლოდ ერთს ემუქრება.

# ცესკო-ს თავმჯდომარე ბათუმში მიემგზავრება

პირველი გვერდიდან

ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია არ გაითვალისწინებს დღემდე არსებულ ციფრებს (შეგახსენებთ, რომ ორი ნოემბრის არჩევნებში, ოფიციალურად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 286 ათასი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული).

აქედან გამომდინარე, ოთხი იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აჭარის ამომრჩეველთა რაოდენობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენი ამომრჩეველი მიაკითხავს კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებს.

ამავე დროს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარჩევნო უბნების გახსნის შემთხვევაში, თითოეულ უბანზე კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამკვირვებლები გააკონტროლებენ. თანაც, ზურაბ ჭიაბერაშვილი ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში საკუთარ წარმომადგენელს მიავლენს, რომელსაც სპეციალური კომისრის სტატუსი ექნება.

რაც შეეხება წინასწარი რეგისტრაციის საერთო მონაცემებს: როგორც "24 საათს" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განუცხადეს, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წინასწარი რეგისტრაცია მილიონ 739 ათას 324-მა ამომრჩეველმა გაიარა. სამ იანვრამდე ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, გადაამოწმოს საკუთარი თავი საარჩევნო სიებში.

ამავე დროს, ცენტრალური საარჩევნო კომისია უახლოეს სხდომაზე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა იმ ნაწილის კონსტიტუციური უფლების დაცვის უზრუნველყოფაზე იმსჯელებს, ვინც წინასწარი რეგისტრაცია არ გაიარა.

*24 საათი*

# რევოლუციური ნაძვის ხის "ეკლიანი მოსართავები"

პირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის ასლან აბაშიძესთან ურთიერთობების გარკვევა უფრო "ტექნიკური" ხასიათის საკითხი იქნება.

რაც შეეხება სტრატეგიულ ამოცანას, იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური რეფორმების გატარებაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნებელობა არსებობს როგორც საზოგადოებაში, ისე თავად რევოლუციურ ხელისუფლებაში, გარდაქმნების განხორციელება მაინც არნახულად ძნელი იქნება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამას შესაბამისი მატერიალური და საკადრო რესურსი სჭირდება, რისი დეფიციტიც უკვე ახლავე იგრძნობა. მეორეც, რეფორმაცია, თავისთავად, მტკივნეული პროცესია, რომელიც საზოგადოების გარკვეულ წრეებში უკმაყოფილებას წარმოშობს. ამიტომ, რადგან ჩრდილი ნათელ მიზნებსაც ახლავს, საკითხავი იქნება, ეყოფა თუ არა ახალ ხელისუფლებას იმის გამბედაობა, რომ რეფორმების თანმხლებ გარდაუვალ სიძნელეებს არ შეუშინდეს და გარდაქმნები ბოლომდე მიიყვანოს.

არსებობს კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც საქართველოს მომავალ ხელისუფლებას შეიძლება დაემუქროს. "ვარდების რევოლუციამ" უკანა პოლიტიკურ პლანზე გადაისროლა იმ ხალხის დიდი ნაწილი, ვინც ოლიგარქებად და ფინანსურ მაგნატებად მოიაზრება. ფართო საზოგადოებაში მათ, მართალია, დასაყრდენი არ გააჩნიათ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი "ახალ" მდგომარეობას შეეგუებიან. მით უმეტეს, საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ პოლიტიკური აქციების დევალვაციასთან ერთად, ოლიგარქიულმა კლანებმა დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონებაც დაკარგონ. ამიტომ, ახალ ხელისუფლებასთან საბრძოლველად, ისინი ყველა დასაშვებ და დაუშვებელ ხერხს გამოიყენებენ. აქედან გამომდინარე, პოსტრევოლუციურ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ნამდვილი მტრები მათ არასოდეს "მიატოვებენ" და ვიდრე ისინი დიდებით არიან გაცისკროვნებულნი, მათ მტრებს უპირატესობა აქვთ - ჩრდილში უდარაჯებენ.

თვალშისაცემია ისიც, რომ პოტენციურად კონტრრევოლუციურ ძალებს მიმიკრიის საოცარი უნარი აღმოაჩნდა. ბევრი მათგანი გულმოდგინედ ცდილობს, ახალ ხელისუფლებას თავი მოაწონოს და რევოლუციური ტალღის ქიმზე აღმოჩნდეს, ზოგიერთები კი უკვე იმაზეც წუწუნებენ, რომ, თურმე, მეტროთი მგზავრობის ფულიც არა აქვთ... ალბათ, ამაზეა ნათქვამი, რომ იუდებმაც ისწავლეს ჯვრის ზიდვა.

და ბოლოს, ერთი საფრთხის შესახებაც, რომლის წინაშეც შეიძლება საზოგადოება აღმოჩნდეს. ცნობილია, რომ გაღმერთებული ადამიანები ადამიანურ თვისებებს კარგავენ. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დღეისთვის უზომოდ პოპულარულ რევოლუციონერ ლიდერებს დიდება "თავში არ აუვარდეთ" და იმათ არ დაემსგავსონ, ვინც თვითონ დაამხეს "ვარდებით". ამიტომ, როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ "სამეულის" შიგნით შეიძლება რაღაც უთანხმოებებია, ეს შესაძლოა, სულაც არ იყოს ცუდი. პირიქით, ჯანსაღი შიდაკონკურენცია, ალბათ უკეთესიცაა - სადაც არ არის ჭიდილი, იქ არც წინსვლაა. რევოლუციის ლიდერებს სულაც არ სჭირდებათ ერთმანეთისთვის გუნდრუკის კმევა. ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვა რევოლუციური საქმისთვის გაცილებით საშიშია, ვიდრე საქმის უკეთ კეთებაში ერთმანეთთან გაჯიბრება. ოღონდ, ამ შეჯიბრს ქვეყნის უკეთ მართვის სურვილი უნდა განაპირობებდეს და არა პირადი ამბიციები.

# გრანდიოზული ღონისძიება

ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს ხელისუფლება უშიშროების საბჭოზე, ახალ წელთან და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღებას ავალებს. გუშინ უშიშროების საბჭოზე უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრებს, ადმინისტრაციული პოლიციის უფროსებს მოუსმინეს. უშიშროების საბჭოს სტუმარი აღმოჩნდა ასევე სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი შეფი ზაზა შენგელია. მას, როგორც გარკვეული შოუ-ღონისძიებების ("მანა", "თბილისობა"..) ერთ-ერთ ავტორსა და ორგანიზატორს, ახალმა ხელისუფლებამ საახალწლო ღონისძიებების მომზადება და დადგმა ანდო. ზაზა შენგელიას განცხადებით, თბილისელებს მართლაც გრანდიოზული სანახაობა ელით. საამისოდ ფული არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ბიზნესმენების შემოწირულობიდან დაიხარჯება. ზუსტი თანხის დასახელებას შენგელია, დაახლოებით, ორ-სამ-დღეში აპირებს. ტელევიზიის ყოფილი შეფის თქმით, სანახაობის გრანდიოზულობის მიუხედავად, დიდი დანახარჯები ამ შემთხვევაში მოსალოდნელი მაინც არ არის, რადგან მუსიკოსების, მსახიობების უმეტესობამ ღონისძიებებში უსასყიდლოდ მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

*24 საათი*

## მოკლედ

### მიხეილ მაჭავარიანი: "ბურჯანაძე-დემოკრატების" და "ნაცმოძრაობის" ლიდერებს არჩევნების შემდეგაც სურთ ერთიანობის შენარჩუნება"

ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, "ბურჯანაძე-დემოკრატების" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელებს სურთ, რომ გაზაფხულზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნონ ერთიანობა.

მისი ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს მუშაობა "ბურჯანაძე-დემოკრატების" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციების "დასაახლოებლად" და ამ მიმართულებით, ბოლო სამი კვირის განმავლობაში წინგადადგმული ნაბიჯები სახეზეა.

მაჭავარიანის განცხადებით, ამ ორი ძალის მიერ დაგეგმილი რეფორმები "მტკივნეული იქნება ზოგი ჩინოვნიკის ჯიბისთვის", ზოგიერთები კი თანამდებობებს დაემშვიდობებიან. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

***თბილისი.*** "სოციალისტურ პარტიას" რამდენიმე ახალი წევრი შეემატება. "სოციალისტური პარტიის" ახალი სახეების ვინაობა საზოგადოებისათვის პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომის შემდეგ გახდება ცნობილი, რომელიც სასტუმრო "მეტეხში" 30 დეკემბერს გაიმართება. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

***თბილისი.*** თემურ ჟორჟოლიანი საქართველოს ახალ ხელისუფლებას "მონარქისტული პარტიის" ლია ზეწოლაში და დევნაში ადანაშაულებს. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

***თბილისი.*** საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე საქართველოში პოლიტიკურ არენაზე რამდენიმე დღეში დაბრუნდება. ეს განცხადება "მონარქისტულ-კონსერვატორული პარტიის" თავმჯდომარემ თემურ ჟორჟოლიანმა გააკეთა. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

***თბილისი.*** კოალიცია "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი" დღეს ოფიცერთა სახლში ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავს. როგორც კოალიციის გენერალურმა მდივანმა ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, გაკეთდება ოფიციალური განცხადებები 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კოალიციის პოზიციის თაობაზე. ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას აპირებს, - განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა. მისი თქმით, სახელმწიფო სათათბიროში შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გადაეგზავნა რუსეთის ხელმძღვანელობას და შესწავლის პროცესი მიმდინარეობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის შეიარაღებული ძალები პროფესიონალურ საწყისებზე, ეტაპობრივი რეფორმების გეგმით, 2007 წელს გადავა. ამის შესახებ განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმი მნიშვნელოვანწილად ემყარება ბათუმში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზას. ამიტომ, ბათუმიდან რუსეთის ბაზის გასვლის კვალდაკვალ, აბაშიძეს მოუწევს გააკეთოს არჩევანი, რომ მან კონკურენტუნარიან საარჩევნო გარემოში დაიცვას პოზიციები, მაგრამ თუ ავტონომიის მეთაურს ამის გაკეთება არ შეუძლია, ის "პენსიაზე უნდა გავიდეს და მემუარები წეროს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, სავარაუდოდ, სამშაბათს გაიმართება. საკანონმდებლო ორგანო შეეცდება, კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ჩვენ შევქმნით უკრაინულ ვარიანტს!"

პირველი გვერდიდან

**- გასულ კვირას "რადამ" უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა. ბატონო ვიქტორ, კონკრეტულად რაში მდგომარეობს მათი აზრი და რამდენად მტკივნეულია ეს გადაწყვეტილება უკრაინის ოპოზიციისთვის? განხილვამ განსაკუთრებულად ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა. ამ პროცესს საქართველოშიც დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს. რატომ მივიდა საქმე პრეზიდიუმის ბლოკადასა და დეპუტატებს შორის შეტაკებამდე? წააგო თუ არა ოპოზიციამ ეს ბრძოლა საბოლოოდ?**

- ხელისუფლება კიევში მართლაც ცდილობდა უკრაინის კონსტიტუციის რევიზიას არადემოკრატიული გზით. ცდილობდა უკრაინელების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. არსი პოლემიკისა, რომელიც ჯერ მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას, შემდეგია: შეინარჩუნებს თუ არა 36 მილიონი უკრაინელი საარჩევნო ხმის უფლებას.

პარლამენტის უმრავლესობა მოითხოვს კონსტიტუციის კარდინალური ცვლილების მიღებას საზოგადოებრივი განხილვის, პარლამენტში სახალხო მოსმენების გარეშე. ბოლოს და ბოლოს - ნაციონალური რეფერენდუმის გარეშე.

თუ ცვლილებები ფორმალურად იქნება მიღებული, ეს ხელისუფლებას მისცემს ანტისახალხო რეჟიმის ძველი სახით შენარჩუნების საშუალებას.

დღეს უკრაინა არის სიტუაციაში, როცა კონსტიტუცია უნდა დაიცვას მისი გარანტის - პრეზიდენტისგან, კონსტიტუციური სასამართლოსა და საპარლამენტო უმრავლესობისგან.

ამიტომ, უკრაინული ოპოზიცია საპარლამენტო უმრავლესობის წინადადებას განიხილავს, როგორც სახელმწიფოებრივი გადატრიალების პირველ ეტაპს უკრაინაში.

ოპოზიციის არანაირ წაგებაზე საუბარი დღეს არ შეიძლება - პარლამენტში კონსტიტუციის ცვლილებების წინასწარი დამტკიცება არ მომხდარა, და ეს ფაქტია. არ შეიძლება საუბარი არც ხელისუფლების საზეიმო გამარჯვებაზე. პროცედურების სრული იგნორირება და სუსტი ხარისხობრივი შედეგები მოწმობენ იმას, რომ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს.

სიტუაცია მოგებულია თუნდაც იმიტომ, რომ დისკუსია დაიწყო თავად საპარლამენტო უმრავლესობაში. ჩემი პროგნოზი ასეთია - თუ საბოლოო კენჭისყრამდე ეს ტენდენციები შენარჩუნდება, მაშინ ცვლილებები ნამდვილად არ იქნება მიღებული.

შემდეგ ეტაპზე დემოკრატიული ოპოზიციის მიზანია ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების მიღწევა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე 10 თვეა დარჩენილი. მიუხედავად ამისა, მიზნის მიღწევა მაინც საკმაოდ რეალურია.

**- და მაინც, თუ უმაღლესი რადას უმრავლესობამ არ გადაიფიქრა და ხმა საკონსტიტუციო ცვლილებებს მისცა?**

- არსებობს შესანიშნავი პარალელი: ერთი თვის წინ რადამ ზუსტად ასევე - თავადაპირველი განხილვის გარეშე - მიიღო 2004 წლის ბიუჯეტი. მაშინ, როცა პროფილური საბიუჯეტო კომიტეტი არ ურჩევდა პარლამენტს მის დამტკიცებას, რადგან არსებობდა ბევრი პრეტენზია საფინანსო კანონის მიმართ. რა მოხდა შედეგად? სამი კვირის შემდეგ უმრავლესობამ შემოიტანა ორჯერ უფრო სქელი ბიუჯეტის "დამატება" - სულ 1341 შესწორება. ბიუჯეტის რა ხარისხზე შეიძლება საუბარი ამ დროს? საერთოდ, უკრაინა ევროპული ქვეყანაა თუ რაღაც კოოპერატივი?

ჩემი პროგნოზი დამაიმედებელი არ არის - უკვე ერთი თვის შედეგებით, 2004 წლის ბიუჯეტის დაფინანსების სფეროებში დიდი გაურკვევლობა შეიქმნება.

მაგრამ მთავარი აქ სხვაა; კერძოდ: რატომ შეამოწმა საპარლამენტო უმრავლესობამ, 2004 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას, პროცედურა და გაიმეორა იგივე 23 დეკემბერს, როცა საკონსტიტუციო ცვლილებების გატანა სცადა? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მესამედ დეპუტატებს უკვე მომავალი პრეზიდენტისთვის მოუწევთ ხმის მიცემა ანუ იგივე პროცედურის განხორციელება.

**- რამდენად არის მზად უკრაინის საზოგადოება საკუთარი უფლებების დასაცავად?**

- თუ ხელისუფლება თავს აარიდებს სახალხო პოლემიკას, მაშინ მარტში ამის შესახებ თავის სიტყვას იტყვის ქუჩა. უკვე დღეს ადამიანებმა გაიგეს და გააცნობიერეს, რატომ მიდიოდა სამი დღისა და ღამის



*მიხეილ სააკაშვილთან საუბარმა ვიქტორ იუშენკო სასიამოვნოდ გააოცა.*

განმავლობაში პარლამენტში ჩხუბი, რომლის არსის გაგება შეუძლებელი იყო ამ მოვლენათა სუბიექტურად გაშუქების გამო.

ოპოზიცია თავის თანამოაზრეებს ქუჩაში გამოიყვანს და დადგება ბოლომდე.

მაგრამ ქუჩა არასაკმარისია. ჩვენი ქმედებები კონცენტრირებული იქნება სწორედ იქითკენ, რომ არ დავუშვათ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება კანონიერი გზებით.

ნახევართვიანმა აქციამ, სახელწოდებით - "უკრაინას - ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი", ქვეყანაში საინფორმაციო საშუალებების ფართო მხარდაჭერის გარეშე შეაგროვა 3,5 მილიონი ხელმოწერა. თუ ამას ფართოდ განვახორციელებთ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ყველაფერი გამოგვივა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს ერთიანი პოლიტიკური ძალა. ბოლოს და ბოლოს, სამმა პოლიტიკურმა ძალამ: პოლიტიკურმა ბლოკმა "ნაშა უკრაინამ", ოულია ტიმოშენკოს ბლოკმა და სოციალისტებმა ხელი მოაწერეს უპრეცედენტო შეთანხმებას. ასეთი დონის კოორდინაცია ჯერ არასოდეს ყოფილა.

ახლა შექმნილია ექვსი საერთო სამუშაო ჯგუფი. ერთი მათგანი ამზადებს სამართლებრივ შეფასებებს, შეაქვს სარჩელები სასამართლოებში - საკონსტიტუციოსა და საერთაშორისოში. შემდეგ შეიქმნება სამი პოლიტიკური ძალის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც მოამზადებს ერთიან სტრატეგიას და ტაქტიკას. შემდეგი ეტაპია ერთიანი წინასაარჩევნო პროგრამის ფორმირება.

ყველაფერს თავისი დრო აქვს. ნუ ვინანებთ, რომ ეს არ მოხდა ადრე. ერთნი ფრთხილობენ, მეორენი უფროო მკვეთრად გამოხატავენ პოზიციას - ასე მივდივართ კონსოლიდაციამდე.

პრობლემებს უკრაინაში გადაწყვეტენ მხოლოდ უკრაინელები. მაგრამ მსოფლიომ უნდა იცოდეს იმის რეალური შინაარსი, რაც დღეს ჩვენთან ხდება. საერთაშორისო რეაქცია ჩვენთან ზოგიერთებს უკვე აფხიზლებს.

ჩვენთან არ იქნება ქართული ვარიანტი, არც მოლდავური და არც იუგოსლავური - ჩვენ შევქმნით უკრაინულ ვარიანტს.

**- თქვენ ახსენეთ "ქართული ვარიანტი." როგორ შეაფასებთ ვარდების რევოლუციას და რას უსურვებთ ქართველ ხალხს მომავალ წელს?**

- მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის დემოკრატიული ძალა აპლოდისმენტებით შეხვდა თბილისში განვითარებულ მოვლენებს.

არსებითად, მოიძებნა ისეთი პოლიტიკური ინსტრუმენტები, ამოქმედდა ისეთი საზოგადოებრივი მექანიზმები, რომლებმაც, ერთი მხრივ, მიგვიყვანეს რადიკალურ ქმედებებამდე, მეორე მხრივ კი, შეინარჩუნეს ძველ რეჟიმთან კომუნიკაციის ხიდი. ამით ქართულმა ელიტამ - როგორც ახალგაზრდამ, ისე უფროსმა თაობამ, შესანიშნავი პასუხი გასცა საქართველოში შექმნილ ვითარებას. ქართველებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ ძველებურად ცხოვრება მათ აღარ სურთ. ამიტომ, შესაძლებელია, საქართველოს პრეზიდენტმა თავი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ სწორედ იმ მომენტში იგრძნო, როცა მოძებნა საკუთარ თავში ძალა, ეთქვა - "კმარა".

ახლა არსებობს მეორე გამოწვევა. ყველაზე რთული გამოცდა წინაა - იქნება თუ არა ახალგაზდა ელიტა ისეთივე მონოლითური, ისეთივე თანამიმდევრული პასუხის გაცემისას შეკითხვაზე - როგორ სურთ შემდგომში ცხოვრება? სიტუაცია, რა თქმა უნდა, არც ისე მარტივია.

დემოკრატიული ძალები, ცხადია, გაიმარჯვებენ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. მე მათ ვუსურვებ, რომ, რაც შეიძლება სწრაფად მოძებნონ ურთიერთგაგების ფორმულა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ტერიტორიული მთლიანობის და საზოგადოებრივი თანხმობის, ღრმა ეკონომიკური კრიზისის და ბუნებრივი საერთაშორისო ინტეგრაციის საკითხების გადაწყვეტას.

მე სასიამოვნოდ გაკვირვებული ვიყავი მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობით, მისი კერძო ვიზიტის დროს კიევში, დეკემბრის შუა რიცხვებში და ძალიან მინდა, რომ ჩვენმა მეგობრებმა, პოლიტიკური კონსოლიდაციის გზით, ქვეყანაში მოიტანონ ის წარმატება და პროგრესი, რომელსაც საქართველო და მისი ხალხი იმსახურებს.

**- რა დასკვნები გამოიტანა თავისთვის უკრაინის ოპოზიციამ და ხელისუფლებამ თბილისის მოვლენებიდან?**

- ეს კარგი სიგნალი იყო იმისა, თუ როგორ დაისჯება ხელისუფლება სახალხოდ, თუ იგი არჩევნების ობიექტურობის და სამართლიანობის იგნორირებას, ფალსიფიცირებას შეეცდება.

ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ასეთი დონის პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლების ათობით წარმომადგენელს, მათ შორის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელს, რომელთა წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, შესაძლებელია, პირველად არის ასე სახალხოდ დასჯილი დსთ-ს ტერიტორიაზე.

უკრაინისთვის ეს სერიოზული პრობლემაა, ამდენად, თბილისის მოვლენები კარგი გაკვეთილია მათთვის, ვინც საქართველოში და მის ფარგლებს მიღმა ასეთი საქმეებით სპეკულირებენ.

და, რა თქმა უნდა, ქართული გაკვეთილი უკრაინელებს იმასაც ასწავლის, თუ როგორ უნდა შევხვდეთ ღირსეულად მომავლის სერიოზულ ისტორიულ გამოწვევებს.

**- არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე - როგორია თქვენი პროგნოზი 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით? როგორი სტატუსით აპირებთ 2005 წლის შეხვედრას?**

- შემდეგი წელი უნიკალური გამოწვევებისა და დიდი იმედების წელია. უკრაინაში ჩატარდება ძალიან რთული და მძიმე საპრეზიდენტო არჩევნები. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ამომრჩეველს უკვე ველარ მოატყუებენ. იგი იქნება თანამიმდევრული თავის არჩევანში. თუ არჩევნები უკრაინაში ჩატარდება თავისუფლად და სამართლიანად, პრეზიდენტი დემოკრატიული ძალების წარმომადგენელი გახდება და გამარჯვება ჯანსაღ დემოკრატიულ გუნდს დარჩება.

მენდეთ, მე მეტისმეტად მიყვარს უკრაინა, რომ ვისურვო რაიმე საკუთარი ინტერესების პრიზმიდან. თავად მე პოლიტიკაში დისკომფორტს განვიცდი. არა იმიტომ, რომ მიხდება ტყუილის თქმა, არამედ იმიტომ, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება, რათა მიაღწიო სასურველ შედეგს და ქვეყანა დემოკრატიულ გზაზე დააბრუნო.

გასული წელს ძირითადი უარყოფითი ფაქტი გახლდათ დემოკრატიულ პროცესებში მომხდარი სერიოზული დანაკარგები. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სცადა, პარლამენტი საკუთარ ფილიალად გადაექცია.

ეს არ გამოუვიდათ, მაგრამ ამისთვის გადახდილი იქნა ძალიან ძვირი ფასი.

უკრაინამ დაიწყო მიჩვევა ღრმად დეფიციტურ ბიუჯეტთან, რამაც სამი წლის წინ იგი თითქმის დეფოლტამდე მიიყვანა. ჩვენ გავიხსენეთ დეფიციტური სავაჭრო სალდო. უცხოელი ინვესტორებისთვის უკრაინა დაკარგული შესაძლებლობების ქვეყნად რჩება. ყოველწლიური ინვესტიციების დონე - 600 მილიონი წელიწადში - გვაჩვენებს, რომ ქვეყანა ძველებურად დახურულია უცხოური ინვესტიციებისთვის.

უკრაინამ ვერა და ვერ მოახერხა თანამიმდევრული საერთაშორისო პოლიტიკის დემონსტრირება. გაძლიერდა პოლიტიკანობა, რომელმაც ჩვენს უცხოელ პარტნიორებს მკვეთრი ორიენტირები დაუკარგა. ვფიქრობ, რომ უკრაინის საგარეო პოლიტიკით იმედგაცრუებულნი არიან როგორც რუსეთში, ისე - დასავლეთში. უკრაინის მოქმედებათა პროგნოზირება ისევ შეუძლებელია.




# ენერგოკრიზისზე პასუხისმგებლობის აღება დღევანდელ ხელისუფლებას მოუწევს

*დღეს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, ქვეყნის ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით, კოლეგიის სხდომა გაიმართება. სხდომა, ამავე ფორმატით, შაბათს უკვე ჩატარდა და მასზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა თანამშრომლებს პრობლემების გადაჭრის გეგმის წარმოდგენა, ან - "ქუდის დახურვა და სახლში წასვლა" მოსთხოვა. მსგავსი, კარგად "დაპიარებული" სხდომების ჩატარების აუცილებლობა საქართველოში ენერგეტიკული სიტუაციის დამძიმებამ გამოიწვია. ბოლო კვირის განმავლობაში ჩაბნელებული უკვე არა მხოლოდ მთლიანად საქართველო, არამედ თბილისის დიდი ნაწილიც გახლდათ.*

თამარ ხორბალაძე

ენერგეტიკოსებს, რა თქმა უნდა, ბევრი შეუძლიათ ისაუბრონ იმ "ობიექტურ მიზეზებზე", რის შესახებ საუბარმაც ათი წლის განმავლობაში საზოგადოება უკვე საფუძვლიანად გადაღალა. ასეთი განმარტებები ხალხს, რომელიც წელს ჯერ საპრეზიდენტო, შემდეგ კი - საპარლამენტო არჩევნებზე უნდა მივიდეს, ნამდვილად აღარ დააკმაყოფილებს.

ამიტომ, დღეს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში რამდენიმე "მარტივ" კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა მოუწევთ: ექნება თუ არა ელექტროენერგია საქართველოს ახალი წლების დღეებში? როგორი გრაფიკებით მიეწოდება დენი თბილისს და მთლიანად საქართველოს არასაახალწლო ზამთრის დღეებში? და თუ ამ კითხვებზე ყველასათვის გასაგები პასუხების გაცემა სამინისტრომ და, ზოგადად, ქვეყნის დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავზე აღება მათ, ამა თუ იმ ფორმით, უდავოდ მოუწევთ.

ხოლო მანამ, სანამ ენერგეტიკული დარგის ხელმძღვანელები საკითხისადმი "კომპლექსურ მიდგომას" გააჟღერებდნენ, ფრაგმენტული ინფორმაციები დღეს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით კვლავ ვრცელდება.

გუშინ "მედია-ნიუსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის ენერგომომარაგება კვირას გაუმჯობესდა, თუმცა დედაქალაქს მაინც 30-40 მეგავატით ნაკლები ელექტროენერგია მიეწოდება.

კომპანია „თელასში" აცხადებენ, რომ თბილისის უწყვეტი ენერგომომარაგებისთვის 400-მდე მეგავატია საჭირო, რეალურად კი დედაქალაქი 360-370 მეგავატს იღებს.

„თელასში" ამბობენ იმასაც, რომ თბილისს ელექტროენერგიის მიწოდებაში პრობლემები არ უნდა ჰქონდეს, რადგან კომპანია ახორციელებს ელექტროენერგიის იმპორტს რუსეთიდან და სომხეთიდან, ასევე იღებს ენერგიას ადგილობრივი გენერაციიდან. მართალია, თბილსრესის მე-9 ენერგობლოკი გაჩერებულია რემონტის გამო, მაგრამ ამის სანაცვლოდ 200 მეგავატით გაიზარდა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი. პრობლემები **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ელექტროენერგიის არასწორი განაწილების გამო შეიქმნა,"** — უკვე თითქმის ტრადიციისამებრ აცხადებენ „თელასში".

კომპანიის ხელმძღვანელობა, რომელიც ამჟამად საშობაო არდადეგებზე იმყოფება, ორშაბათიდან „ელექტროსისტემასთან" და სხვა მომწოდებლებთან დედაქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებებს დაიწყებს.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ საქართველოს ენერგოსიტემაში არსებული კრიზისის შემსუბუქების მიზნით ენერგეტიკოსები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ ენერგობლოკებს ჩასართავად ამზადებენ.

როგორც "ინტერ-პრესს" "თბილსრესის" გენერალურმა დირექტორმა თამაზ გზირიშვილმა განუცხადა, "თბილსრესის" ერთი - სავარაუდოდ, მესამე ბლოკი თებერვლის დასაწყისში ჩაირთვება. **"მანამდე, ბლოკისთვის საჭირო ბუნებრივი აირის შესაძენად გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან კრედიტს ველოდებით, რის შემდეგაც იმედი გვაქვს, რომ ბლოკი 120-130 მეგავატის სიმძლავრით იმუშავებს,"** - განაცხადა გზირიშვილმა.

მისი თქმით, გერმანული კრედიტით შეძენილი აირი "თბილსრესის" ერთ ბლოკს სამი თვე ეყოფა. **"არ არის გამორიცხული, ბუნებრივი აირისათვის საჭირო თანხა საბითუმო ბაზარმაც გაიღოს, რადგან აპრილში, "ენგურჰესის" გაჩერების შემდეგ კრიზისი გამწვავდება და სრესში ორი სახელმწიფო ბლოკის მუშაობა მაინც იქნება საჭირო,"** - აღნიშა მან.

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ცოტა ხნის წინ "თბილსრესში" სამი სახელმწიფო ბლოკისთვის 6 მლნ. ევროს ოდენობის კრედიტი გამოყო. აქედან 3,6 მლნ. ევრო მიმდინარე ზამთრისათვის აირის შეძენას მოხმარდება, თანხის დანარჩენი ნაწილით მე-3 და მე-8 ენერგობლოკებზე პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარებით მათი მდგრადობა გაიზრდება, ხოლო ამჟამად დაზიანებული მე-4 ენერგობლოკი შეკეთდება.

# ამიერიდან "რაო ეეს როსიის" სახელით მხოლოდ სამი ადამიანი ისაუბრებს

ანი გახარია

"რაო ეეს როსიის"-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გააკონტროლოს თავისი თანამშრომლების საინფორმაციო ურთიერთობა გარე სამყაროსთან. კომპანიის მდგომარეობის შესახებ საუბარი ამიერიდან მხოლოდ თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილეს ან პრესმდივანს შეუძლიათ. მათთან შეთანხმებით მოხდება დანარჩენი თანამშრომლების პრესასთან ურთიერთობაც. აპრილში კომპანიის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც ტოპმენეჯერებს უკრძალავს შიდა ინფორმაციის გავრცელებას და მისაღები გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გაცემას. კომპანია გარე სამყაროსთან იერარქიული ურთიერთობის დამყარებას ცდილობს, რათა თანამშრომლების მხრიდან სუბიექტური აზრის გამოხატვა გამოირიცხოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ იდეის განხორციელებამ ბევრი სირთულე შეიძლება შექმნას; კერძოდ - ფედერალურ კანონმდებლობაში ჯერ არ არსებობს შიდა ინფორმაციის ზუსტი დეფინიცია. დირექტორთა საბჭოს წევრების მოქმედების გაკონტროლებაც საკმაოდ რთული იქნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზოგიერთი მათგანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აცხადებს რომ არასწორია იმ საკითხების განხილვის აკრძალვა, რომელიც კომპანიის კომერციულ საიდუმლოს არ წარმოადგენს.

საინფორმაციო უფლებების პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის განცხადებით, "რაო"-ს ახალი "მდგომარეობა" არღვევს კონსიტუციურ უფლებას ინფორმაციის გავრცელებისა და აზრის გამოხატვის შესახებ.

კომპანიის ასეთ გადაწყვეტილებას დადებითი მხარეებიც გააჩნია. ინფორმაცის გაკონტროლება თავად კომპანიას წაადგება, არასწორი და არახელსაყრელი ინფორმაციის გაჟონვა ზოგჯერ ბაზარზე დიდ აჟიოტაჟს იწვევს და კომპანიის იმიჯს ლახავს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი (საინფორმაციო წყაროსთან მიმართებაში) საერთაშორისო პრაქტიკაშიც გამოიყენება და პრესასთან ურთიერთობის საკმაოდ მოხერხებული გზაა.

# სადაზღვევო ბაზარი ნელ-ნელა ვითარდება

წინასწარი შეფასებით, 2003 წლის სადაზღვევო ბაზარი გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის არჩილ ცერცვაძის განცხადებით, სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის ოდენობამ წელს 30 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2003 წლის ცხრა თვის მონაცემებით, 24 სადაზღვევო კომპანიის მიერ 28.100.000 ლარი იქნა მოზიდული სადაზღვევო პრემიების სახით.

ცერცვაძის თქმით, სადაზღვევო ბაზარზე ნებაყოფლობითი დაზღვევა წელსაც კვლავ გაიზარდა და ამის ტენდენცია აშკარად იკვეთება. **"შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეებმა გაიგეს დაზღვევის არსი და დაიწყეს ნებაყოფლობითი რისკების დაზღვევა, რომელიც მათ სჭირდებათ,"** - განაცხადა არჩილ ცერცვაძემ.

ცერცვაძის თქმით, სადაზღვევო კომპანიების მენეჯმენტი დღითიდღე უმჯობესდება და მარკეტინგული ქსელიც ვითარდება.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი აცხადებს, რომ წელს მათი სამსახურის მიერ მიღებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი მარეგულირებელი აქტი როგორც სიცოცხლის, ისე კერძო საპენსიო დაზღვევაში. აგრეთვე, განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები.

ცერცვაძის განცხადებით, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ბაზარზე სტაბილურობას, კომპანიების გადამხდელუნარიანობის უზრუნველყოფასა და მათ სიმყარეს.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს სტიქიური უბედურებების, მათ შორის მიწისძვრის დაზღვევის საკითხებზე მსჯელობა როგორც მსოფლიო ბანკთან, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ხსენებულ სამსახურში აცხადებენ, რომ მომავალში კვლავაც გაგრძელდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხებზე მოლაპარაკებები.

*24 საათი*

# რკინიგზის გენერალური დირექტორის დანიშვნა ჭიანურდება

პირველი გვერდიდან

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული გიორგი ლეჟავა, საკუთარი ბიზნესის დაწყებამდე, თბილისის 53-ე სკოლაში ისტორიის მასწავლებელი და გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი იყო. ბოლო წლებში იგი აზერბაიჯანში სატრანსპორტო გადაზიდვების ბიზნესით იყო დაკავებული, ეკავა სატრანსპორტო კომპანია „ეი-ჯი ტრანსპორტ ენდ ტიველოფმენტის" გენერალური დირექტორის თანამდებობა.

რკინიგზის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში განაცხადები 25-მა ადამიანმა შეიტანა, მათ შორის - რკინიგზის ყოფილმა ხელმძღვანელმა რემი ვაშაკიძემაც. სამეთვალყურეო საბჭომ პირველ ეტაპზე, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ოთხი მათგანი შეარჩია.

გიორგი ლეჟავას გარდა, სამი დანარჩენი — მოქმედი ან ყოფილი რკინიგზელი იყო: თენგიზ დონაძე და რამაზ გიორგაძე რკინიგზის გენერალური დირექტორის მოადგილეები არიან, ხოლო გურამ ტატუნაშვილი რკინიგზაში ადრე მუშაობდა, ბოლო პერიოდში კი სახელმწიფო კანცელარიის მოხელე იყო.

არჩევანი, როგორც ხედავთ, "ახალ სისხლზე" გაკეთდა, ანუ ახალი ხელმძღვანელი რკინიგზის სისტემის გარეთ იპოვეს.

კანდიდატურების განხილვაზე გიორგი ლეჟავამ განაცხადა, რომ თუ გენერალური დირექტორი გახდება, დიდ ყურადღებას მიაქცევს ტვირთბრუნვას, რათა საქართველოს ტერიტორიაზე გადამზიდავებს პრობლემები არ შეექმნათ. მისი აზრით, ინტერნეტში ვებ-გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რა ტარიფებია გადამზიდავებისთვის დაწესებული და, საერთოდ, საქართველოს რკინიგზას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია, სად რა ვაგონია გაჩერებული საქართველოს ტერიტორიაზე. მან ისიც თქვა, რომ რკინიგზის მართვას, როგორც ერთი ჩვეულებრივი საწარმოსას, ჩვეულებრივი მენეჯმენტით აპირებს.



რკინიგზის ახალი შეფის დანიშვნა სახელმწიფო მინისტრის პოზიციამ შეაფერხა.

რკინიგზის დღეს არსებული მდგომარეობიდან გამოყვანის გზაზე საკმაოდ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი - შპს-ს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნით დაწყებული და მისი "არაპირდაპირი დანიშნულების" ობიექტებისგან გათავისუფლებით დასრულებული. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართვის მაქსიმალური გამჭვირვალობა და უნდა იქნას შექმნილი მართვის ისეთი მოდელი, რომელიც ყველა სახელმწიფო საწარმოსთვის სამოდელოდ უნდა იქცეს.

დღეს ძნელი სათქმელია, როგორი იქნება ეს მოდელი და, საერთოდ, რით დასრულდება სკანდალი, რომელიც საქართველოში პირველივე სახელმწიფო საწარმოს მართვის რეფორმირებას მოჰყვა.

# "ხადორჰესი" საახალწლოდ ვერ ჩაირთვება

*კახეთის მოსახლეობა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს ხელისუფლების წყალობით, აბსოლუტურ სიბნელეშია მოქცეული, ამ ახალ წელსაც ვერ შეხვდება განათებული. მართალია, ბოლო პერიოდამდე დროებითი ხელისუფლება ქმნიდა იმედებს, რომ ორი დღე მაინც, მთელ საქართველოს მიეწოდებოდა ელექტროენერგია, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. "ხადორჰესი" კი, რომლის ამოქმედებაზეც კახელების ძირითადი საახალწლო იმედები იყო დამყარებული, ჯერჯერობით, ვერ ჩაირთვება.*

პანკისის ხეობაში მშენებარე "ხადორჰესიდან" საახალწლოდ ელექტროენერგიის მიღების მოლოდინი არ გამართლდა. სააგენტო "ინტერ-პრესის" ინფორმაციით, პირველი აგრეგატის ჩართვის ვადამ იანვრის შუა რიცხვებამდე გადაიწია. ამის შესახებ ჩინეთის "სიჩუანის კორპორაციის" და ობიექტის მიმღებ-ჩამბარებელი კომისიის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

ჩინეთის მხარემ ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის დაგვიანება ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით ახსნა და ამას ქართული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაც დაემატა. ეს ვალდებულებები ქვესადგურების რეკონსტრუქციას, ელექტროგადამცემ ხაზებზე ამომრთველების დაყენებას და სხვა ტექნიკურ გამართულობას ისახავდა მიზნად.

"სიჩუანის იმპორტ-ექსპორტის ენერგოკორპორაციის" პრეზიდენტის სუნ ნეიჯიანის განცხადებით, ჰესზე 24-საათიანი მუშაობა მიმდინარეობს, რათა რაც შეიძლება მალე მოხდეს მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდება.

ჩინეთის მხარე საქართველოს ხელისუფლებას ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობას სთხოვს.

**"ჩვენ მზად ვართ, ავამუშავოთ პირველი აგრეგატი, მაგრამ 12 მეგავატის ელექტროენერგიის ქსელში ჩართვისთვის ტექნიკური ბაზა მოუმზადებელია, ხელშეკრულებით ეს საკითხი ქართული მხარის ნაკისრი ვალდებულება იყო, დროებით სქემაზე მისი მიერთება კი, დიდ რისკთან არის დაკავშირებული,"** - განაცხადა სუნ ნეიჯიანმა.

"ხადორჰესის" მიმღები კომისია, რომელშიც ათამდე უწყების წარმომადგენელი შედის, ობიექტის შემოწმებას ინტენსიურად განახორციელებს და ექსპლუატაციაში მიღების წინ დასკვნას წარმოადგენს. **24 საათი**

# დღევანდელ მთავრობას აწევს განუხორციელებელი რეფორმების მძიმე ტვირთი

## შესაქმნელია მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი საფინანსო მოდელი

*ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე სუბიექტს, "ერგო" საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტული პროგრამით გათვალისწინებული, გრანტების სახით არსებული პროგრამების დაფინანსება. ამ პროგრამების განხორციელება ძირითადად ითვალისწინებდა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიურ დახმარებას. რატომ მოხდა ისე, რომ დღეისათვის ჩვენ მივიღეთ მოშლილი ეკონომიკური სისტემა როგორც საფინანსო, ისე ეკონომიკის რეალურ სექტორში?*

ვახტანგ ხომიზურაშვილი
თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე

იმისათვის, რომ მოცემულ კითხვას პასუხი გავცეთ, გავაანალიზოთ, დაფინანსების რა პრიორიტეტული მიმართულებები გააჩნია როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას, ისე დონორ ორგანიზაციებს (**USAID**, **SOROS Fund** და სხვა) და რა მიდგომებს და მეთოდებს იყენებენ განვითარებადი ქვეყნების მიმართ:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ბოლომდე არ ითვალისწინებენ ამა თუ იმ ქვეყნების სპეციფიკას, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს განხორციელებული პროგრამების, რბილად რომ ვთქვათ, არადეკვატურობას განვითარებადი ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკურ სიტუაციასთან მიმართებაში. არსებულ ვითარებას ამძიმებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების და რეფორმირების პროგრამის და მთავრობის მხრიდან გრანტების კორდინაციის და მონიტორინგის პროცესების პრაქტიკული არარსებობაც. ამან გამოიწვია საქართველოს ეკონომიკის "მექანიზმში" სხვადასხვა (ერთმანეთისგან განსხვავებული) ურთიერთსაწინააღმდეგო ე.წ. მოდელების დანერგვა, რის შედეგადაც მივიღეთ არაქმედითუნარიანი და ეკონომიკური ბლოკების ჭრილში არაადეკვატური, არასინქრონული მექანიზმი.

ამდაგვარი მიდგომის შედეგები მრავლადაა ცნობილი, მაგრამ ე.წ. სტანდარტული "მაკდონალდსის" მიდგომის ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია მექსიკა, რომელიც ითვლებოდა სავალუტო ფონდის ერთ-ერთ საუკეთესო "მოსწავლედ". იმის გამო, რომ არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი მექსიკის ეკონომიკის თავისებურებანი და სპეციფიკა, შედეგად მიღებული იყო 1994-1995 წლებში "განთქმული" "მექსიკური კრიზისი", რომლის ნეიტრალიზებისათვის სავალუტო ფონდს 40 მილიარდი აშშ დოლარი დასჭირდა. ჩვენთან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მოწვეული უცხოელი ექსპერტები, როგორც წესი, იგნორირებდნენ ლოკალური (ადგილობრივი) ექსპერტების მონაწილეობის შესაძლებლობას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ, გარდა აღნიშნული ფაქტორისა, პარალელურად არ არსებობდა ელემენტარული მონიტორინგი და კონტროლი უცხოური ექსპერტების საქმიანობის მიმართ, რომლებიც კომფორტულად გრძნობდნენ თავს საკმაოდ მაღალი ანაზღაურების პირობებში.

რაც შეეხება კოორდინაციას - ფაქტი ის გახლავთ, რომ აუცილებელი რეფორმების კომპლექსის განხორციელება პრაქტიკულად არ მომხდარა. მოხდა მხოლოდ ცალკეულ სფეროებში ნაწილობრივი ე.წ. რეფორმის გატარება. შედეგად, როგორც ვთქვით, მივიღეთ: ჩრდილოვანი ეკონომიკა, არაელასტიური საბანკო სისტემა, არშემდგარი საინვესტიციო გარემო, სტაგნაციაში მყოფი ფასიანი ქაღალდები და საფინანსო ბაზრები, ხელოვნურად შექმნილი მონოპოლიები და არქმედითუნარიანი კორპორაციული სექტორი, სახელმწიფოს შიდა ვალის მომსახურების მაღალი ხარჯები, ვალის მართვის მოუქნელი სისტემა და ბევრი სხვა ნეგატიური ფაქტორი თუ გამოუყენებელი შესაძლებლობები.

ყველაფერ ამას "ამშვენებს" უმძიმესი და არაეფექტური საგადასახადო სისტემა და აუდიტორული საქმიანობის სრული დისკრედიტაცია. ამასთან, არ იყო მიღებული უმნიშვნელოვანესი კანონები კორპორაციული სამართლის სფეროში კომპანიების ფინანსური გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად, რაც ავტომატურად გამორიცხავს პირდაპირი პორტფელური ინვესტიციების ნაკადების აკუმულირებას საქართველოში.

რასაკვირველია, პირველ რიგში, უუნარო აღმოჩნდა საქართველოს მთავრობა, რომელმაც ელემენტარულად ვერ უზრუნველყო რეფორმების ციკლის და კონსალტინგური ხასიათის დახმარებების კოორდინაცია, მონიტორინგი და კონტროლის მექანიზმის ამოქმედება. მეტიც - მას თავად უნდა განესაზღვრა და შეეთანხმებინა სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან, თუ რა სახის და მიმართულებების უნდა ყოფილიყო საექსპერტო დახმარებები, რაც, ფაქტიურად, არ გაკეთებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელ მთავრობას აწევს განუხორციელებელი რეფორმების მძიმე ტვირთი; ყოველ შემთხვევაში უკან დასახევი გზა არ არის და შესამუშავებელია კარდინალური ეკონომიკური რეფორმების გატარების პროგრამა როგორც ადგილობრივი, ისე გავლენიანი უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

ნებისმიერი რეფორმის პროგრამის შემუშავებისას მთავარ როლს თამაშობს სისტემური მიდგომების და შესაბამისი კონკრეტული მექანიზმების შემუშავება, რომელიც კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ხორციელდება. უსისტემო მიდგომის მაგალითს წარმოადგენს არაეფექტური გადასახადების სამინისტროს შექმნა, თუნდაც - სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით. ამდაგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემს, კომპლექსურად და ხარისხობრივად შევცვალოთ არსებული ეკონომიკის მარეგულირებელი ნორმები და შევქმნათ საქართველოსათვის დამახასიათებელი საფინანსო მოდელი. ნიშანდობლივია, რომ განვითარებულ ქვეყნებში (საფინასო ბაზრის განვითარების კონტექსტში) ყველგან მოქმედებს ისეთი სახის საგადასახადო შეღავათები, რომელიც პირდაპირ ემსახურება სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ინტერესებს. ამ თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მასტიმულირებელ და ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ გამჭირვალობას.

მეორე საკითხი გახლავთ, თუ რა სახის შეღავათები უნდა იყოს დაშვებული, რომ საწყის ეტაპზეც არ შემცირდეს საგადასახადო შემოსავლების ოდენობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ საგადასახადო შეღავათების სისტემებს ახასიათებს სხვადასხვა სახის ფორმები და სტრუქტურული აღნაგობა ყოველი ცალკეული გადასახადის მიმართ, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით იგეგმება.

საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ანალიზისისას მხედველობაშია მისაღები ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა:

ძირითადი ფონდების სრული ამორტიზება და მოძველება; ტექნოლოგიური სქემების დარღვევა და ატროფირება; საბრუნავი სახსრების მკაფიოდ გამოხატული დეფიციტი; დებიტორული დავალიანების დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებელი მისი ამოღების შესაძლებლობების გათვალისწინებით; ძვირი და მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება; საფინანსო მენეჯმენტის დაბალი დონე; შიდა დარგობრივი სასაქონლო ბაზრების დაუცველობა; მრავლად წარმოდგენილი მაკონტროლებელი ორგანიზაციების ჩინოვნიკური აპარატის სახელმწიფო რეკეტი.

ამდენად, საწარმო სექტორისათვის ნორმალური და მისაღები პირობების შექმნა პირდაპირ უკავშირდება ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შექმნას, რომლის ძირითადი კონცეპტუალური მიზნები და სისტემური მიმართულებები იქნება:

ა) ეკონომიკის რეალური სექტორის საფინანსო გამჭირვალობის მისაღები დონის მიღწევა და საწარმოების და ორგანიზაციების ფინანსების ლეგალური სპექტრის გაზრდა;

ბ) გრძელვადიანი და შედარებით იაფი საინვესტიციო კაპიტალის ფორმირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა მასტიმულირებელი სისტემის დანერგვის საშუალებით;

გ) საგადასახადო ბაზის და თავისთავად გადასახადების საერთო ოდენობის ზრდის ტენდენციების მიღწევა.

ამ მიზნების მისაღწევად ახალი აღმოჩენების და ინოვაციების პრაქტიკის დანერგვა ნამდვილად არ გვჭირდება. როგორც ამბობენ - ველოსიპედი უკვე გამოგონებულია. უბრალოდ, გამოსაყენებელია, ბევრ ქვეყანაში აპრობირებული ისეთი მექანიზმები როგორიცაა:

- საშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება (მარტო დარიცხული ხელფასებიდან ჯამური გადასახადი აღწევს თითქმის 32%, ხოლო რაც შეეხება მოგების გადასახადს, თვით რუსეთმაც კი შემოიღო 13% ოდენობის განაკვეთი).

- შეღავათების გამოყენების პრაქტიკის შემოღება, რომელიც შეეხება არა გარკვეული სახის ეკონომიკურ სუბიექტებს (რაც იყო აქამდე და ფაქტიურად ანადგურებდა კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების პროცესს), არამედ, პირველ რიგში, საინვესტიციო სახის ოპერაციებს და საქმიანობას. ამ თვალსაზრისით შეღავათები უნდა შეეხოს: რეკაპიტალიზაციას (საკუთარი კაპიტალის გაზრდის მიზნით მიმართული შემოსავალი); სადივიდენდო ფონდის ფორმირებას და დივიდენდების დარიცხვის და გაცემის პროცესს; ძირითადი ფონდების განახლებისათვის მიმართულ საინვესტიციო საქმიანობას ლიზინგის გამოყენების საშუალებით (ანუ სალიზინგო ოპერაციები უნდა ექვემდებარებოდეს დაბეგვრის შეღავათის რეჟიმს) და სხვა.

მსურს, მაგალითის სახით მოვიყვანო აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ლიბერალური საგადასახადო სისტემის რეფორმა. ამერიკის ეკონომიკური პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მიღებულ იქნა აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტის, უარყოფითი სავაჭრო ბალანსისა და გაზრდილი სამხედრო შეიარაღების ხარჯების პირობებში.

## მოკლედ

### მაჭავარიანი სასტუმროების ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრას ითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი სასტუმროების ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის ინიციატივით გამოდის.

როგორც "ინტერ-პრესს" მაჭავარიანმა განუცხადა, მართებული იქნებოდა გარკვეული ოდენობის ფიქსირებული განაკვეთი სასტუმროს თითოეულ ნომერზე დაწესებულიყო. **"ამით გადასახადის ადმინისტრირება გაიოლდება, ხოლო ბიუჯეტში ამ სექტორიდან შემოსავლები გაიზრდება,"** - განაცხადა მაჭავარიანმა.

მისი თქმით, საკურორტო, რეკლამის, სასტუმროს, ადგილობრივი სიმბოლიკის, ეკონომიკური საქმიანობისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადებისგან ბიუჯეტში იმდენად მცირე თანხა შედის, რომ ფინანსთა სამინისტროს ამ გადასახადებიდან რამდენიმეს გაუქმებით დანაკარგების კომპენსაცია არ უნდა გაუჭირდეს.

საგადასახადო დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაციით, 2002 წელს, ადგილობრივ ბიუჯეტებში საკურორტო, რეკლამის, სასტუმროს, ადგილობრივი სიმბოლიკის, ეკონომიკური საქმიანობისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადებიდან 22 367 400 ლარი შევიდა. თუმცა, მაჭავარიანის მტკიცებით, საკურორტო, რეკლამის და ადგილობრივი სიმბოლიკის გადასახადებისგან ბიუჯეტში 3 მლნ. ლარზე ოდნავ მეტი თანხაა შესული. **ინტერ-პრესი**

### "ახალი მენეჯმენტი" ურჩი მომხმარებლების დასჯის უფლებას მოითხოვს

ბუნებრივი აირის დამტაცებელთა მიმართ მკაცრი საჯარიმო სანქციების გატარების მიზნით ს/ს "თბილგაზის" მმართველი "ახალი მენეჯმენტი" აპირებს, სემეკს მიმართოს და ნორმატიული ბაზის შექმნა სთხოვოს.

როგორც "ინტერ-პრესს" "თბილგაზის" კომერციულმა დირექტორმა ლევან ფურცელაძემ განუცხადა, მარეგულირებელ კომისიაში, ამ დღეებში "თბილგაზი" თხოვნას შეიტანს და კომპანიის თანამშრომლებისთვის ურჩი აბონენტების ოპერატიულად დასჯის უფლებას მოითხოვს. **"თბილგაზის" თანამშრომლებს იმ ურჩი აბონენტების დასჯა უნდა შეეძლოს, რომლებიც ბუნებრივ აირს თვითნებურად მოიხმარენ. ამასთან, ჩვენ საჯარიმო სანქციების დაწესების უფლებაც უნდა გაგვაჩნდეს,"** - განაცხადა ფურცელაძემ.

მისი თქმით, ამჟამად კომპანიის თანამშრომლებს ურჩი გადამხდელების მიმართ მხოლოდ ერთადერთი ღონისძიების გატარება შეუძლიათ - ჩაუჭრან მათ გაზმომარაგება. **"ჩაჭრიდან რამდენიმე წუთში, როგორც კი ჩვენი თანამშრომლები თვალს მიეფარებიან, მომხმარებელი მილსადენს ისევ არარეგალურად უერთდება, ამიტომ თუ არ გვექნა დაჯარიმებისა და მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასმის უფლება, დამტაცებლებთან ბრძოლას აზრი დაეკარგება,"** - განაცხადა ფურცელაძემ.

ამჟამად თბილისში "თბილგაზის" ტექნიკური და კომერციული დანაკარგები, თითქმის, 70 პროცენტს უტოლდება. **ინტერ-პრესი**

### რუსეთში 2004 წლის სამხედრო ბიუჯეტით ყველა კმაყოფილია

რუსი სამხედრო ექსპერტები და ჟურნალისტები ქვეყნის 2004 წლის სამხედრო ბიუჯეტს იწონებენ. მათი კმაყოფილების მთავარი მიზეზი კი ის ფაქტი გახდა, რომ არმიის შეიარაღების განახლებისთვის საჭირო სახელმწიფო შეკვეთებისთვის ბიუჯეტში 341,2 მილიარდი რუბლია გათვალისწინებული. ეს თანხა მთლიანად ქვეყნის საბიუჯეტო ხარჯების 14 და თავდაცვის სფეროსთვის განსაზღვრული საერთო დაფინანსების 40 პროცენტს შეადგენს.

2004 წლისთვის გამოყოფილია რამდენიმე ათეული პრიორიტეტული მიმართულება, რომლებზეც თანხის ძირითადი ნაწილი დაიხარჯება. მათ შორის არის კავშირგაბმულობის კოსმოსური სისტემები, ღამით ხედვის მოწყობილობები, საზღვაო-ბალისიტკური რაკეტები, "ბორეის" ტიპის ახალი თაობის წყალქვეშა ნავის მშენებლობა, ასევე მუშაობის გაგრძელება შეიარაღებულ კომპლექს "ტოპოლ-მ"-ის წარმოებასა და დამონტაჟებაზე. ამის გარდა, გათვალისწინებულია რუსეთის არმიის ქვეითი ჯარისთვის სამამულო წარმოების ტ-90 ტიპის 14 ტანკის შეძენა, რაც ბოლო ოცი წლის მანძილზე თითქმის არ განხორციელებულა. სახელმწიფო შეკვეთების მუხლში სერიოზული თანხებია გათვალისწინებული ავიაციისთვისაც.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საგზაო ფონდის კუთვნილ გადასახადებს 2004 წლიდან საგადასახადო დეპარტამენტი აკრეფს. ამას ითვალისწინებს კანონპროექტი "საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ", რომელიც ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში წარადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს მიმდინარე წლის სექტემბრის თვის შემდეგ, ხელფასების გარდა, არანაირი დაფინანსება არ მიუღია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით, რუსულ ბაზარზე აფხაზური ღვინის მიწოდება გაიზარდა.

ამის შესახებ სააგენტო "აფსნიპრესს" ფირმიდან "აფხაზეთის წყლები და ღვინო" აცნობეს.

მათი ინფორმაციით, რუსეთის მომხმარებელთა დაკვეთით, დამატებით 200 ათასზე მეტი ბოთლი ღვინო დამზადდა.

რუსულ ბაზარზე, დღეისათვის, დიდი მოთხოვნაა აფხაზური წარმოების ისეთ ღვინოებზე, როგორიცაა "Лыхны", "Букет Абхазии", "Анакопия". **პრაიმ-ნიუსი**

## სად უნდა წავიდეს რადიაქტიური ნარჩენები?

ატომური ერის დასაწყისიდან მოყოლებული, რადიაქტიური ნარჩენები საბოლოო და საიმედო სამარხის ძიებაში ქვეყნიდან ქვეყანაში და კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობს.

ბირთვული ნარჩენები თითქმის ყველა ქვეყანაში იწარმოება. ამ ნარჩენების ნაწილი რადიაქტიური და შესაბამისად, ძალიან საშიშია ათასობით წლის მანძილზე. ქვეყნები ჯერ არ შეთანხმებულან იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი შენახვა.

დღეისათვის, მაღალი რადიაქტივობის მქონე ნარჩენები 30-40 წლით დროებით სამარხებში ინახება, სადაც ისინი "ცივდება". ნარჩენები გაციების შემდეგაც ძალიან სახიფათოა და მუდმივ სამარხს საჭიროებს.

ბევრ ქვეყანაში ჯერ ისიც კი არ არის გარკვეული, ვინ უნდა იხადოს ნარჩენების შენახვის ხარჯები ათასობით წლის განმავლობაში. ცხადია, რომ ამდენი ხნით მათი შენახვა ძალზე ძვირი დაჯდება.

ყველაზე რადიაქტიური და ყველაზე საშიში ნარჩენი ატომური ელექტროსადგურებიდან წარმოიქმნება. მსოფლიოს 30 ქვეყანაში 400 ასეთი სადგური არსებობს. არანაკლებ საშიშია დემონტირებული ბირთვული იარაღიდან მიღებული ნივთიერებები.

ექსპერტები ამბობენ, რომ არსებობს ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებელს ხდის ისეთი მიწისქვეშა სამარხების მშენებლობას, რომლებიც მილიონობით წელიწადს გაძლებს. ქვეყნების უმეტესობა ასეთი თავშესაფრების აშენებას 500-1000 მეტრის სიღრმეში აპირებს.

სკეპტიკოსების მტკიცებით, ასეთმა სამარხმა შეიძლება რამდენიმე ასეულ წელიწადს გასძლოს, მაგრამ ბოლოს შეიძლება გაჟონოს, ან ტერორისტების სამიზნედ იქცეს.

პოლიტიკოსთა ნაწილი აცხადებს, რომ სამარხები ისე უნდა აშენდეს, რომ მომავალ თაობებს შეეძლოთ მათი გახსნა და ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით მათგან სამუდამოდ თავის დაღწევა. ამ აზრის მოწინააღმდეგეები კი აცხადებენ, რომ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც სამარხები განთავსდება, ათასობით წლის მანძილზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ამიტომ, სჯობია, სამარხები ხელუხლებელი დარჩეს.

დროებითი სამარხები ნელ-ნელა ივსება. ევროკავშირის ქვეყნები აცხადებენ, რომ სამუდამო სამარხის აშენებას დაახლოებით 2020 წლისათვის აპირებენ, მაგრამ მათ ჯერ ამისათვის ადგილიც არ შეურჩევიათ. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც უკვე მონიშნა სამარხის ადგილი, ფინეთია.

აშშ აპირებს, საკუთარი 103 ატომური ელექტოსადგურის რადიაქტიური ნარჩენები ნევადაში, იუკას მთის ქვეშ დამარხოს. ამ გეგმის განხორციელება 2010 წლისათვისაა დაგეგმილი, თუ იგი არ შეჩერდა იურიდიული პრობლემებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო.

სამარხისათვის ადგილის შერჩევა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს.

სამხრეთ კორეის მთავრობა წლების მანძილზე ცდილობდა, ეპოვა პროვინცია, რომელიც დათანხმდებოდა ბირთვული ნარჩენების მასპინძლობას. ბოლოს და ბოლოს, წელს გამოჩნდა პროვინცია, სახელად ბუანი, რომელმაც თანხმობა განაცხადა, ნარჩენები კუნძულ ვიდოზე დაემარხა.

კუნძულზე ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, მათი უმრავლესობა ღარიბი მეთევზეა. ისინი მხოლოდ იმიტომ დათანხმდნენ, რომ მთავრობამ უზარმაზარი ფინანსური კომპენსაცია შესთავაზათ.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორი, მოჰამედ ელ-ბარადეი აცხადებს, რომ უმჯობესი იქნება, თუ ქვეყნები საერთო სამარხის აშენებაზე დათანხმდებიან. თუმცა, ცხადია, სხვისი რადიაქტიური ნარჩენების მიღება არც ერთ ქვეყანას არ სურს.

*როიტერი*

## ორი სიტყვით

**იტალია.** მილანში გაკოტრებული სასურსათო კომპანია "პარმალატის" ყოფილი შეფი კალისტო ტანცი დააპატიმრეს. მასთან ერთად სისხლის სამართლის საქმე აღიძრა კომპანიის კიდევ 20 თანამშრომლის წინააღმდეგ. მათ ბრალი ედებათ იმ ფინანსურ მაქინაციებსა და თაღლითურ ოპერაციებში, რამაც კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანა. რამდენიმე დღის წინ "პარმალატის" საბანკო ანგარიშების შემოწმების დროს, სამართალდამცავებმა შვიდი მილიარდი ამერიკული დოლარის გარღვევა აღმოაჩინეს. იტალიის მასმედიამ კომპანია "პარმალატს" უკვე უწოდა – "იტალიური ენრონი". "პარმალატი" იტალიაში სიდიდით მერვე კომპანია იყო.

■ ■ ■

**ჩინეთი.** პროვინცია გუანდუნის ერთ-ერთ საავადმყოფოში ექიმებმა უცნობ მამაკაცს ატიპური პნევმონიის, იგივე სარსის სიმპტომები აღმოუჩინეს. თუკი დიაგნოზი საბოლოოდ დადასტურდა, ეს ჩინეთში ივლისის შემდეგ სარსის დაფიქსირების პირველი შემთხვევა იქნება. ივლისში მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ეპიდემიის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა.

ჩინეთამდე, ატიპური პნევმონიის ორი შემთხვევა, სინგაპურსა და ტაივანში დაფიქსირდა. ორივე ინფიცირებული, მედპერსონალის წარმომადგენლები არიან და სამედიცინო კვლევით ლაბორატორიებში მუშაობდნენ, სადაც ეპიდემიის კვლევა მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, ატიპური პნევმონიის ვირუსი გასული წლის ნოემბერში გამოჩნდა. მის სამშობლოდ სწორედ პროვინცია გუანდუნი ითვლება. საბოლოო ჯამში, ვირუსით მთელ მსოფლიოს 30 ქვეყანაში რვა ათასი ადამიანი დაავადდა, მათგან რვაასი დაიღუპა.

ვირუსმა უდიდესი ზიანი მიაყენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონიმიკას და განსაკუთრებით ტურიზმის სფეროს.

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის დაცვის სურვილი დაახლოებით ექვსასმა ადვოკატმა გამოთქვა. ყველა მათგანი უკვე დარეგისტრირებულია იორდანიის იურისტთა ასოციაციაში. ადვოკატები მიზნად ისახავენ ჰუსეინის დაცვის ერთიანი კომიტეტის ჩამოყალიბებას, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნებიდან იურისპრუდენციის სპეციალისტები შევლენ.

■ ■ ■

**ინდოეთი.** ქვეყანაში დიდი ყინვები დაიწყო, რის შედეგადაც 87 ადამიანი დაიღუპა. ამის მიზეზად ექსპერტები პრიმიტიულად აშენებულ სახლებს ასახელებენ, რომლებიც ცხელი ზაფხულის პირობებზეა გათვლილი. ამჟამად კი ინდოეთში ყინვა მინუს შვიდ გრადუსს აღწევს, რასაც სიცხეს შეჩვეული მაცხოვრებლები ვერ უძლებენ.

## საპარლამენტო არჩევნები სერბიაში

პირველი გვერდიდან

ეს კი აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ სერბები სულ უფრო უკმაყოფილო არიან ჰააგის ტრიბუნალით.

ექსპერტები და ბელგრადში აკრედიტებული დიპლომატები აცხადებენ, რომ დემოკრატიული ძალები ალბათ მაინც მოახერხებენ ხმათა უმრავლესობის მოგროვებას. მაგრამ, პრობლემა ის არის, რომ დემოკრატიულ პარტიებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე განსხვავებული აზრი აქვთ.

"ყველაზე სავარაუდოა, რომ შეიქმნება დემოკრატიული ძალების დიდი კოალიცია," – განაცხადა ბელგრადში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა მაურიციო მასარიმ.

მაგრამ, ამ ძალებს გაუჭირდებათ 4 წლის მანძილზე ერთიანობის შენარჩუნება, ამიტომ, ვადამდელი არჩევნების დანიშნვის ალბათობა დიდია.

ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მას სერიოზული პრობლემები ექნება გადასაჭრელი. სერბია ევროპის ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა 30 პროცენტიანი უმუშევრობითა და 300 დოლარიანი საშუალო ხელფასით.

"არ ვითხოვ რძესა და თაფლს, მხოლოდ სამუშაოს პოვნის იმედი მაქვს," – თქვა 50 წლის ბილიანა მანასიევიჩმა ხმის მიცემისას.

რადიკალები მოსახლეობას პურის გაიაფებას პირდებიან. მათი მთავარი კოზირი 3 წლის მანძილზე მიმდინარე დემოკრატიული რეფორმებით მოსახლეობის უკმაყოფილებაა. რეფორმატორებმა ვერ შეძლეს ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.



ყოფილი პრეზიდენტი ვოისლავ კოშტუნიცა და მისი მეუღლე ახალ არჩევნებზე მიდიან.

შეშელმა "საერთაშორისო ავტორიტეტი" მას შემდეგ მოიპოვა, რაც სერბებს მოუწოდა, "ჟანგიანი კოვზით ამოეთხარათ ყველა მტრისათვის თვალები." იგი მილოშევიჩის ძველი მეგობარი და მოკავშირეა.

"ხალხი ხმას აძლევს რადიკალებს არა იმიტომ, რომ მოსწონთ ისინი, არამედ იმიტომ, რომ ღარიბები არიან," – ამბობს პროდასავლური პარტიის "ჯი 17-ის" ლიდერი მიროლიუბ ლადუში.

მისი წინამორბედი მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის მსგავსად, ახალ მთავრობასაც დასავლეთი ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობის დაუყოვნებლივ გაგრძელებას მოსთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი მთავრობა დასავლეთის დახმარებას უნდა დაემშვიდობოს. ჰააგა ამჯერად ბოსნიელ სერბთა სამხედრო ლიდერის, რატკო მლადიჩის გადაცემას ითხოვს.

რადიკალური პარტია ჰააგაში ნებისმიერი ექსტრადირების წინააღმდეგია. მისმა პოზიციამ შეიძლება აიძულოს მთავრობა, წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლეთის მოთხოვნებს.

იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა და ზომიერმა ნაციონალისტმა ვოისლავ კოშტუნიცამ განაცხადა, რომ ჰააგასთან თანამშრომლობამ შეიძლება ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. "სერბიის დემოკრატიული პარტია", რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, დემოკრატიულ კოალიციაში ალბათ გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

"ახალი მთავრობა გაცილებით უფრო ნაციონალისტური იქნება. მას ძალიან მწვავე პრობლემა ერგო მლადიჩის სახით," – განაცხადა ბელგრადში აკრედიტებულმა დასავლელმა დიპლომატმა.

თუმცა მან ისიც დასძინა, რომ კოშტუნიცას კოალიციამ და "ჯი 17"-მა უნდა შეძლონ გამარჯვება და რეფორმების გატარება, რამაც ქვეყანა ევროკავშირში უნდა შეიყვანოს. "უკანსავალი გზა უბრალოდ არ არსებობს," – განაცხადა მან.

## ერაყში თავდასხმები გრძელდება

აშშ განაგრძობს დატყვევებული სადამ ჰუსეინის თანამებრძოლების ძებნას. ვაშინგტონის მიზანში ახლა ყოფილ დიქტატორთან დაახლოებული 13 ადამიანია. ამერიკელები ამბობენ, რომ ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც ნებისმიერი ამ პიროვნების დაკავებას შეუწყობს ხელს, სულ მცირე 1 მლნ დოლარად დაფასდება.

ძებნილთა სიას სათავეში უდგას სადამის ყოფილი მოადგილე იზატ იბრაჰიმ ალ-დური. მის დაკავებაში დახმარებისათვის ვაშინგტონი 10 მლნ დოლარს იხდის. მიჩნეულია, რომ ალ-დური ერაყში ნოემბრიდან გააქტიურებული წინააღმდეგობის ფრონტის ორგანიზატორი უნდა იყოს. მსგავს ქმედებებშია ეჭვმიტანილი ერაყის შიდა უშიშროების ყოფილი უფროსი და სადამის ძმისშვილი ალ-ტიკრიტიც. დღემდე იძებნებიან სადამის ელიტური სამხედრო ნაწილის, რესპუბლიკური გვარდიის მეთაური, ერაყის დაზვერვის შეფი და ჰუსეინის პირადი დაცვის უფროსი. ვაშინგტონმა თავის დროზე ბანქოს ფურცლებზე დაბეჭდა 55 განსაკუთრებით ძებნილის ფოტო. აქედან 42 ამერიკელებმა ან დააკავეს, ან კიდევ გაანადგურეს. ამერიკელი სამხედროები იმედოვნებენ, რომ, სადამის დაკავების შემდეგ, ძებნილთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება.



ტერაქტების მორიგ სერიას 13 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მიუხედავად სადამის დაკავებისა, ერაყში ისევ გრძელდება თავდასხმები. გასულ შაბათ-კვირას სამხრეთ ერაყში მდებარე ქალაქ ქერბალაში ოთხი აფეთქების შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა და 170 დაშავდა. თავდასხმების ძირითადი სამიზნე უნივერსიტეტის ტერიტორიასა და ქალაქის თვითმმართველობასთან განლაგებული კოალიციის ნაწილები იყო. კოალიციის სამხედროებისაგან, სხვადასხვა მონაცემებით, 6 ჯარისკაცი დაიღუპა. თავდასხმას ამდენივე ერაყელი პოლიციელი ემსხვერპლა. მსხვერპლი არის მოსახლეობაშიც. დაღუპულია 4 ბულგარელი და 2 ტაილანდელი ჯარისკაცი. ეს ცნობა ორი ქვეყნის შესაბამისმა უწყებებმაც დაადასტურეს. ქალაქი ქერბალა შიიტებით დასახლებულ რეგიონში მდებარეობს და იქ დისლოცირებულ დანაყოფს პოლონელი სამხედროები მეთაურობენ. პოლონელების, ბულგარელებისა და ტაილანდელების გარდა, რეგიონში განლაგებულ კოალიციურ ძალებში მონაწილეობენ უკრაინელები, ესპანელები, ფილიპინელები, სულ 23 ქვეყნის 9 ათასამდე სამხედრო.

ქერბალას გარდა, შაბათ-კვირას აფეთქებები მოხდა მოსულში, რამადისა და ბაღდადში. მოსულში, ამერიკულ სამხედრო კოლონაზე თავდასხმის გამო, 4 ერაყელი მოკლეს. რამადიში ადგილობრივ პოლიციას დაესხნენ თავს, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი და ერთი თავდამსხმელი დაიღუპა. ბაღდადში კი ხუთი ამერიკელი სამხედრო პატრულირების დროს ნაღმზე აფეთქდა და დაიჭრა. გუშინ ბაღდადში კიდევ ერთი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ორი ერაყელი ბავშვი და ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპნენ, ხოლო 14 ადამიანი დაიჭრა.

## ირანისკენ საერთაშორისო დახმარებები დაიძრა

26 დეკემბერს ირანში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრა კვლავ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩება. როგორც ცნობილია, 6,3 ბალიანმა მიწისძვრამ თითქმის მთლიანად მიწასთან გაასწორა უძველესი ისტრიული ქალაქი ბამი.

რაც შეეხება მსხვერპლს, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები განსხვავებულ ციფრებს ასახელებენ. სააგენტო "როიტერის" ცნობით, სტიქიას 20 ათასზე მეტი ირანელი შეეწირა, სააგენტო "ბიბისის" ინფორმაციით კი მსხვერპლის რაოდენობა 10 ათასსა და 25 ათასს შორის მერყეობს. ხოლო რუსული საინფორმაციო საშუალებები, როგორც ყოველთვის, "მოწოდების" სიმაღლეზე დგანან და იუწყებიან, რომ ირანში 40 ათასი ადამიანია დაღუპული. თუმცა, შესაძლოა, საბოლოო ჯამში მსხვერპლის რაოდენობამ 40 ათასს მართლაც გადააჭარბოს.

სულ უფრო და უფრო მცირდება ნანგრევების ქვეშ მოყოლილი ათასობით ადამიანის გადარჩენის იმედი. ირანის ხელისუფლება მუდმივად აწვდის მოსახლეობას ინფორმაციას უბედურების ზონაში არსებული ვითარების შესახებ. გუშინ იუწყებოდნენ, რომ მაშველებმა ნანგრევებიდან 150 ადამიანის ამოყვანა შეძლეს, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვი იყო.

ირანის ჯანდაცვის მინისტრის აჰმედ პეზეშკიანის განცხადებით, ამჟამად უკვე აღარ არის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მაშველთა ექსპედიციების ჩასვლის საჭიროება, რადგანაც ხელისუფლებას მათი კოორდინირება უჭირს. მისი თქმით, უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით ტრაგედიის რაიონისკენ ათი ათასობით მოხალისეა დაძრული.

ირანის ოფიციალური პირების განცხადებით, მარტო შაბათს საერთო საფლავში მიწისძვრის 5500 მსხვერპლი დაკრძალეს.

მიწისძვრის შედეგად ათი ათასობით ადამიანმა მძიმე დაზიანებები და ჭრილობები მიიღო, ხოლო ქალაქის 70 პროცენტზე მეტი მიწასთან არის გასწორებული. წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია საველე ჰოსპიტლების შექმნას აპირებს. სტიქიას გადარჩენილთა მდგომარეობას ძლიერი ყინვები კიდევ უფრო ამძიმებს. მათ დასახმარებლად, ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას სასმელი წყლითა და კარვებით მომარაგება წარმოადგენს, რათა ყინვებმა მსხვერპლი კიდევ უფრო არ გაზარდოს.

ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ, რომელიც თავად აპირებს ტრაგედიის ადგილის მონახულებას, საერთაშორისო თანამეგობრობას დაუყოვნებლივი დახმარებისაკენ მოუწოდა.

თეირანის მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურა შეერთებული შტატები და პირველი ჰუმანიტარული ტვირთიც გააგზავნა. სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა თეირანიის აეროპორტში 70 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი ჩაიტანა, რაც ძირითადად მედიკამენტებისგან და კარვებისგან შედგება. მიწისძვრის შემდეგ, ამერიკელი და ირანელი დიპლომატები ბოლოს 24 წლის განმავლობაში პირველად დაელაპარაკნენ ერთმანეთს. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ არმიტიჯმა გაერო-ში ირანის ელჩს დაურეკა და დახმარება შესთავაზა.

90 ათასი დოლარის ღირებულების კარვები გამოაგზავნა გაეროს გენერალურმა მდივანმაც. საერთაშორისო დახმარებების მიღება თეირანის აეროპორტში გრძელდება.

სულ ქალაქ ბამში დაახლოებით 80 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. ეს ისტორიული ქალაქია, სადაც შუასაუკუნეების პერიოდში აბრეშუმის გზა გადიოდა. ბამი დედაქალაქ თეირანიდან 1000 კილომეტრით არის დაშორებული.

ირანი სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს. ბოლოს დამანგრეველი მიწისძვრა აქ 1990 წლის 21 ივნისს მოხდა, რასაც 50 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ასევე დამანგრეველი იყო 2002 წელს მომხდარი მიწისძვრა, როდესაც 5000 ადამიანი დაიღუპა.



უძველესი ისტრიული ქალაქი ბამი მიწისძვრამ თითქმის მთლიანად მიწასთან გაასწორა.

## რომანო პროდი თავდასხმას გადაურჩა



რომანო პროდი

იტალიის საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი თავდასხმას გადაურჩა. მან შაბათს ბოლონიაში, საკუთარ სახლში დანღმული ამანათი გახსნა, თუმცა, საბედნიეროდ, ამანათი არ აფეთქდა და მხოლოდ დაიწვა. პროდი არ დაშავებულა.

პროდი ძირითადად ბრიუსელში ცხოვრობს, მაგრამ საშობაო დღეებს იგი საკუთარ სახლში ატარებდა. ევროკომისიის პრეზიდენტის პრეს-მდივნის თქმით, ამანათში იდო წიგნი, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერება იყო ჩამონტაჟებული. ეს წიგნი 1938 წელს გარდაცვლილი იტალიელი მწერლის, გაბრიელე დ`ანუნციოს რომანი აღმოჩნდა. დ`ანუნციო ბენიტო მუსოლინის მომხრე იყო. თუმცა, ძნელი სათქმელია, რისი თქმა სურდა ამით ტერაქტის ორგანიზატორს. გამოძიება უკვე დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეიძლება იდგეს თავდასხმის მცდელობის უკან. სამართალდამცველები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ამანათი პროფესიონალის დამზადებული არ უნდა იყოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდი თავდასხმას ასე იოლად ვერ გადაურჩებოდა.

ალსანიშნავია, რომ ევროკომისიის პრეზიდენტზე, რომელიც ადრე იტალიის პრემიერ-მინისტრიც იყო, ეს უკვე რიგით მეორე თავდასხმაა. 21 დეკემბერს, ასევე ბოლონიაში, პროდის სახლთან, სანაგვე ურნაში ორი მცირე ბომბი აფეთქდა. მაშინ აფეთქება თავის თავზე აქამდე უცნობმა "არაფორმალურმა ანარქისტულმა კავშირმა" აიღო. მათ გაზეთ "ლა რეპუბლიკა"-ს სახელზე გაგზავნილ ანონიმურ წერილში თქვეს: "პროდის იმიტომ ვებრძვით, რომ იგი ევროპის ახალ ტოტალურ რეჟიმს განასახიერებს."

## კომუნისტებს არჩევნებზე ახალი სახე გაუძღვებათ



ზიუგანოვი კენჭს არ იყრის.

შაბათს რუსეთის კომუნისტური პარტიის პლენუმზე გადაწყდა, რომ პოსტსაბჭოურ ხანაში რუსი კომუნისტების სტაჟიანი საპრეზიდენტო კანდიდატი გენადი ზიუგანოვი 14 მარტს დანიშნულ არჩევნებში კენჭს არ იყრის.

კომუნისტები დღეისათვის ხუთ სავარაუდო კანდიდატს განიხილავენ: ესენია ნიკოლაი კონდრატენკო, გენადი სემიგინი, ვიქტორ ილიუხინი, ნიკოლაი ხარიტონოვი და სვეტლანა სავიცკაია. ძნელი სათქმელია, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რუსი კომუნისტები დასავლური ტიპის პარტიულ მუშაობაზე გადასვლას აპირებენ, რაც შიდაპარტიული დემოკრატიის დამყარებაში გამოიხატება. აღნიშნული ხუთი კანდიდატიდან გამარჯვებულს ჯერ პლენუმი გამოავლენს, ხოლო შემდეგ ყრილობა ფარული კენჭისყრით დაადასტურებს. გადამწყვეტი ბრძოლა, სავარაუდოდ, კონდრატენკოსა და სემიგინს შორის გაიმართება, რადგან ილიუხინი, ხარიტონოვი და სავიცკაია საკუთარ კანდიდატურებს, ალბათ, კონდრატენკოს სასარგებლოდ მოხსნიან. კრასნოდარის ყოფილ გუბერნატორს გენადი ზიუგანოვიც უჭერს მხარს. ბიზნესმენ სემიგინზე კი, რომელიც იმავდროულად პარტიაში ზიუგანოვის ოპონენტია, ნომერ პირველი კომუნისტი ამბობს, რომ დაუშვებელია სოციალისტური იდეოლოგიის პარტიას ბურჟუა კანდიდატი ჰყავდეს.

ამდენად, ცხადია, რომ რუსი კომუნისტები საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტზე უარს ამბობენ და მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატის შეცვლას გეგმავენ. ბოიკოტის იდეა დუმის არჩევნების შემდეგ გაჩნდა, როცა კომუნიტებმა პარლამენტში გასვლა კი მოახერხეს, მაგრამ გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს. მაშინ ზიუგანოვმა თქვა, რომ, ქვეყანაში არსებულ პირობების გამო, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა უბრალოდ აზრს კარგავდა. აღსანიშნავია, რომ საკუთარი კანდიდატის წამოყენებაზე უარი თქვა კრემლთან ფარულ ალიანსში შემჩნეულმა ჟირინოვსკიმაც. ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ საპრეზიდენტო პოსტზე დუმის წევრი ოლეგ მალიშკინი წარადგინა, თუმცა, იქვე ითქვა, რომ პარტიის წინასაარჩევნო კამპანიას თავად ჟირინოვსკი უხელმძღვანელებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჟირინოვსკი აქტიურად გამოიყენებს საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ტელეეთერსა და სხვა ტრიბუნას. ექსპერტები იმასაც კი ვარაუდობენ, რომ, შეიძლება, ეს კრემლის დაკვეთაც კი ყოფილიყო. იავლინსკის "იაბლოკო" ასეთი "შორსმჭვრეტელი" არ აღმოჩნდა და საპრეზიდენტო არჩევნებს საერთოდ ბოიკოტი გამოუცხადა.

ჟირინოვსკისეული სტრატეგია, როგორც ჩანს, კომუნისტებმაც აიტაცეს. ამასთან, არჩევნებზე ახალი სახით წარდგომა კომუნისტების მხრიდან საინტერესო სიახლეა, რადგან, ტრადიციულმა კანდიდატმა, ზიუგანოვმა საკუთარი რესურსი უკვე ამოწურა. თუმცა, მაინც საეჭვოა, რომ ამით კომუნისტებმა რაიმეს შეცვლა მოახერხონ. მათი მიერ საკუთარი კანდიდატის წამოყენება პუტინის გამარჯვებას მხოლოდ მეტ დამაჯერებლობას თუ შესძენს. სხვა მხრივ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებმა ინტრიგა უკვე დიდი ხანია დაკარგა.

# კორპუსებთან მდებარე ეზოებს მაცხოვრებელთა ნებართვის გარეშე ველარავინ გაყიდის



*ამ ეზოებს ველარავინ იყიდის.*

ნანა ქადაგიშვილი

ბოლო წლებში თბილისში თავისუფალი ტერიტორია, თითქმის, აღარ დარჩა და მერია მრავალსართულიან კორპუსებს შორის მდებარე ეზოების გაყიდვაზე გადავიდა. მხოლოდ გასულ წელს, რაც ჩვენ ვიცით, 3-4 კორპუსის მაცხოვრებლები მაინც იბრძოდნენ გაყიდული ეზოს დასაბრუნებლად. ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩის მობინადრეები მათი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ლუდის ბარის მშენებლობას დღემდე უშედეგოდ აპროტესტებენ. სასამართლოებში სირბილით გაწამებული მოქალაქეები საკუთარი კორპუსის ეზოების გადარჩენას საპროტესტო აქციებით ცდილობდნენ. **"ბავშვებმა სადმე ხომ უნდა ითამაშონ. ესეც რომ არა, კორპუსში ვინმე რომ მოკვდეს, ეზოში ხალხის დასადგომი ადგილი არ უნდა იყოს?"** – ჩიოდნენ მოქლაქეები. თუმცა, აქციებისა და სასამართლოებში არაერთგზის ჩივილის მიუხედავად, მოსახლეობის აზრს არავინ ითვალისწინებდა და მრავალსართულიანი სახლების ეზოებს სხვადასხვა სახის სავაჭრო ობიექტები იკავებდა.

საკრებულოს მიერ რამდენიმე თვის წინათ მიღებული გადაწყვეტილებით, მრავალსართულიანი სახლების ეზოებს გაყიდვის საფრთხე აღარ ემუქრებათ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, კორპუსების მიმდებარე ტერიტორიები მაცხოვრებელთა საკუთრებას წარმოდგენს. ორი დღის წინათ ყიფშიძის ქუჩა №2-ში მდებარე მრავალსართულიანი სახლის მობინადრეებს საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა მიწის პრივატიზების სერტიფიკატი საჯაროდ გადასცა. **"მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ინფორმაცია საკებულოს გადაწყვეტილების შესახებ მოსახლეობის ყურამდე მივაწვდინოთ. აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ბევრისთვის უცნობია, ზოგიც ეჭვის თვალით უყურებს. ყიფშიძის ქ.N2-ის მობინადრეებს საკრებულოს გადაწყვეტილების შესახებ რომ შევატყობინეთ, თავიდან დაეჭვდნენ, - საკრებულო კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებით რატომ დაინტერესდაო, - მაგრამ შემდეგ, როცა ვიღაც-ვიღაცებმა მათ ეზოში სახლის ჩადგმა მოინდომეს, სასწრაფოდ მოგვმართეს,"** – აცხადებს იოსელიანი.

კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის ფართი, მშენებლობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ნორმატივების შესაბამისად, კორპუსის სართულიანობის მიხედვით განისაზღვრება და ამ ტერიტორიას, კოლექტივის ნებართვის გარეშე, თითს ვერავინ დააკარებს. თავად კორპუსის მაცხოვრებელიც კი, ანუ ერთ-ერთი მეპატრონე, აღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმეს აშენებას მხოლოდ კოლექტივის ნებართვით შეძლებს.

# ქრისტიანებისთვის ბეთლემში შესვლა ნებადართულია

საშობაო დღესასწაულისთვის ისრაელის არმიის მიერ ნებადართულია მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ბეთლემში ჩასვლა დასავლეთ სანაპიროს სხვა ქალაქებიდან და ღაზას სექტორიდან, აგრეთვე - ისრაელიდან. მაგალითად, 6-7 იანვარს, მართლმადიდებლური შობის დღესასწაულზე ბეთლემში ჩასვლის საშუალება ექნება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს.

18-19 იანვარს, როცა სომხები აღნიშნავენ შობას, ბეთლემში ჩასვლის უფლება მიეცემა იერუსალიმის სომხური ეკლესიის პატრიარქს. გარდა ამისა, 24 დეკემბრიდან 19 იანვრამდე ბეთლემში შესვლა ნებადართულია უცხოელი ტურისტებისთვის და ისრაელის მოქალაქეებისთვის. ისრაელის არმია ქრისტიანებს საშუალებას მისცემს, მოინახულონ იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ქალაქ იერიქონის მახლობლად. სამაგიეროდ, ისრაელის ხელისუფლება კვლავაც არ აპირებს, ნება დართოს პალესტინელთა ლიდერს, იასირ არაფატს საშობაოდ ბეთლემში ჩავიდეს. **მედია-ნიუსი**

# ყალბ პასპორტებს პოლიციელებიც ყიდულობდნენ

*სახალხო დამცველის ოფისში ჩატარდა არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონული სამუშაო კონფერენცია თემაზე: "საქართველოში ტრეფიკინგის პრობლემა და მასთან ბრძოლის გზები".*

ლელა მარგიანი

კონფერენციის მომწყობი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხათუნა სანიკიძის თქმით, ფართომასშტაბური შეხვედრის მიზანი იყო ძველი მთავრობის მიერ 2003 წელს შემუშავებული "ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმისა" და შევარდნაძის ბრძანებების გადახედვა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აღნიშნულ საკითხებზე რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. ზუგდიდიდან, ოზურგეთიდან, გორიდან და თელავიდან ჩამოსულმა ქალბატონებმა მათ რეგიონებში არსებული სიტუაციის შესახებ დამსწრეთ ინფორმაცია მიაწოდეს. სულ გაკეთდა 18 მოხსენება.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელმა ელენე გოგუაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 2002 წელს აღიძრა 471 სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ყალბ დოკუმენტებს ამზადებდნენ: **"ერთ-ერთი ბოლო ოპერაცია გატარდა მოქალაქე ზაზა მ-ს წინააღმდეგ. იგი კონტაქტს ამყარებდა იმ მოქალაქეებთან, რომელთაც მიღებული ჰქონდათ აშშ-ს ვიზა და მათგან პასპორტს 2500-3000 ამერიკულ დოლარად ყიდულობდა; ცვლიდა პასპორტში ფოტოსურათს და 12000 – 13000 აშშ დოლარად ყიდდა. ამერიკაში მცხოვრები კრიმინალები ზაზა მ-ს პასპორტებს უბრუნებდნენ, რომლებსაც იგი ხელმეორედ ყიდდა. 2003 წლის ივნისში ზაზა მ–მ ასეთი ყალბი პასპორტი პოლიციის თანამშრომელს 12 780 დოლარად მიჰყიდა. გაირკვა, რომ მას, ამ გზით, 120 მოქალაქე ჰყავდა გაგზავნილი".**

კონფერენციაზე შემაშფოთებელი ციფრები დაასახელა შინაგან საქმეთა სამინისტროს "ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების" თანამშრომელმა ვიოლეტა მაღრაძემ. მისი ინფორმაციით, გასული წლის განმავლობაში **"ქალთა მიმართ ჩადენილია 598 დანაშაული, მათ შორის - ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით – 72, გაუპატიურების – 29, გაუპატიურების მცდელობის – 17, ჯანმრთელობის დაზიანების - 134, ხულიგნობის - 169, ძარცვის - 114, მკვლელობის – 21, მკვლელობის მცდელობის – 9".**

დასასრულ გადაწყდა, კონფერენციის სახელით, მომზადდეს მიმართვა ახალი მთავრობისადმი და შეიქმნას გენდერულ საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ცენტრი.

მოკლედ

# რა ღირს შრომა?

IREX — USAID

## საქართველოს შრომის ახალი კოდექსი სჭირდება

მაია ურუშაძე

*საქართველოს ერთი თავისებურება "სჭირს": უკვე თორმეტი წელია, ქვეყანაში ინტენსიური რეფორმები მიმდინარეობს, მაგრამ საბჭოთა წყობის ძირეული რღვევა და სრულფასოვანი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება ქვეყანაში ვერა და ვერ გველირსა. მართალია, ახალი ტიპის სტრუქტურებში მაღალ ხელფასებს იძლევიან, მაგრამ სამაგიეროდ, არავინ იცის, რამდენ ხანს "გაძლებს" ეს ორგანიზაცია და, რაც უფრო უარესია – რამდენ ხანს დასჭირდება მას თქვენი შრომა. შედეგად, ბუნებრივია, რომ დღეს უამრავ დასაქმებულ ადამიანს აშინებს ბუნდოვანი "ხვალ": ამ ქვეყანაში თავს სტაბილურად და დაცულად არავინ გრძნობს.*



*დაქირავებულთან ასეთი დამოკიდებულება ისტორიას უნდა ჩაბარდეს.*

და მაინც: არის თუ არა ქვეყანაში თუნდაც ელემენტარული სოციალური უსაფრთხოების ქსელი, რომელიც ადამიანებს მისცემს გარანტიას, რომ მათი ხვალინდელი დღე დაცული იქნება?

როგორც დასაქმების დეპარტამენტის უფროსი რევაზ საყვარელიძე მიიჩნევს, ადამიანების სოციალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი შრომის კანონმდებლობაა, რომელმაც დაქირავებულ პერსონებს გარკვეული გარანტიები უნდა მისცეს. **"შრომის კოდექსმა დამქირავებელ-დაქირავებულის ურთიერთობა სამართლებრივად უნდა დაარეგულიროს. ახლა ჩვენთან ჯერ კიდევ 1973 წელს, საბჭოთა პერიოდში მიღებული შრომითი კოდექსი მოქმედებს, სადაც მართალია, 1997 წელს გარკვეული ცვლილებები შევიდა, მაგრამ არსი იგივე დარჩა. შედეგად, მივიღეთ შუალედური, ჰიბრიდული ვარიანტი,"** – აცხადებს საყვარელიძე. მისი განმარტებით, არსებული შრომის კოდექსი მოძველებული, "სოციალისტური ტიპისაა": **"საბჭოთა შრომის სამართალი ორიენტირებული იყო ორგანიზაციებისა და საწარმოების ცენტრალიზებულ მართვაზე. მაშინ აქცენტი საერთო სახალხო ინტერესზე იყო, ახლა კი წინა პლანზე ინდივიდის ინტერესები გამოდის."** ანუ, ძველი კანონმდებლობით, დაქირავებულს დამქირავებელთან ურთიერთობისას არავითარი უფლებები არ ჰქონდა. ამის გამო გამორიცხული იყო შრომითი დავა. შესაბამისად, არ იყო საჭიროება, რომ შრომითი საკითხები კონტრაქტის საფუძველზე დარეგულირებულიყო. **"ამიტომ ჩვენ, 3-წლიანი მუშაობის შედეგად, ახალი კოდექსი შევიმუშავეთ. მის დახვეწაში ჩართულნი იყვნენ მეწარმეთა გაერთიანებები და პროფკავშირები. მიუხედავად ამისა, არის საკვანძო საკითხები, რომელთაც პროფკავშირები არ ეთანხმებიან. მაგალითად, პროფკავშირები ითხოვენ, რომ დამქირავებელ-დაქირავებულთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხების დარეგულირებისას დაქირავებულთა უფლება აუცილებლად მარტო პროფკავშირებმა დაიცვას. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ადამიანებს არჩევანი უნდა ჰქონდეთ,"** – განმარტავს საყვარელიძე. ანუ, დასაქმების დეპარტამენტის წინადადებით, ის, თუ ვის ანდობს დაქირავებული საკუთარი უფლებების დაცვას - სასამართლოს, არბიტრაჟს თუ პროფკავშირებს, თავად დაქირავებულის გადასაწყვეტია და მისი ინტერესების დაცვის ექსკლუზიური უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს.

ამასთან, შრომის კოდექსის ახალ პროექტში გამიჯნულია ორი ტიპის შრომითი ურთიერთობა: ინდივიდუალური (როცა შრომითი ხელშეკრულება ინდივიდსა და დამქირავებელს შორის იდება) და კოლექტიური (როცა დამქირავებელი ხელშეკრულებას შრომით კოლექტივთან დებს). **"კოლექტიური დავების შემთხვევაში, ბუნებრივია, მოსარჩელეთა უფლებებს უმეტესწილად პროფკავშირები დაიცავს,"** – აცხადებს საყვარელიძე.

დაქირავებულთა გარდა, შრომითმა კანონმდებლობამ დამქირავებელთა უფლებებიც უნდა დაიცვას. **"არის ქვეყნები, სადაც მეწარმეს ხელ-ფეხი აქვს შეკრული და არ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს ან გაათავისუფლოს დაქირავებული პირი. შედეგად, ფერხდება სამუშაო პროცესი. ამიტომ ჩვენ გამოვძებნეთ "ოქროს შუალედი" და მიგვაჩნია, რომ ახალი შრომის კოდექსი ორივე მხარის უფლებებს დაიცავს,"** – იმედოვნებს საყვარელიძე.

დღეს ხშირია შემთხვევები, როცა გაკოტრებული საწარმოს ხელმძღვანელებს თანამშრომლები ხელფასს ედავებიან, როცა შრომითი კოლექტივები ანაზღაურების გაზრდას ან დროულად გაცემას ითხოვენ, როცა ადამიანები მიიჩნევენ, რომ ისინი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. იმისათვის, რომ შრომითმა კოდექსმა დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობა სრულფასოვნად დაარეგულიროს, ის ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს: **"დღეს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის მუხლების ინტერპრეტირების საშუალება არსებობს. მაგრამ, თუ კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს, ვის რამდენი შვებულება ეკუთვნის, ზეგანაკვეთურ მუშაობაზე რამდენით მეტი ანაზღაურება უნდა მიიღოს და ასე შემდეგ, პრობლემა მოიხსნება."**

ახალი შრომის კოდექსი საქართველოს კანონმდებლობის "ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროექტის" ფარგლებში მზადდება. ანუ, დახვეწის შემდეგ, საქართველოს შრომის კოდექსი ძალიან ახლოს იქნება იმ მოდელთან, რომლის მიხედვითაც დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის ურთიერთობას ევროპის ქვეყნები არეგულირებენ.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ შრომის კულტურის ამაღლებას. მარტო კანონის მიღება, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის. საქმე ისაა, რომ კანონმდებლობა, კარგი თუ ცუდი, ახლაც არსებობს, მაგრამ მხოლოდ ერთეულებმა თუ იციან, რის უფლებას აძლევს სახელმწიფო მათ და სანაცვლოდ რა ვალდებულებების შესრულებას ითხოვს მათგან. საყვარელიძის ინფორმაციით, დღეს საშუალო და მცირე მეწარმეთა 96-97 პროცენტი შრომით კანონმდებლობას არ ეცნობა, თუ მას არ უჩივლეს. **"ძალიან ცოტაა საწარმოები, სადაც შრომითი კონტრაქტების გაფორმება მიღებული პრაქტიკაა. ამ დროს კი შრომითმა კონტრაქტმა უნდა განსაზღვროს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის დადებული ყველა ძირითადი პირობა: სამუშაო დრო, ანაზღაურება, კუთვნილი შვებულება და სხვა. ამდენად, კონტრაქტის იგნორირება სერიოზული დარღვევაა და ბევრ პრობლემას იწვევს,"** – აცხადებს დასაქმების დეპარტამენტის უფროსი.

შედეგად, პარლამენტის მიერ შრომის ახალი კოდექსის მიღების შემდეგ პრობლემა თავისთავად არ მოგვარდება. მეორე ეტაპი ამ კოდექსის დანერგვა და, რაც მთავარია, ფართო საზოგადოებისათვის მისი გაცნობა იქნება.

მანამდე კი, პროექტის განხილვის პროცესი, სავარაუდოდ, საკმაოდ დიდხანს გასტანს. განხილვაში ადგილობრივ მეწარმეებსა და პროფკავშირებთან ერთად ეუთოს ექსპერტებიც ჩაერთვებიან. კოდექსის მნიშვნელობას კი ექსპერტები ფართო საზოგადოებას უახლოეს მომავალში საგანგებო სემინარებისა და კონფერენციების დახმარებით განუმარტავენ.

# ვის მიმართონ ბუზუკაშვილებმა?

დედაქალაქის ცენტრში მცხოვრები ბუზუკაშვილების ოჯახის სახლის ნახევარი 30 ოქტომბერს მთლიანად ჩამოიშალა, რაშიც დაზარალებულები მთლიანად ქალაქის მერიასა და პირადად ვანო ზოდელავას ადანაშაულებენ.

პუშკინის 17 ნომერში მდებარე სახლი, რომელშიც ბუზუკაშვილები ცხოვრობდნენ, 10 წელია, სრულიად აშკარად ინგრეოდა, მაგრამ, მრავალი მიმართვისა და თხოვნის მიუხედავად, მერიაში თითიც არავის გაუნძრევია. როგორც ბუზუკაშვილები ამბობენ, ამ უყურადღებობის მიზეზი სახლის ხელსაყრელი მდებარეობით "ძლიერთა ამა სოფლისათა" დაინტერესება იყო, რომლებიც სახლის დანგრევასა და ბუზუკაშვილების გასახლებას მოუთმენლად ელოდნენ. გასახლების მოთხოვნით, მერიას სასამართლოშიც კი უჩივლია. სხვათა შორის, 1998 წელს სასამართლოსთვის ბუზუკაშვილებსაც მიუმართავთ. ისინი აღნიშნულ სახლზე, როგორც კერძო საკუთრებაზე, უფლების აღდგენას ითხოვდნენ და საკუთრების დამადასტურებელი ისტორიული საბუთებითაც აღჭურვილი იყვნენ, მაგრამ სასამართლოს მათი სარჩელი დღემდე არ განუხილავს.

2003 წლის 30 ოქტომბერს კი სახლის ნახევარი მთლიანად ჩამოიშალა. გადარჩა მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც ბუზუკაშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ... "უსაფრთხოების" მიზნით, წყალი, დენი და ტელეფონი (!) ბუზუკაშვილებს იმ დღესვე ჩაუჭრეს. ოჯახი იძულებული გახდა, ვერცხლის ქუჩაზე პატარა "სორო" დაექირავებინა.

მერე კიდევ ერთი სიურპრიზი მოხდა.

მარინა ბუზუკაშვილი: "მერიამ სახლს ბულდოზერი მიაყენა, შენობის ნაწილთან ერთად მესამე სართულზე ამავალი კიბეც მოანგრია და საკუთარ ბინაში შესვლის საშუალება მოგვისპო. არადა, იქ დაგვრჩა ავეჯი, პირადი და საოჯახო ნივთები და დავით ბუზუკაშვილის უნიკალური არქივი. მანამდე პირწმინდად გაქრა ყველაფერი, რაც სარდაფში გვქონდა. ახლა კი ვხედავ, რომ სახლი იძარცვება. ფანჯრები გაღებულია, ნივთები ყრია. რა ვქნა, ვის მივმართო?!"

*24 საათი*

# ორმოცდაცხრა გახარებული და ერთი აცრემლებული ბავშვი

*ჩვიდმეტი წლის ნატო დიღმის ბავშვთა სახლის ბინადარია. იგი, რვა წელია, იქ ცხოვრობს. მამა ადრე გარდაცვლია; ჰყავს მძიმე ავადმყოფი დედა და ბებია. ნატო ერთ-ერთია იმ ორმოცდაათი აღსაზრდელიდან, რომლებიც გუშინ თორმეტი დღით გაემგზავრნენ დასასვენებლად ბორჯომის ხეობაში, ახალდაბის ზამთრის ბანაკში.*

ლელა მარგიანი

წინასაახალწლო დღეებში დიღმის ბავშვთა სახლში კეთილი ადამიანების სტუმრობა და საჩუქრები მოხშირდა. "სახლელი" ბავშვები, როგორც ისინი თავად უწოდებენ საკუთარ თავს, გუშინაც ძალიან გახარებულები ჩანდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, ისინი დიდი, კომფორტული ავტობუსით დასასვენებლად ახალდაბაში მიემგზავრებოდნენ.

დირექტორმა ნონა მაღრაძემ გვითხრა, რომ სახლის ბინადართაგან შეირჩა ორმოცდაათი ბავშვი გაჭირვებული ოჯახებიდან და ობოლები. ეს ღონისძიება საქველმოქმედო ორგანიზაცია "ძმობის" ინიციატივითა და ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის სრული ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

"ბავშვები თორმეტი დღის განმავლობაში დაისვენებენ; იქ შეხვდებიან ახალ წელს. მათ პირველ იანვარს საახალწლო საჩუქრებიც ელით. ბავშვებს მიჰყვებიან ექიმი და ექთანი, ხოლო არდადეგების ხალისიანად გატარებაში აღსაზრდელებს ხუთი მასწავლებელი დაეხმარება," – გვითხრა ქალბატონმა ნონამ.

ბავშვებთან ერთად ბორჯომის ხეობაში გაემგზავრა ახალგაზრდა პედაგოგი ცირა დიღმელაშვილიც, რომელიც თავადაც ამ სახლის აღზრდილია და, დირექტორის კეთილი ნებით, დღემდე იქ ცხოვრობს. მან გვითხრა, რომ ბავშვებს სპეციალურად შედგენილი პროგრამით – პოეზიის და გასართობი საღამოებით კიდევ უფრო გაუხალისებენ არდადეგებს.

დიდ ავტობუსში მაღალკლასელმა ბიჭებმა თავად ჩატვირთეს თორმეტი დღის საგზალი.

ჩვენი იქ სტუმრობისას დირექტორის კაბინეტში აცრემლებული თორმეტი წლის ბიჭი შემოიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მას (ორმოცდაათი გახარებული ბავშვიდან ერთადერთს) ახალდაბაში წასვლა არ უნდოდა და, ლამის, დაძრული ავტობუსიდან ჩამოვიდა; ამისთვის მიზეზიც საკმაო ჰქონდა: თურმე, ჭოპორტელ, მამით ობოლ ივანეს დედა შეჰპირებია, - ან 25-ში, ან საახალწლოდ ჩამოვალ და შინ წაგიყვანო. აცრემლებულ ბავშვზე არანაირმა დაპირებებმა არ გაჭრა – მას არც გართობა უნდოდა და არც საჩუქრები - უფროსი დისგან განსხვავებით, ის ბავშვთა სახლში დარჩა დედის მოლოდინში.

მოკლედ

## უსაფრთხოება ახალი წლის ღამეს

ახალი წლის ღამეს სადღესასწაულო ღონისძიებებზე დამსწრე მოქალაქეთა უსაფრთხოების საკითხი ქვეყნის უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილეს. 31 დეკემბრის ღამეს თბილისში მობილიზებული იქნება რამდენიმე ათასი პოლიციელი, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი და კინოლოგიური სამსახური. **მედია-ნიუსი**

## კიდევ ერთი მცდელობა

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ გარევაჭრობა აიკრძალება. რაიონში გარემოვაჭრეებით ჩახერგილი ყველა ქუჩა გათავისუფლდება, აიკრძალება ავტომანქანებიდან ვაჭრობა და გარემოვაჭრეებს სავაჭრო ადგილებს შესთავაზებენ ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე. შეგახსენებთ, რომ მსგავსი მცდელობა უკვე რამდენჯერმე იყო, მაგრამ - უშედეგოდ. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, შეიქმნა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდი. ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი გამორჩეულია. არსებობს ამ ხატის საგანგებოდ შესრულებული ასლი. იგი დაწერილია ათონის მთის ქართველთა მონასტერში — „ივერიონში" ბერების მიერ.

ბერების ოფიციალურ სიგელში წერია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლს კანონიერი ასლი ეწოდა. აღსანიშნავია, რომ კანონიერი ასლი წარმოადგენს დედანის არა მარტო ფიზიკურ მსგავსებას, არამედ სულიერსაც; კანონიერი ასლი დედანის დაზიანებისა თუ განადგურების შემთხვევაში დედანის მნიშვნელობას იძენს.

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის საგანგებოდ შესრულებული ასლი საქართველოში 1989 წლის 9 ოქტომბერს, იოანე ღვთისმეტყველის დღესასწაულზე ათონის მთიდან ჩამოაბრძანეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ბანქოს ჩვენთან ყველა თამაშობს, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რაოდენ დამღუპველი ძალაა იგი ადამიანის სულისთვის", — ნათქვამია პოჩაევის მონასტრის ბერების განმარტებაში. მართლმადიდებლური ეკლესია, მათ შორის, საქართველოს ეკლესია მიიჩნევს, რომ სათამაშო ქაღალდი ეშმაკთან ურთიერთობის იარაღია და რომ სათამაშო ქაღალდის ოთხივე ნიშანი გულისხმობს ქრისტეს ჯვარს და ქრისტიანებისთვის სათაყვანო ნივთებს: ლახვარს, ღრუბელასა და სამსჭვალს.

„უმეცრებით მრავალი ადამიანი "დურაკას" თამაშით თავს ნებას აძლევს, გაკიცხოს უფალი", — აცხადებენ პოჩაევის მონასტრის ბერები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკოლოგიურმა პოლიციამ თბილისში ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე ნაძვის ხეებით მოვაჭრეები დააკავა და უკანონოდ მოჭრილი ნაძვები ჩამოართვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მწვანეთა მოძრაობის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კამპანიის ჯგუფი საკვები პროდუქტების მსხვილი იმპორტიორებისა და მწარმოებლების გამოკითხვას აგრძელებს. გამოკითხვის მიზანია მათი დამოკიდებულების შესწავლა გენმოდიფიცირებული ინგრედიენტებისადმი და იმის დადგენა, იყენებენ თუ არა ისინი თავიანთ პროდუქტებში გენმოდიფიცირებულ კომპონენტებს. ჯგუფი ასეთ გამოკითხვას ყოველწლიურად ატარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ტოკიო.** იაპონელმა პოლიციელებმა ორი უცხოელი ეკოლოგი მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი ყურეში ჩაკეტილი 10 ვეშაპიდან ერთ-ერთის გათავისუფლებას ცდილობდნენ. როგორც იაპონელმა პოლიციელებმა განაცხადეს, დაკავებულთაგან ერთი ამერიკელი და ერთიც ჰოლანდიელია. დაკავებისას ეკოლოგებს ჩამოართვეს გადამღები კამერა და ამ კადრების ამსახველი დოკუმენტური ფილმი. შეგახსენებთ, რომ იაპონია ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, სადაც ვეშაპების მოპოვება ნებადართულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვეტგაერთიანების თანამშრომლებმა მეტროსადგურ „დიდუბის" და ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე გაფართოებული საახალწლო გარევაჭრობის შემოწმება დაიწყეს.

ვეტექიმები გარევაჭრობის სხვა ადგილებზეც გავლენ და ახალ წლამდე ყველა ბაზრობაზე იმუშავებენ. სარეალიზაციოდ გამოტანილი ხორცი და ხორცპროდუქტები ლაბორატორიულად შემოწმდება და ყველა მოვაჭრეს ექნება შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის საელჩომ ზუგდიდში საქველმოქმედო აქცია ჩაატარა. ზუგდიდის რამდენიმე საბავშვო ბაღში საელჩოს წარმომადგენლებმა თბილი ტანსაცმელი და საახალწლო საჩუქრები დაარიგეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს 25-კაციანი ჯგუფი ირანში გაემგზავრა. ქართველი მაშველები ირანში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში მიიღებენ მონაწილეობას. მაშველთა ჯგუფი თბილისის აეროპორტიდან თავად შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გააცილა. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, სამაშველო ჯგუფის ირანში ყოფნის ხანგრძლივობა წინასწარ ცნობილი არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები საკუთარ უფლებებს იცავენ და ერთიან სამოქმედო გეგმას ამუშავებენ. ამ მიზნით, გუშინ ეთნიკური უმცირესობების ლიდერები სასტუმრო "მარიოტში" შეიკრიბნენ.

"მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს" და სომხური სათვისტომოს ხელმძღვანელმა არნოლდ სტეფანიანმა განაცხადა, რომ დღევანდელი შეხვედრა საქართველოში არსებული ეროვნული უმცირესობებისათვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის პრობლემების განხილვას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის მონაცემებით, 2003 წლის განმავლობაში დისციპლინარული წესით 20 პროკურორი დაისაჯა. აქედან ცხრა თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს, სამს – უფლებამოსილება შეუჩერეს, შვიდ პროკურორს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს და ერთი მათგანი [illegible] გადაიყვანეს. პროკურორთა დისციპლინარული დევნის ძირითადი საფუძველი პროკურატურის მუშაკისთვის შეუფერებელი საქციელი გახდა. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან მიმდინარე წლის განმავლობაში 79 ძებნილი ექსტრადირებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ინფორმაციით, 2003 წლის განმავლობაში, საქართველომ რუსეთს – სამი, აზერბაიჯანს – სამი, სომხეთს – ორი, უკრაინას – ერთი და ლიტვას – ერთი ძებნილი გადასცა. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ [illegible] მიმდინარე წელს სხვადასხვა სახელმწიფოებს 200-მდე შუამდგომლობით მიმართა. **ინტერ-პრესი**

**ახმეტა.** ახმეტის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა პანკისის ხეობის [illegible] 200 გრამი ტროტილი [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** შს სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის და შს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ნარკოტიკების მომხმარებში [illegible] 21 თანამშრომელი დაითხოვეს, [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** ნაძვის ხის ნარგავების უკანონო ჭრაში ეკოლოგიის პოლიციის თანამშრომლებმა [illegible] 320 ძირი [illegible] 3 840 ლარი [illegible] **პრაიმ-ნიუსი**

**ზუგდიდი.** ზუგდიდის პოლიციამ გუშინწინ ზუგდიდში, [illegible] 80 კგ [illegible] 2 400 ლარი [illegible] 22 წლის [illegible] **ინტერ-პრესი**

**ქუთაისი.** ქუთაისის მერმა ნუგზარ ფალიაშვილმა, ორი დღის წინ, [illegible] **ინტერ-პრესი**

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისის მახლობლად, თერჯოლის რაიონის სოფელ [illegible] "06" [illegible] 252 თანამშრომლის ხელფასები [illegible] 47 ათასი ლარი [illegible] **ინტერ-პრესი**

# საახალწლო ფეიერვერკი კონტრაბანდისტთა სავალ გზებზე

### შიდა ქართლის გუბერნატორი კონტრაბანდისტებს ტროტილს უფეთქებს





*კონტრაბანდისტთა მიერ გაკვალული 52 შემოვლითი გზიდან, სპეცჯგუფმა სამი უკვე ჩახერგა*

*შიდა ქართლის გუბერნატორის ინიციატივით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, "საახალწლო ფეიერვერკი" გაიმართა – ირაკლი ოქრუაშვილის მოთხოვნით, უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა კონტრაბანდისტთა სავალი გზები ტროტილით ააფეთქეს.*

ინგა ალავიძე

შიდა ქართლის გუბერნატორის მოთხოვნით, უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმები რეგიონში კვლავ დაბრუნდნენ და რამდენიმე კვირის წინ კონტრაბანდისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ახალი გეგმით გააგრძელეს. ირაკლი ოქრუაშვილის მოთხოვნით, ძალოვანთა მიერ შიდა ქართლში ჩატანილი ხუთი კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი უკვე გაიხარჯა. კონტრაბანდისტთა მიერ გაკვალული 52 შემოვლითი გზიდან, სპეცჯგუფმა სამი უკვე ჩახერგა – მათ გზები ააფეთქეს.

**"ვერ წარმოიდგენთ, რა სიტუაციაა. როცა კონტრაბანდის ერთ გზაზე ვართ ჩასაფრებულნი, მირეკავენ და მეუბნებიან, რომ კონტრაბანდული ტვირთი სხვა შემოვლით გზებზე გადაადგილდება, მივდივართ იქ და კიდევ გვირეკავენ, გვატყობინებენ, რომ ახლა სხვა გზებია "დატვირთული"... სულ 52 შემოვლითი გზაა და ყველას გადავკეტავ, ზოგს ავაფეთქებთ, ზოგსაც ჩავხერგავთ. სხვა გზა არ არსებობს, ეს არხები აუცილებლად უნდა ჩაიკეტოს,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის გუბერნატორმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

გუშინწინ და გუშინ შიდა ქართლში მძლავრი აფეთქებების ხმა ისმოდა, **"კონტრაბანდისტებს საახალწლო ფეიერვერკი მოვუწყვეთ,"** - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა და გორი-ცხინვალის მაგისტრალზე მდებარე ის გზები ააფეთქა, რომლებზეც ყველაზე აქტიურად მოძრაობდა კონტრაბანდული ტვირთი. ერგნეთის მიმდებარე ტერიტორიები, კარალეთისა და ორთაშენის შემოვლითი გზების ნაწილი, დაუსახლებელი ტერიტორიები ტროტილის აფეთქებით გადაიკეტა, ხოლო ის კონტრაბანდული გზები, რომლის სიახლოვესაც მოსახლეობა ცხოვრობს, ბულდოზერების მეშვეობით ისე გადაითხარა, რომ სატვირთო მანქანების მოძრაობა შეუძლებელია.

შიდა ქართლის გუბერნატორის ანტიკონტრაბანდულ "აფეთქებებს", მართალია, კოკოითის ხელისუფლების გამოხმაურება არ დაუმსახურებია (გავრცელებული ინფორმაციით, კონტრაბანდისტთა მფარველები კოკოითის ხელისუფლებაში მრავლად არიან), მაგრამ მას ერგნეთის ბაზრობაზე მოვაჭრეთა უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ერგნეთელი მოვაჭრეები შიშობენ, რომ ბაზრობიდან დიდი ტვირთები აღარ გამოვა, რაც მათ პირად ბიუჯეტს დააზარალებს. მიუხედავად ამისა, ირაკლი ოქრუაშვილის გეგმებში კონტრაბანდული გზების აფეთქება კვლავ შედის. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა შემოვლითი გზა ანუ, საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი მკვებავი არტერია, საიდანაც შემოსული კონტრაბანდა საქართველოს ბაზრის დიდ ნაწილს ავსებს, საბოლოოდ არ გადაიკეტება.

შიდა ქართლის გუბერნატორს მიბაძა და ანტიკონტრაბანდული ბრძოლა გააჩაღა ქვემო ქართლის გუბერნატორმა ზურაბ მელიქიშვილმაც. კონტრაბანდული ტვირთის გამოვლენის მიზნით, სპეცოპერაციები დაიწყო "წითელი ხიდზეც". ძალოვანებმა დააკავეს "იკარუსის" მარკის ავტობუსი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანიდან "წითელი ხიდის" საბაჟოს გავლით, შემოჰქონდა კონტრაბანდული საქონელი, რომლის სავარაუდო ღირებულება 30 ათასიდან 50 ათას ლარამდეა. გარდა ამისა, საბაჟო პუნქტზე დააკავეს 52 იკარუსი, რომელთა მძღოლებსაც სოლიდური ჯარიმა გადაახდევინეს. კონტრაბანდული ტვირთის დასაპატიმრებლად სპეცღონისძიებები "წითელ ხიდზე" პერმანენტულად გაგრძელდება. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულმა ქვემო ქართლის გუბერნატორმა საკადრო ცვლილებებიც განახორციელა. ზურაბ მელიქიშვილმა "წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტის ხელმძღვანელი ნუგზარ შურღაია თანამდებობიდან გაათავისუფლა.

# ქართველი ქალი ტერფიკინგისთვის დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

მიმდინარე წლის ზაფხულში ვალეს საბაჟო-გამშვებ პუნქტთან თურქეთიდან მომავალი ორი ქართველი ქალი მივიდა და მებაჟეებს საქართველოში შემოსვლის ნება სთხოვა. მეზობელი ქვეყნიდან გამოქცეულებს არც პასპორტები ჰქონდათ და არც პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ქალებმა საკუთარი ტრაგედია პირველად საზღვრის დაცვის თანამშრომლებს გაანდეს. შემდეგ კი განცხადება პროკურატურაში შეიტანეს და დამნაშავის დასჯა მოითხოვეს.

ახალგაზრდა ქალების ისტორია სამუშაოს ძებნით დაიწყო. უმუშევრად დარჩენილმა ქარელის რაიონში მცხოვრებმა მაკა ემანულიძემ და სურამელმა თამარ გორდელაძემ, ოჯახების რჩენის მიზნით, სამუშაოდ თურქეთში წასვლა გადაწყვიტეს. სხვადასხვა წყაროების საშუალებით, მათ ქალაქ ყვარელში მცხოვრები ცირა ბაღოშვილი გაიცნეს. როგორც ხდება ხოლმე, ბაღოშვილმა ლუკმა-პურის მაძიებლებს მეზობელ ქვეყანაში გაყვანის და კარგად ანაზღაურებადი სამსახურის გარანტია მისცა. შეთანხმების თანახმად, ბაღოშვილმა კლიენტები თურქეთში გადაიყვანა, პასპორტები გამოართვა და შემდეგი "პატრონობისთვის" თურქიეროვნების მამაკაცს ჩააბარა.

გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების თანახმად, უფულოდ და საბუთების გარეშე დარჩენილი ქართველი ქალები უცნობმა მამაკაცმა ერთ-ერთ სასტუმროში მიიყვანა, საიდანაც გამოსვლის უფლებას აღარ აძლევდა და აიძულებდა მათ, სხვადასხვა მამაკაცებთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინათ. მათი თქმით, თურქ ზედამხედველს ქართველი ქალები, კლიენტების მომსახურების მიზნით, ზოგჯერ სხვადასხვა სამოქალაქო დაწესებულებებშიც მიჰყავდა ხოლმე, საიდანაც კვლავ სასტუმროში აბრუნებდა. მაკა ემანულიძემ და თამარ გორდელაძემ ტყვეობაში რამდენიმე თვე გაატარეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ბაღოშვილი აღარ უნახავთ. თუმცა, როგორც თურქი მამაკაცისგან გაიგეს, გამომუშავებული თანხის პროცენტი მათთვის ბაღოშვილს უნდა გადაეხადა. მაგრამ "გაყიდული" ქალებისთვის არც ფული მიუცია ვინმეს და არც პასპორტები დაუბრუნებიათ.

ბოლოს, ემანულიძემ და გორდელაძემ, როგორც იქნა, სასტუმროდან გაპარვა და სამშობლოში დაბრუნება მოახერხეს.

პროკურატურაში შეტანილი განცხადების პარალელურად, დაზარალებულმა ქალებმა სასამართლოსაც მიმართეს და სამოქალაქო სარჩელით, მორალურ კომპენსაციასთან ერთად, გამომუშავებული თანხის - 2 ათას-2 ათასი დოლარის დაბრუნებაც მოითხოვეს.

რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, ასევე ვალეს საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, ქართველმა სამართალდამცველებმა მთავარი დამნაშავე ცირა ბაღოშვილიც დააკავეს.

დაზარალებულებთან დაპირისპირებისას ბაღოშვილმა აღიარა დანაშაული, თუმცა თავი იგივე მიზეზით იმართლა, რა მიზეზმაც მაკა ემანულიძე და თამარ გორდელაძე თურქეთში ჩაიყვანა.

"სამუშაოდ თურქეთში ადრეც დავდიოდი, ბოლოს ძალიან გამიჭირდა და ამ საქმეს მივყავი ხელი," – განაცხადა დაკითხვისას ცირა ბაღოშვილმა.

სამართალდამცველებმა ბაღოშვილს დაკავებისას მთავარი ნივთმტკიცება – რვეული აღმოუჩინეს. ეს არის ნუსხა და მუშაობის გრაფიკი იმ ქალებისა, რომლებიც ბაღოშვილს თურქეთში სექსუალური კავშირის დასამყარებლად ჰყავდა ჩაყვანილი. ბაღოშვილი იმ რვეულშივე ინიშნავდა, რა რაოდენობის თანხას იხდიდა კლიენტი ამა თუ იმ ქალის მომსახურებაში. როგორც გაირკვა, ბაღოშვილს თურქეთში, მაკა ემანულიძის და თამარ გორდელაძის გარდა, სხვა ქალებიც ჰყავდა წაყვანილი, თუმცა ისინი პროკურატურასთან ურთიერთობას თავს არიდებენ. ქალებით ვაჭრობიდან მიღებული, ბაღოშვილის ყოველთვიური შემოსავალი რამდენიმე ათას დოლარს აღწევდა.

დღეისთვის ცირა ბაღოშვილი თბილისის N5 საპყრობილეში წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორის მოადგილის გია წამალაშვილის ინფორმაციით, საქმე ტრეფიკინგის მუხლით არის აღძრული. გამოძიება კი გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში ბაღოშვილის მოკავშირე სხვა დამნაშავეებიც გამოვლინდნენ. იმ თურქი მამაკაცის საქმეს კი, რომელიც ბაღოშვილის პირდაპირი მოკავშირე იყო, თურქეთის პროკურატურა იძიებს. მისი ვინაობა უკვე ქართველი სამართალდამცველებისთვისაც ცნობილია, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მის გვარს ჯერჯერობით არ ასახელებენ. რა სახის სასჯელი დაეკისრება თურქეთის მოქალაქეს ქართველი გოგოების მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის, ჩვენთვის უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ცირა ბაღოშვილს ტრეფიკინგისათვის რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# აფხაზურმა მილიციამ ქართველებს ეგზეკუცია ჩაუტარა

ხათუნა ჯანგირაშვილი

გალის რაიონის სოფელ პრიმორსკოედან გატაცებული სამი აფხაზი მესაზღვრის ადგილ-სამყოფელის ძიებაში, აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს ეგზეკუცია ჩაუტარა. პრიმორსკოედან სამი აფხაზი მესაზღვრის გაუჩინარების დღესვე,

რაიონის ქართულ მოსახლეობაში აფხაზი მილიციელების 40-კაციანი ჯგუფი შეიჭრა. აფხაზმა სამართალდამცველებმა ქართულ სოფლებში "წმენდა" ჩაატარეს, გაგიდიდან და ქვემო ბარღებიდან ათი ქართველი მძევლად აიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ.

მესამე დღეა, არანაირი ოფიციალური ინფორმაცია ქართველი მძევლების შესახებ არ არსებობს, თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ განაცხადა, ქართველ სამართალდამცველებს მომხდარის შესახებ გარკვეული ინფორმაციები გააჩნიათ, რომელთა გამჟღავნებისგანაც, ჯერჯერობით, თავს იკავებენ. ლევან კიკნაძე გალის რაიონში ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს ზოგად შეფასებას აძლევს და აცხადებს, რომ გალის რაიონში სიტუაცია არ დაწყნარდება მანამ, სანამ საბოლოოდ არ მოგვარდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პრობლემა.

**"მოხდა ის, რაც წლების განმავლობაში ხდება ამ რაიონში. აფხაზებს ყოველთვის პატარა, უბრალო საბაბი უნდათ, რომ ქართველებს დაერიონ. გაიტაცებენ ვინმეს, მოითხოვენ გამოსასყიდს, მძევალს ან ყელს გამოჭრიან, ან ფეხებით დაკიდებენ, ბოლოს კი ყველაფერს მაინც ქართველებს აბრალებენ. ჩვენ ყოველთვის წამგებიან პოზიციაში ვართ. ერთი სიტყვით, გაიტაცებენ აფხაზები ქართველს, ამის საპასუხოდ, ქართველები მოიტაცებენ აფხაზს. ეს "წესები" აქ კარგა ხანია, უცხო აღარ არის. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, რისი თქმაც ამ ეტაპზე შეგვიძლია, მხოლოდ ის გახლავთ, რომ გატაცებული აფხაზი მესაზღვრეებიც და ქართველი მძევლებიც ცოცხლები არიან",** - განაცხადა 24 საათთან საუბრისას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრმა.

აფხაზების მტკიცებას, რომ მათი მესაზღვრეები ქართველმა პარტიზანებმა გაიტაცეს, ლევან კიკნაძე არც უარყოფს და არც ადასტურებს.

ჩვენი ინფორმაციით, სოხუმის ხელისუფლებას დაქვემდებარებული აფხაზური მილიციის თანამშრომელთა ჯგუფმა, რომელიც ქართულ მოსახლეობაში რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილი ჯავშან-ტექნიკით შეიჭრა, ქართული ოჯახების ჩხრეკის შემდეგ, წინასაახალწლოდ მომზადებული პროდუქტები და სურსათი თან გაიყოლა.

ერთი სიტყვით, იარაღის ძებნისა და გაუჩინარებული მესაზღვრეების პოვნის საბაბით ქართველებთან მივარდნილმა აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის ქართული მოსახლეობა დააყაჩაღა. ქართველი სამართალდამცველებისთვის ჯერჯერობით უცნობია იმ აფხაზი მილიციელების ვინაობა, რომლებმაც წინასაახალწლოდ ქართველებში ეგზეკუცია ჩაატარეს.

# რუსებმა ჭიჭიაშვილს ახალი დანაშაულები ამოუქექეს

რუსი სამართალდამცავების მიერ დაკავებული ქართველი ბოროტმოქმედის შოთა ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიციასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად მოსკოვში გაემგზავრა უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი.

ჭიჭიაშვილის ჩამოყვანა 26 დეკემბრისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა, გადაიდო.

როგორც საქართველოს უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, რუსეთის პროკურატურამ ჭიჭიაშვილის მიერ რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით რამდენიმე ახალი გარემოება აღმოაჩინა, რის გამოც ექსტრადიცია რამდენიმე დღით შეფერხდა.

უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, მართალია, რუსეთის გენერალური პროკურატურის მხრიდან, ახალი პრობლემები გაჩნდა შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, მაგრამ საკითხი არსებითად გადაწყვეტილია.

ხაბურძანიას თქმით, კოტეტიშვილი მას ექსტრადიციის თაობაზე ორშაბათს შეატყობინებს. **მედია-ნიუსი**

# ყოფილი "ალფელი" საპყრობილეში შიმშილობს

უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების ყოფილი რაზმის "ალფას" წევრი, ამჟამად უშიშროების სააგენტო "GGK"-ს ხელმძღვანელი, უშიშროების პოლკოვნიკი კონსტანტინე შავიშვილი, რომელიც იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით 18 დეკემბერს დააკავეს, თბილისის მე-5 საპყრობილეში, პროტესტის ნიშნად, შიმშილობას განაგრძობს.

შავიშვილის ადვოკატის გულიკო გაბაიძის თქმით, შავიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია, თუმცა იგი საკვების მიღებაზე მაინც უარს ამბობს.

როგორც ცნობილია, კონსტანტინე შავიშვილი და მისი თანამშრომლები - თორნიკე პაპიძე, ჭიჭიკო გაბისონია, პაატა დარცმელია და ედუარდ ნაცვლიშვილი, პოლიციელებმა 18 დეკემბერს თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებებით დააკავეს. დაკავებამდე ორი დღით ადრე მათ ს/ს "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პანტიკო თორდიას პირად დაცვაში დაიწყეს მუშაობა.

ადვოკატ გულიკო გაბაიძის თქმით, იარაღი, რომლის გამოც შავიშვილი და პაპიძე დააკავეს, შავიშვილზე ოფიციალურად არის გაფორმებული, თუმცა ამ დოკუმენტს გამოძიება მალავს.

ვაკე-საბურთალოს სასამართლომ ყველა დაკავებულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და თბილისის საოლქო სასამართლო "ალფას" წევრთა პატიმრობაში აყვანის კანონიერების საკითხზე 30 დეკემბერს იმსჯელებს. **მედია-ნიუსი**

# აკაკი ჩხაიძეს შს სამინისტროში იძულებით მიყვანით ემუქრებიან

"საქართველოს რკინიგზის" ყოფილი დირექტორის აკაკი ჩხაიძის შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მის მიმართ იძულებით ღონისძიებას გამოიყენებენ", - განაცხადა გუშინ შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი განუგრავამ.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა აკაკი ჩხაიძე მოწმის სახით დასაკითხად ორჯერ გამოიძახა და შესაბამისი უწყება გაუგზავნა, თუმცა "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი შეფი სამინისტროში, ჯერჯერობით, არ მისულა.

საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს სისხლის სამართლის ორ საქმეს, რომელიც "საქართველოს რკინიგზაში" გამოვლენილ დანაშაულებს ეხება. ესენია: "საქართველოს რკინიგზის" მიერ "ჩითახევჰესსა" და "ბჟუჟჰესთან" გაფორმებული ხელშეკრულებები.

გამოძიების მონაცემებით, "საქართველოს რკინიგზამ" ამ ხელშეკრულებების განხორციელებისას სახელწიფო ბიუჯეტს 446 000 ლარი დაუმალა.

სისხლის სამართლის კიდევ ერთი საქმე, რომელსაც საგამოძიებო დეპარტამენტის სატრანსპორტო სამმართველო იძიებს, "საქართველოს რკინიგზაში" 1000-მდე ვაგონის ჩამოწერას და დაჭრას ეხება, რომლის შედეგად სახელმწიფომ 4 მლნ ლარზე მეტი ზარალი განიცადა. ამ საქმეზე უკვე დაკავებულია "საქართველოს რკინიგზის" თანამდებობის პირები - რამაზ გრიგორაშვილი და ავთანდილ თომაძე. **მედია-ნიუსი**

# კუბა გუანტანამოს რეჟიმის წინააღმდეგ

კუბის ხელისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებს ამჟამად გუანტანამოზე დამყარებული რეჟიმის გამო აკრიტიკებს. სხვათა შორის, აქამდე ფიდელ კატროს მმართველობა მოთმინებით ეკიდებოდა იმ ფაქტს, რომ ამერიკა ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დაპატიმრებულ პირებს სწორედ ამ ტერიტორიაზე ამყოფებდა. ახლა უკვე კუბელ დეპუტატთა პოზიცია ცალსახაა – მათ თავიანთ განცხადებაში გუანტანამოს ბაზას საკონცენტრაციო ბანაკი უწოდეს, სადაც უცხოელი ტყვეები ენით აუწერელ დამცირებას იტანენ.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებს გუანტანამოს ყურის ტერიტორია სამხედრო-საზღვაო ბაზისთვის თითქმის უხსოვარი დროიდან აქვს იჯარით აღებული. აქ მის მმართველობას 1959 წელს, რევოლუციამდე და, შესაბამისად, ფიდელ კასტროს ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე დადებული ხელშეკრულება ამაგრებს. ამ წლების მანძილზე ფიდელ კასტრო ამ ხელშეკრულებას ყოველთვის უკანონოს უწოდებდა. მეტიც, არც ერთი იმ ჩეკისთვის, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები, ხელშეკრულების თანახმად, ყოველწლიურად უგზავნის კუბის ხელისუფლებას, იჯარის გადასახადის სახით, კასტროს კონვერტაცია არ გაუკეთებია. ის თავის პროტესტს ამ ფორმით გამოხატავს – ჩეკებს ფულად არ აქცევს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, კუბას აქამდე არ გამოუთქვამს პროტესტი იმის გამო, რომ გუანტანამო ტერორისტული დაჯგუფებების ბოევიკებისა და ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა საპყრობილედ გადააქციეს. მეტიც, ბევრი მიმომხილველი გაოცებასაც კი გამოთქვამდა, როდესაც ოფიციალურმა ჰავანამ, მაშინ, როცა გუანტანამოზე პაკისტანიდან და ავღანეთიდან ჩამოყვანილი პირველი ტყვეები გამოჩნდნენ, ბაზის ხელმძღვანელობას სურსათის მომარაგებითა და სამედიცინო მომსახურებით დახმარება შესთავაზა.

ახლა კი კუბამ გადაწყვიტა, თავისი ხმა შეეშველებინა კრიტიკოსთა საერთაშორისო გუნდისათვის, რომლებიც აღშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ გუანტანამოზე დაკავებულთა უფლებები დაუცველია.

როგორც ცნობილია, უკვე ორი წალიწადია, რაც გუანტანამოს ბაზაზე 600-მდე ტყვე იმყოფება. მათი სტატუსი გაურკვეველია, ბრალდება მათთვის არავის წარუდგენია, ადვოკატის აყვანის უფლება კი მხოლოდ ერთადერთმა მათგანმა სულ რამდენიმე დღის წინ მოიპოვა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ამერიკის შეერთებული შტატები ირწმუნება, რომ ბაზაზე ყველაფერი წესრიგშია და ტყვეებს ჰუმანურად ექცევიან.

სავარაუდოდ, არც კუბის პროტესტის შემდეგ შეიცვლება რაიმე. თუ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებათა კრიტიკამ ამერიკელ სამხედროებზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა, საეჭვოა, რომ ძველი იდეოლოგიური მტრის შეძახილები გუანტანამოზე ცვლილებების დაწყების საწინდარი გახდეს.

# ვარდების რევოლუცია და ასი ათასი თავგანწირული ქართველი

მანანა კაკაბაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პირველად მომეწონა პოლიტიკოსი. პირველად ვწერ მხარდამჭერ წერილს პოლიტიკოსზე, აქამდე მხოლოდ მათი კრიტიკოსი გახლდით. დაბადებიდან ასე ვიყავი, "ყვარყვარე თუთაბერის" ავტორის შვილი, სხვანაირი ან კი როგორ ვიქნებოდი. ამიტომ უკვე დაბადებიდან ვატარებდი დამღას - "საეჭვო", "საშიში პიროვნება", "მოუთვინიერებელი", "არაკეთილსაიმედო". "სუკის" თეორეტიკოსთა მიერ დამუშავებული მსგავსი ტერმინები და შტამპები თან სდევდა ადამიანებს ათასწლეულების მანძილზე. ოჯახებში, სადაც განსაკუთრებით მკვეთრი იყო მოქალაქეობრივი გრძნობა და პასუხისმგებლობა ერის წინაშე, ეს ტერმინები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და არ უჩანდა დასასრული ამ პროცესს. იცვლებოდნენ ხელისუფალნი, ცეკას ნომენკლატურის მესვეურნი, მაგრამ არ იცვლებოდა მათი დამოკიდებულება მამაჩემის მიმართ, ჩვენი ოჯახის და ჩვენისთანათა მიმართ. ყველა მათგანი თვლიდა, რომ მტერი უნდა ყოფილიყო და მოწინააღმდეგე "მოუთვინიერებელთა" მიმართ. ჩვენ ხელს ვუშლიდით ჩვენი არსებობით, ჩვენი აზროვნებით, მოქმედებით, ფიქრებითაც კი. მათ აწყობილ, კოსმოპოლიტურ, სიცრუით გაჟღენთილ ცხოვრებაში დისონანსი შეგვქონდა. და არ თავდებოდა ყვარყვარეთა ზეიმი, ყვარყვარეთაგან დევნა მოქალაქეების, ყვარყვარეთა ცინიზმი და პარპაში.

104 მილიონი რეპრესირებული, ასე გამოაცხადა რუსეთის პრესამ საბჭოეთის ნგრევის პროცესში. შემდეგ გაჩუმდნენ.

ფაშისტებმა 7 მილიონი კაცი მოკლეს წამებით, აქ კი 104 მილიონი. ეს რიცხვია, რომელიც უსასრულობაში გადადის და ღაღადებს უბუნებო დანაშაულზე! ერთი და მრავალი, უთვალავი, აღიქმება ერთნაირად კაცის გრძნობისათვის. ერთის ტრაგედია სრულად იტევს საკაცობრიო სევდას... მაგრამ ასეული მილიონი, ეს ხომ უთვალავია, უთვალავი ხელყოფილი სიცოცხლე... უთვალავი ტრაგედია - დროისა და სივრცის გარეშე აყენებს ბოროტებას მისთა შემოქმედთა, რამეთუ ჯოჯოხეთის ბინადართა ბოროტებასაც საზღვარი აქვს დადებული ღვთის მიერ, აქ კი ადამიანმა გადააჭარბა ყველა უხორცო ბოროტ სულს...

მარქსისტ საბჭოთა ფუნქციონერებისათვის, რომელთა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა საბჭოურ ეპოქაში, სადაც მილიონობით ადამიანი იხვრიტებოდა, ადამიანისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა სრულიად გაუგებარია. ადამიანი მათთვის მხოლოდ ძალადობის საგანია, რომელიც შეუძლია აშიმშილოს, მოკლას და ვაშა აძახებინოს, ტყუილებით და ცრუ დაპირებებით აბუჩად აიგდოს, როგორც ნივთი, გამოიყენოს თავისი მიზნებისათვის და თუ ხმა ამოიღო, განუკითხავად დასაჯოს. ასეთი მორალით აღზრდილი მთავრობისათვის და მათთან დაახლოებული პირებისათვის გაუგებარი იყო ნოემბრის მოვლენები. ჩვეულებრივ, ისინი ლაპარაკობდნენ მხოლოდ ლიდერებზე და ბრალს უყენებდნენ მათ, თითქოს ხალხის ნება და მათი მოთხოვნები არც არსებობდა! არ არსებობდა მათთვის ასი, ორასი ათასი აღელვებული, თავგანწირვამდე მისული ქუჩაში გამოსული ადამიანი. ისინი მათთვის მხოლოდ ძალადობის საგანი იყვნენ, რომელთაც, ჩაგვრის სხვა ფორმებთან ერთად, უკვე მერამდენედ, თავს მოახვიეს გაყალბებული არჩევნები და, ამრიგად, უკანასკნელი იმედიც გადაუწურეს!

ეს მთავრობა ხომ, ყრუ ხალხის მოთხოვნათა მიმართ, საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და მისი სახეცვლილი შთამომავლობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მცირე ხანს გაგვიჩნდა ილუზია გადარჩენისა, მაგრამ სისხლში ჩაახშვეს თავისუფლება და საბჭოური წყობა ახალ ვარიანტში დაგვიბრუნდა, რომელიც სულაც არ იყო უკეთესი ძველზე.

ამ პერიოდზეა ათეულ ათასობით ომებში დახოცილი, ასეულ ათასობით სიღატაკით და უპატრონობით სიცოცხლემოსწრაფებული ადამიანი, ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკური ტერორი, წითელი ტერორის ახალი ფორმა, ფსევდოდემოკრატიით შენიღბული.

როცა კაცს ამუშავებ და არ უხდი კუთვნილ ფასს, თუნდაც საარსებო მინიმუმს, ამით შენ მას უმთავრესს, სიცოცხლის უფლებას ართმევ, მონაზე, კატორღელ პატიმარზე უარეს მდგომარეობაში აყენებ და აქ ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე. ასეთი ლაპარაკი მხოლოდ პირმოთნეობაა და სიყალბე.

მოჩვენებითი დემოკრატია, შეზავებული მკაცრი ეკონომიკური რეპრესიებით, სულს აცლიდა ხალხს და შიმშილით სიკვდილს უქადდა ყველას, ვინც სამშობლოს ინტერესების გამყიდველ მთავრობას მხარში არ ამოუდგებოდა და მის შემაძრწუნებელ საქმეებს მონაწილედ არ გაუხდებოდა. შარაგზის ყაჩაღობა და მათხოვრობა მიუსაჯეს მთელ ერს, და ფიქრობდნენ, რომ მოკლეს ერის სული.

მაგრამ შიმშილზე და ტანჯვაზე მძლავრი გამოდგა ეროვნული ღირსების გრძნობა, როცა ერს ბოლო იმედიც კი გამოაცალეს ჩაშლილი არჩევნების სახით. ხალხში მოზღვავებული და საოცრად გაზრდილი პროტესტის გრძნობა და აღშფოთება დიდი ხანია ელოდა წინამძღოლს, ელოდა გმირს, და ახლა მან იგი იპოვა და ერთბაშად დაირაზმა მის გარშემო. გმირს გვერდს უმშვენებდნენ მისი ღირსეული მეგობრები, თანამებრძოლები.

ბატონი მიხეილ სააკაშვილი სათაყვანო გმირი შეიქმნა საქართველოსთვის. ხალხმა მიანდო მას თავისი ბედი და გაიმარჯვა. ერის ისტორიაში ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცელს წარმოადგენს ეს გამარჯვება.

ყველა სხვას, უცხო სახელმწიფოთა შვილებს, აქვთ უფლება ილაპარაკონ ამ აქტის შემოქმედ გმირზე აღფრთოვანებით და სამაგალითოდ დაუსახონ თავიანთ ხალხს მისი ქმედება.

რა ხდება ჩვენთან? უსახო და უერო, დაშტამპული ადამიანები გვიკიჟინებენ, მთელ ერს ჭკუას ასწავლიან - არ მოიწონოთ, არ შეაქოთ, არ თქვათ კარგი, თორემ თავს გაუვაო! ჩვენ კი გვგონია, თავგასულობა უღირსთა თვისებაა, ღირსეულს კი უნდა დაფასება და სწორად შეფასება, და არა ხელის შეშლა და დაბრკოლება.

ხალხმა შეიყვარა მიხეილ სააკაშვილი, იმიტომ, რომ მან გამოხატა მათი გულისცემა. მათი ტკივილი და წუხილი, მათი სამართლიანი სურვილები თავისი გულის და გონების ნაწილად აქცია. ხალხმა იწამა მისი, იმიტომ, რომ იგი თავგანწირული მებრძოლია. მისი გული თითქოს ცეცხლისაა და იწვის, და სჯერათ მისი, იმიტომ, რომ მართალია.

მე არ მინდა ცივი პოლიტიკოსი, ცივი გულით, ცივი ტვინით და ცივი თვალებით, ბრტყელი სიტყვებით რომ მიმტკიცებს თავის ჭკუას და იბრალებს ხალხის სიყვარულს, მე არ მჯერა მისი.

გულთუძრავი პოლიტიკოსები, ყრუნი ხალხის ტკივილთა მიმართ, საოცრად მომრავლებული "პოლიტიკანები", სულ მსჯელობენ და მსჯელობენ, თეთრზე შავს ამბობენ, შავზე თეთრს, და ბოლოს, ვერაფერს ვერ გაიკვლევენ ფრაზების დემაგოგიურ ლაბირინთებში, რადგან არიადნას გორგალი, სიმართლე - დაკარგეს, და სინამდვილეს თვალს არ უსწორებენ. მათი აღარ სჯერა ხალხს, რადგან მან იგრძნო, რაა ჭეშმარიტი სიყვარული და ზრუნვა გმირის, და ახლა, თუ გინდა კვლავ მიგიღოს და შეგიყვაროს ხალხმა, გულთუძრავო პოლიტიკოსო, ქიშპს და გულღძუობას მოეშვი და გულის კარი გაუღე მართალ გრძნობას, ღრმად ჩამარხულს პატივმოყვარეობის საფარს ქვეშ. სამშობლოს ბედით ნუ თამაშობთ.

თორემ ხედავთ? რევოლუცია მოხდა და "მეფე ტახტიდან გადადგა"...

როგორც "ყვარყვარე თუთაბერში" წერია:

" - ეს რევოლუციაა.

- რევოლუციაა.

- რევოლუციაა.

- რევოლუცია შლის ისტორიაში ახალ ფურცლებს...

... რევოლუცია სპობს მის მოწინააღმდეგე ატომებს...

- ბატონო რევოლუციონერო, თქვენ ალბათ, დიდი ხანია მუშაობთ ხალხის საკეთილდღეოდ..."

დიახ, ჩვენს თვალწინ, ცხოვრების სცენაზე, რევოლუცია გათამაშდა, მაგრამ ეს ვარდების რევოლუციაა, და სულაც არ ჰგავს იმ რევოლუციებს, ყვარყვარე თუთაბერი რომ წარმოშვა. ეს პრინციპულად ახალი მოვლენაა.

აქ ნამდვილი გმირი დაიბადა, და მთელი ხალხი იყო გმირი იმ დღეს, იმ გიორგობის დღეს და გიორგობის ღამეს, იმ მთავარანგელოზ მიქაელის ძლიერების დღეს.

იქ დიდი თავგანწირვა იყო. ყველა იქ მისული, ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძართან და დიდი ტაძრის ნანგრევებზე აღმართულ მთავრობის სასახლესთან, თითქოს ინათლებოდა მამულიშვილური და ღვთაებრივი სიყვარულის წმინდათაწმინდა სხივებში. შეუძლებელი იყო, იქ ვინმეს ესროლა, ან ცუდი სიტყვა ეთქვა, ან სიძულვილი ჰქონოდა ვინმესი. თავგანწირვის გრძნობა ისე საყოველთაო იყო და ისე ყოვლისმომცველი. იქ ადამიანები ამაღლდნენ სულით და თითოეული მათგანი იქცა პიროვნებად. იქ ყველამ იცოდა, როცა მოდიოდა, რომ შესაძლო იყო დატრიალებულიყო ახალი ცხრა აპრილი და არხილოს კალო, მაგრამ ისინი მოდიოდნენ და არც სინანული და შიში აღარ არსებობდა მათთვის.

გასრესილი ადამიანები, შეურაცხყოფილი ადამიანები, დამცირებულები, მოტყუებულები, დახოცილი მახლობლებით, ჭერგადაცლილები, საცხოვრისიდან აყრილები, ცრემლის მორევში ჩაძირულები მოდიოდნენ აქ და მათთვის იმედი იბადებოდა. ისინი ძლიერდებოდნენ სულით, მაღლდებოდნენ და იმდენად ბედნიერები იყვნენ, რომ სიცოცხლეს დადებდნენ ამ გრძნობისათვის.

სიყვარული და რწმენა გამარჯვებისა, რომელიც მოდიოდა გმირისაგან, წინამძღოლისაგან ამ შეკრებისა, აღაფრთოვანებდა ადამიანებს და ავსებდა მათ სულებს ნეტარი ბედნიერებით, რომელიც მხოლოდ თავგანწირულ ბრძოლას და გამარჯვებას მოაქვს თან.

თავგანწირული ღვთის მეომარი წმინდა გიორგი და უძლეველი რაინდი უფლისა, მთავარანგელოზი მიქაელი, ხალხის გულწრფელ შესაწირავს ღებულობდნენ და მფარველობდნენ ამ ბრძოლებში ადამიანებს, სადაც, სისხლის ღვრის ნაცვლად, სიყვარული იფრქვეოდა.

იქ ყველას უყვარდა ერთმანეთი და უყვარდა ღმერთი და იმედი ჰქონდა მისი, და იმედი ჰქონდა იმ გმირისა, რომელმაც მიანიჭა მათ უსაზღვრო სიყვარული და აღუდგინა რწმენა მომავლისა.

მიხეილი, მიშა სააკაშვილი შეიყვარა საქართველომ ისე ძლიერად, როგორც დიდი ხანია მას არავინ არ ყვარებია. ეროვნული გმირი ენატრებოდა საქართველოს, გამარჯვებების მომტანი გმირი ენატრებოდა საქართველოს და მან მიიღო იგი.

გმირი იბადება ბრძოლით.

გმირი იბადება თავგანწირვით.

ერი იბადება გამარჯვებებით და მაღალი იდეალების და ღვთის ჭეშმარიტი თაყვანებით.

თავისუფლება, სამართლიანობა, მოძმისათვის თანადგომა და ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც შეიცავს თავის თავში მიმტევებლობას, "გიყვარდეს მტერი შენი", "გიყვარდეთ ერთმანეთი" - ამ იდეალთა ხორცშესხმას მოელის საქართველო მომავალში მისი საყვარელი გმირისაგან.



გოგიტა ბახაძის ფოტო



შაბათს,
20 დეკემბერი - 3 იანვრის ნომერში
თქვენ იხილავთ

ნაწყვეტს აკა მორჩილაძის ახალი, გამოუქვეყნებელი რომანიდან
წლევანდელი ნობელის ლაურეატის, ჯონ მაქსველ კუტზეეს სანობელო ლექციას
ინტერვიუებს ნუგზარ შატაიძესთან და ბორის აკუნინთან
რეცენზიებს გერონტი ქიქოძის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის წიგნებზე.
მსოფლიოს ახალ ამბებს
თვის ქართულ ბესტსელერებს

წიგნები

პროზა პოეზია კრიტიკა ინტერვიუ რეცენზია ბესტსელერი საგამომცემლო საქმე

ნოდარ ლადარია

ამ ორიოდე კვირის წინათ სამხედრო ექსპერტმა, **ნიკა ჯანჯღავამ** პირველი არხის პირდაპირ ეთერში ერთი საქებარი საქციელი ჩაიდინა: ყოფილი მოქანდაკის, **თენგიზ კიტოვანის** სიტყვების შემდეგ ფეხზე წამოდგა, მიკროფონი მოიხსნა, განაცხადა, რომ სახელმწიფო ტელევიზიით ანტისემიტურ გამოსვლებს ვერ აიტანდა და სტუდია დატოვა.

ამის შემდეგ **გოგი გვახარიამ** ერთი თავისი დაკვირვების შედეგი მამცნო, რომელიც მე უკვე შეგნებული ექსპერიმენტის სახით განვავრძე. ექსპერიმენტი შემდეგში მდგომარეობს: საცდელ პირს უყვები ამ შემთხვევას, მერე კი მის რეაქციას ელოდები. თითქმის ყველა შემთხვევაში ასეთი სტანდარტული დიალოგი იმართება:

*საცდელი პირი*: რაო, ჯანჯღავა ებრაელია?

*დამკვირვებელი*: კი მაგრამ, ჯანჯღავას ებრაელობა სად გაგონილა?

*საცდელი პირი*: არა, იქნებ დედა ჰყავს ებრაელი, — ხომ იცი მათთან როგორაა?

საცდელი პირის ამ ბოლო რეპლიკის დროს მას უკვე დავიწყებული აქვს რამდენიმე წუთის წინ მოსმენილი მოთხრობა და მთელი ყურადღება გადატანილია ქართველებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტერეოტიპზე — ეთნიკურ წარმოშობაზე. ჩვენ კი ასევე მნიშვნელოვან, მაგრამ მორცხვად დაფარულ სტერეოტიპს ვავლენთ: რატომ ჰგონიათ საქართველოში, რომ პატიოსნება და თავგანწირვა მხოლოდ პირადი ნაცნობების და ეგრეთ წოდებული "ახლობლების" მიმართაა არა მარტო დასაშვები, არამედ უბრალოდ შესაძლებელი?

სწორედ ამგვარი ზნეობრივი სტანდარტის ან უსტანდარტობის გამო ხორციელდება **ირაკლი ბერიაშვილის** მიერ 23 დეკემბრის ნომერში აღწერილი ვითარება, როცა "**შეიძლება დაუსჯელად დადიოდნენ ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანების მკვლელები, შეიძლება უპენსიოდ მიატოვონ მარტოხელა მოხუცები, მაგრამ არ შეიძლება ერთი ჩვეულებრივი, საშუალო ფეხბურთელის დაპატიმრება, რომელიც ხაზინის ქურდობაში და, ფაქტობრივად, ზემოხსენებული მოხუცების უპენსიოდ დატოვებაშია ეჭვმიტანილი**".

ჩვენ კი საკითხის სიღრმეში ჩავიხედოთ და ამისთვის აუცილებელი საწყისი დებულებები ჩამოვთვალოთ. ჯერ ერთი, ჭეშმარიტების დასადგენად ხელთ მხოლოდ ადამიანების გამონათქვამები გვაქვს, ხოლო განხორციელებულ და შესაძლებელ გამონათქვამთა სიმრავლეს ენა ეწოდება. ასე რომ, ჩვენი ბედისა და უბედობის გასაღები ჩვენს ენაში და რეალობასთან მის კავშირში მოიპოვება. გამონათქვამთა გასაგებად ყოველი ჩვენგანი შეუგნებლად, ავტომატურად რთავს ორ მექანიზმს — ლექსიკონსა და ენციკლოპედიას. ლექსიკონში ჩვენი ენის მთელი სიმდიდრის ის ნაწილია ჩაწერილი, რაც თითოეული ჩვენგანის ტვინში ეტევა. ენციკლოპედია კი სიტყვებისა და გარემო სინამდვილის კავშირს აგვიწერს.

ჯერ ის ვნახოთ, როგორ მოქმედებს ლექსიკონი. ამისათვის კი ერთი გონებამახვილი ფრანგის, სახელად **პეიოს** მიერ გამოგონილი კომიქსების გმირები, ლურჯი კაცუნები გავიხსენოთ. მათ **შტრუმპფები** ჰქვიათ და იმით ხასიათდებიან, რომ მეტყველებაში ზმნებისა და არსებითი სახელების უმრავლესობას საკუთარი სახელით, "შტრუმპფით" ცვლიან. აი, წარმოვიდგინოთ ასეთი კაცუნა-შტრუმპფის ქართული ვარიანტის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მაგალითად, ასეთი:

"*ასლანდიელნო, ხვალ თქვენთვის გაასლანდება საასლანო ურნები და ყველანი უნდა წაასლანდეთ, რათა თქვენი ასლანობა დაასლანოთ! როგორი ასლანი გიასლანებთ? ნუთუ რომელიმე შემთხვევითი ასლანი, რომელიც თავის ასლანზე შორს ვერაფერს ასლანობს? არა! — ასლანური ასლანი, რომელიც თქვენთვის ასლანის უკანასკნელ ასლანამდე იასლანებს! და ეს ასლანი მე ვარ!*"

ეს ენა უკიდურესად ღარიბია, მასში არ არსებობს სინონიმები. ამის საპირისპიროდ, ის ომონიმებითაა სავსე. და მაინც, მსმენელი ადვილად ხვდება ნათქვამის აზრს, რადგან ირთვება შინაგანი ლექსიკონი და ხდება გამოყენებული ენობრივი კონსტრუქციების შედარება უკვე ცნობილთან. ასე იხსნება ერთნაირი ბგერებით გამოთქმული სხვადასხვა ცნებების საზრისი.

გაცილებით უფრო ძნელია, როცა ენის დამახინჯება საპირისპიროდ ხდება, ანუ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ბგერების საშუალებით გამოითქმის. ამ შემთხვევაში ლექსიკონი უკვე აღარ კმარა და აუცილებელია ენციკლოპედიის ჩართვა. აი, ვნახოთ, რას გვეუბნება **ცოტნე ბაკურია** თავის საშობაო ზღაპარში (25 დეკემბერი, **სოფო ბუკია**, *ბაკურია "სხვაგვარად ჭიკჭიკებს"*):

**"აჭარის ხელისუფლება გადაწყვეტილებას რეგიონის მოსახლეობის პოზიციიდან გამომდინარე მიიღებს. არჩევნების ბოიკოტირება ჩვენი თვითმიზანი არ არის, ყველაფერი კონსტიტუციის ჩარჩოებში უნდა განვითარდეს. აჭარაში ქვეყნის საზიანო არაფერი მოხდება. ჩვენი ქმედება არ გასცდება კანონიერების ფარგლებს და იგივეს მოვითხოვთ ცენტრალური ხელისუფლებისგანაც."**

ამ ენაში საზრისი სინონიმების სიმრავლის უკან იმალება. მაგრამ ამის გასარკვევად უკვე მარტო ლექსიკონი არ კმარა. საჭიროა ენციკლოპედიის ჩართვა, ანუ აწმყოსა და უახლოეს წარსულში განვითარებული მოვლენების გახსენება, მათი შეჯერება ბაკურიას გამონათქვამთან და მხოლოდ მაშინ წარმოჩნდება მისი ნამდვილი საზრისი, რომელიც ასე გამოითქმის:

"*ასლანი გადაწყვეტილებას ასლანის პოზიციიდან გამომდინარე მიიღებს. არჩევნების ბოიკოტირება ასლანის თვითმიზანი არ არის, ყველაფერი ასლანის ინტერესების ჩარჩოებში უნდა განვითარდეს. აჭარაში ასლანის საზიანო არაფერი მოხდება. ასლანის ქმედება არ გასცდება ასლანის სურვილების ფარგლებს და იგივეს ვითხოვთ ცენტრალური ხელისუფლებისაგან*".

სხვა სფეროშიც ვლინდება ენციკლოპედიის სარგებლიანობა. მაგალითად, მის ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ, რომ მატყუარა წვრილმანებზე უნდა გამოვიჭიროთ. ასეთ მეთოდოლოგიას მისდევდნენ და წარმატებითაც ფსიქოლოგიაში ფროიდი, კრიმინალისტიკაში კი შერლოკ ჰოლმსი. იმ მაგალითში, რომლის განხილვასაც ახლა ვაპირებთ, კაცმა რომ თქვას, არც მსხვილმანია ძალიან კარგად მოფიქრებულ-დამუშავებული, მაგრამ ჯერ კიდევ არაბი ასტრონომები გვასწავლიდნენ, მკრთალ ვარსკვლავებს თვალის კიდით უნდა დააკვირდეთო. ჩვენი რა მიდის? — მივყვეთ მათ რჩევას.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ოღონდ ჯერ ერთი ბრალდება გავიხსენოთ, რომელსაც ხშირად უყენებდნენ რევოლუციის წინა დღეებში ოპოზიციის ლიდერებს: ისინი სკამებისთვის იბრძვიანო. ასეთი ბრალდება მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი, რადგან, მაგალითად, ამერიკაში ადამიანის სწრაფვა წარმატებისკენ და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციისკენ სულაც არაა დასაძრახი. უბრალოდ, იქ კარიერა და საყოველთაო სარგებლიანობა ერთმანეთს შეხამებულია. ადამიანი თავის წარმატებას იმაში ხედავს, რომ მაქსიმალური პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე და მაქსიმალურად გაამართლოს ის. ამასაც ჩვენი ენციკლოპედიის რომელიღაც გვერდზე ვკითხულობთ და ახლა სრულიად მზად ვართ, რომ გავაანალიზოთ **იგორ გიორგაძის** საკონსულტაციო გუნდის მიერ მოხსენებული შედეგები (23 დეკემბერი, **გიორგი ასანიშვილი**, *ისევე, როგორც "თორმეტ სკამში"*). ამ საკონსულტაციო ჯგუფს თურმე უიტმენის სტრატეგიული კვლევების ამერიკული ორგანიზაცია წარმოადგენს. მათი დასკვნით, "**იგორ გიორგაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება რომ მისცემოდა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მას დაუჭერდა მხარს.**" კეთილი და პატიოსანი, ტყუილი უკვე აქ ჩანს, მაგრამ სადღაც მაინც გეთანალრება გული: სხვა თუ არაფერი, ამერიკელები არიან. იქნებ ტყუიან, მაგრამ ვაითუ ცბიერი პროპაგანდისტული ხრიკი იყოს აქ და ამ განცხადებას რაიმე სასწაული მოჰყვეს. მით უმეტეს, რომ "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრეზენტაციას ქართული პოლიტიკის ყოფილი პითია, **ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც** ესწრებოდა.

თუმცა, როგორც გიორგი ასანიშვილმა მოგვახსენა, პითია მდუმარედ ადევნებდა თვალს ყოველივეს. ისიც კი მიხვდა, რომ, შესაძლოა, არც ამერიკელები ყოფილიყვნენ ნამდვილი. მარტო ის რად ღირს, რაც განაცხადეს: იგორ გიორგაძეს თურმე "**4 იანვრის არჩევნებში მონაწილეობა... პრეზიდენტობის მოსაპოვებლად კი არ სურს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის გაერთიანების ხელშეწყობისა და ქართული ღირებულებების დასაცავად**". არა, ბატონო, ამერიკელი ამას ვერ იტყოდა. ასეთი რამ თავში არ მოუვიდოდა, რადგან მისი ბუნებრივი პოზიციისა და მსოფლაღქმის თანახმად, ეს უბრალოდ აბსურდია! თვით შემთხვევამ კი ერთი ჩემი ნაცნობი მოსკოველი პროგრამისტის ამბავი მომაგონა. მასთან თურმე აზერბაიჯანელი ასპირანტი მოვიდა, ორასი მანეთი და ქაღალდის ფურცელზე დაწერილი რიცხვები მოუტანა და უთხრა: "აჰა, ფული. სამაგიეროდ კი ისეთი პროგრამა დამიწერე, რომ გამომთვლელი მანქანა, ასე, ნახევარი საათის განმავლობაში ითვლიდეს, ნათურებს აციმციმებდეს და ბოლოს კი ამ ცხრილს ბეჭდავდეს. დისერტაციისთვის მჭირდება."

უიტმენის სტრატეგიული კვლევების ორგანიზაციამ რაც "შერატონში" იბოდიალა, ეს სწორედ მსგავსი ცხრილის ამობეჭდვა იყო. ასეთი რამეები ხდება ხოლმე, მაგრამ რატომ დათანხმდა ასეთი ჟღერადი სახელწოდების მქონე ინსტიტუტი ამ ავანტიურაზე? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: მის დამკვეთებს, ისევე როგორც ცოტნე ბაკურიას, ქართველი ხალხი იდიოტი ჰგონიათ.

რას იზამ, სამწუხაროდ, მრავლად მოიპოვებიან ისინიც, ვინც ასე ფიქრის უტყუარ საბაბს იძლევა. აი, თუნდაც ეს "რკინის არგუმენტი" რად ღირს (25 დეკემბერი, **გიორგი ასანიშვილი**, *სიბრძნე სიბრიყვისა*): "**როგორ შეიძლება პანტელეიმონისა და ვალიას ოჯახში აღზრდილი, ინაურისა და ანდროპოვის სკოლაგამოვლილი კაცი ტერორისტი იყოს?**" არა, ნამდვილად არ მეგონა, თუ კიდევ გავიგონებდი ამ გვარებს! მე იმის სირცხვილით ვიწვი, რომ ასეთ რაღაცეებზე მიხდება აზრის გამოთქმა, ვიღაც მოცლილი კიდევ იმას მეტყვის, განსხვავებულ აზრს დევნიო. აჰა, თვითონ მოისმინეთ ეს "განსხვავებული" აზრი: "**თუ ჩვენს ხმას არ გაიგონებენ და იგორ გიორგაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ მისცემენ, ვარდების რევოლუციის ნაცვლად, ეკლების და სისხლის რევოლუციას ვაჩვენებთ მაგათ!**" რის იმედითო? — ოთარაანთ გიორგის არ იყოს, ჩვენც გავიკვირვოთ. თუმცა დიდი ხნის ფიქრი არ დაგვჭირდება, რომ რუსეთის სპეცსამსახურები გაგვახსენდეს. ინაური კი მოკვდა, მაგრამ ინსტიტუტი ხომ ცოცხალია.

იქნებ სამშობლოს მოღალატეების დასჯა და განსხვავებული აზრის დევნა კიდევ აერიოს ვინმეს ერთმანეთში? საერთოდ, უკვე კმარა ხალხთან მხოლოდ ლექსიკონით საუბარი. ამის ნიმუშია გამოთქმა "ხელისუფლება სდევნის", რომელსაც ასე ხშირად მიმართავენ გულშემატკივარი ნათესავები და შოუ-ბიზნესის ნაცნობი წარმომადგენლები. ენციკლოპედიის ჩართვა მაშინვე ახდენს საჭირო კორექციას: "მართლმსაჯულება სდევნის". იგრძენით განსხვავება!

ეს მოწოდება სულაც არაა ზედმეტი დღევანდელ საქართველოში. ენციკლოპედიის ჩართვა ეგრეთ წოდებულ საშუალო ქართველს კი არა, ისეთ დიდ ტრადიციონალისტსაც და მამულიშვილსაც უჭირს, როგორიც აკაკი ასათიანია. აქ, სხვებმა მომიტევონ, მაგრამ კვლავ გიორგი ასანიშვილის პუბლიკაციასთან მექნება საქმე (24 დეკემბერი, *ვიდრე ჰხვალ, აკაკი?*). ასათიანი სახელმწიფო მინისტრის მიერ შემოთავაზებულმა საგადასახადო ცვლილებების კანონპროექტმა გააღიზიანა. ჯერ ვნახოთ, რა ურყევი არგუმენტებით საუბრობს ეს პოლიტიკოსი, რომლის პრინციპთა დაკონკრეტებას თავს ავარიდებ, რადგან მეშინია, რამე არ შემეშალოს:

"**თურმე რას ვერჩოდი სააკაშვილს, როდესაც ჟვანია ტროცკიზე შორს წავიდა. ესენი ცეცხლს ეთამაშებიან. ჩვენ საქმე გვაქვს ხალხთან, ვინც უკან არაფერზე დაიხევს. ამ ხელისუფლების ნაბიჯებს მალე მოვიმკით. ცუდად იქნება ჩვენი საქმე.**"

ლექსიკონიდან ვიცით, რომ ცეცხლთან თამაში სახიფათოა; რომ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო ხალხს, რომელიც უკან არაფერზე დაიხევს; რომ რასაც დასთეს, იმას მოიმკი; რომ ცუდია, როცა საქმე ცუდად გაქვს — უმჯობესია კარგად გქონდეს. ერთგან თითქოს ენციკლოპედიასაც აამოქმედებს ბ-ნი ასათიანი და გვეუბნება, ჟვანია ტროცკიზე შორს წავიდაო — ტროცკი, რა თქმა უნდა ცუდია. მაგრამ რას გვეუბნება ეს ყოველივე, საიდან გამომდინარეობს, რომ ხალხი, რომელიც უკან არაფერზე დაიხევს, მაინცდამაინც წინააღმდეგი აღმოჩნდება საგადასახადო ცვლილებებისა? ან სახელდობრ რა კავშირია ჟვანიასა და ტროცკის შორის, როცა ყველა ქვეყანაში და უპირველეს ყოვლისა იმ ქვეყნებში, რომელთა საზოგადოებრივ წყობას ასე ებრძოდა ბ-ნი ლევ ტროცკი, ქონების მზარდი რაოდენობა და ხარისხი მზარდ გადასახადს გულისხმობს. ნუ დაგვიწყებს აკაკი ასათიანი დეტალებზე კამათს. დეტალები არც მას მოჰყავს საჭირო დამაჯერებლობით.

აი, თუნდაც ეს რად ღირს: მიწის გადასახადის გაუქმებასთან ერთად გარდაუვალი კატასტროფა მოხდება თურმე, რადგან "**ულუკმაპუროდ დარჩენილი გლეხობა თავის პატარა ნაკვეთებს გაყიდის და ხალხი გაუბედურდება.**" მერწმუნეთ, საგადასახადო ცვლილებასა და გლეხების მიერ ნაკვეთების გაყიდვას შორის კავშირი მთლად ცალსახა არ უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ერთი სახელმწიფო პოლიტიკას გულისხმობს, მეორე კი ადამიანის პირად თავისუფალ არჩევანს. ნუთუ მართლა გამომდინარეობს შემოთავაზებული ცვლილებებიდან, რომ მცირე ნაკვეთებზე გადასახადის გაუქმებას საქართველოში ლატიფუნდიების წარმოქმნა მოჰყვება? ასეა თუ ისე, კატასტროფის ცალსახა სურათი, რომელიც აკაკი ასათიანმა იწინასწარმეტყველა, ნამდვილად საეჭვოა.

კიდევ ერთ "რკინისებურ არგუმენტაციას" ოდნავ ქვემოთ ვხედავთ: "**ვისაც სუფთად აცვია და ტალახში ამოსვრილი არ დადის, ამისთვის მათ, ალბათ, გადასახადს დააკისრებენ.**" ვიცით, ბ-ნო აკაკი, რომ "ვისაც სუფთად აცვია, ის პირველი კაცია", მაგრამ არა იმდენად, რომ მხოლოდ ეს გახდეს მისი დაბეგვრის საბაბი.

## მომავალ ორშაბათამდე!



ასეთი ვულგარიზაცია ნამდვილად არ ეკადრება ასეთი პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე ადამიანს. თუ სწორედ ასეთი პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონეს ეკადრება? — მკითხველო, ცოტა შენც აამუშავე შენი ენციკლოპედია, თორემ თავგზა ამებნა.

ყველაზე საინტერესო მაინც შემდეგ მოდის. აკაკი ასათიანი ბრძანებს: "**ფეშენებელურ სახლს ვიშენებ, მაგრამ შემიძლია დავასაბუთო, თითოეული ლარი საიდან მაქვს ნაშოვნი.**" კიდევ ერთხელ გაგიმარტავთ, ბ-ნო აკაკი: საქმე ძალიან მარტივადაა — თუ დაასაბუთებთ, გადასახადს გადაიხდით, თუ ვერ დაასაბუთებთ, ციხეში წახვალთ. გადასახადის გადახდა, საზოგადოდ, სასჯელი და რეპრესია არაა, ის საყოველთაო სიკეთესა და სარგებლობას ემსახურება, საპატიო საქმეა და ვისაც ფეშენებელური სახლი აქვს, ასეთ სახლში ცხოვრების შნოც უნდა ჰქონდეს. ამ უკანასკნელში კი გადასახადის გადახდის უნარიც იგულისხმება.

ახლა კი, ჩემო კეთილო მკითხველო, თავს აღარ შეგაწყენ — ისედაც ჯოჯოხეთია ახლა ბაზარში წასვლა და საახალწლო თვალსაზრისი. ოღონდ იმას ნუ მეტყვი, რომ წინასადღესასწაულო სტატია მხიარული და თავშესაქცევი არ გამომივიდა. ბედნიერ ახალ წელს გისურვებ შენც და შენს ოჯახს. ჩვენ კი გაისად შევხვდებით ერთმანეთს, თანაც უკვე მას შემდეგ, რაც შენ სამიშაო — უჰ, ეს რა წამომცდა, კაცო — საარჩევნო ურნასთან მიხვალ და საკუთარი კეთილი მომავლის დადგომას შეუწყობ ხელს.

კარგად იყავი!

# გაყინული დარბაზი და კომპოზიტორთა საბუღალტრო ციებ-ცხელება

## თოთხმეტსაათიანი ყრილობის შედეგები

*განსაკუთრებით მღელვარე და დაძაბული აღმოჩნდა შაბათს კომპოზიტორთა კავშირის წევრთა ყრილობა. კავშირში გაწევრიანებული კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები თოთხმეტი საათის განმავლობაში დღის წესრიგში შეტანილ ექვს საკითხს განიხილავდნენ. ბოლოს კი გათვალისწინებული იყო არჩევნები. წევრებმა კავშირის თავმჯდომარედ მეორედ, ამჯერად სამი წლით, კვლავ კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი აირჩიეს. ამგვარად, აზარაშვილმა რამდენიმე სასამართლო პროცესის შემდეგ, 42 ხმით "ბრძოლა" კავშირში მოიგო.*



*ვაჟა აზარაშვილი ისევ აირჩიეს თავმჯდომარედ*

ვერა ნეფარიძე

### გაყინული დარბაზი

"კომპოზიტორთა კავშირი" (როგორც შემოკლებით უწოდებენ "საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირს") ბოლო დროს უამრავი განხილვის თემად იქცა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კავშირში ორი დაპირისპირებული მხარე გამოიკვეთა, ხოლო მათ შორის დავამ სასამართლო დარბაზებში გადაინაცვლა. კავშირში რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ამას შაბათს დილის 11 საათიდანვე მივხვდი, როდესაც დაგეგმილ ყრილობაზე მისულს გაყინულ დარბაზში მომიხდა ყოფნა. დარბაზი, სადაც კავშირის წესდების მიხედვით, წევრთა ყრილობები ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა (შაბათს წესდებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ეს ვადა 3 წლამდე შემცირდა), ასეთი იშვიათი შემთხვევის გამოც კი ვერ გაათბეს. ამიტომაც, საკმაოდ საფუძვლიანი მეჩვენა ყრილობის დასაწყისში კავშირის წევრის, კომპოზიტორ ოთარ ტატიშვილის რეპლიკა, რომ ასეთ პირობებში ყრილობა არასრულყოფილად, უშედეგოდ ჩაივლიდა. მაგრამ, კომპოზიტორებმა სიცივეს გაუძლეს. თუმცა, დარბაზის გათბობაზე ალბათ ზედმეტია საუბარი, როდესაც კავშირის ფასადზე რამდენიმე თვის წინათ მოპარული აბრის შემცვლელიც არ ჩანს. ეს ყველაფერი რასაკვირველია, დეტალებია იმ პრობლემებთან შედარებით, რაზეც შაბათს ისაუბრეს (თუმცა შაბათსაც ვერ მოასწრეს ყველაფრის თქმა), მაგრამ მცირესაც და გაცილებით მნიშვნელოვან პრეტენზიასაც ერთადერთი პასუხი აქვს – კავშირს არ გააჩნია ფინანსები. როგორც ცნობილია, სამი წლის წინათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოიხსნა კომპოზიტორთა კავშირის დაფინანსება. კავშირი კი იჯარით გაცემული ფართის შემოსავლით ინახავს თავს.

"იყო დრო, როდესაც კომპოზიტორთა კავშირი წელიწადში 11 ათასი ლარის დოტაციას იღებდა; ახლა კი, როდესაც სახელმწიფოდან ბიუჯეტიდან საერთოდ მოგვხსნეს, 14 სახის კაბალურ ბეგარას ვიხდით. კომპოზიტორები 13 წელიწადია აღარ იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არცერთ ლარს შრომის საზღაურად. თუკი რაიმე ზომებს არ მიიღებენ, ქართული პროფესიული საკომპოზიტორო მუსიკა აღარ იარსებებს", - ამბობს კავშირის ხელმეორედ არჩეული თავმჯდომარე ვაჟა აზარაშვილი.

### არჩევნები

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი კავშირის თავმჯდომარედ ხუთი წლის წინათ აირჩიეს. უკანასკნელ წლებში კავშირის გარშემო არსებული ხმაურისა და სკანდალების ფონზე, დიდი იყო ალბათობა, რომ კავშირს ახალი თავმჯდომარე ეყოლებოდა. მაგრამ შაბათს ყრილობაზე მყოფმა 60-ზე მეტმა წევრმა (კავშირის გამგეობაში შესული რამდენიმე წერილის ავტორი წერილობით გამოხატავდა ვაჟა აზარაშვილის მიმართ მხარდაჭერას) ფარული კენჭისყრით ხმა კვლავ აზარაშვილის კანდიდატურას დაუჭირა. კავშირის წევრებმა არჩევანი სამ კანდიდატს შორის გააკეთეს. არჩევანი კი ასეთი იყო: ვაჟა აზარაშვილი, შავლეგ შილაკაძე და ფელიქს ღლონტი.

არჩევნების შედეგები კომპოზიტორთა კავშირში ღამის პირველ საათზე გახდა ცნობილი. არჩევნებამდე კი კავშირის წევრებმა დღის წესრიგში შეტანილი დანარჩენი ხუთი საკითხი განიხილეს.

### შემოქმედებითი ბუღალტერია

ყველა ყრილობა ერთნაირია: უინტერესო და მომაბეზრებელი; მნიშვნელობა არ აქვს, კომპოზიტორთა იქნება, მწერალთა თუ კომპარტიის წევრების. მაგრამ, წარმოიდგინეთ რა უნდა იყოს მუსიკათმცოდნეებისა თუ კომპოზიტორების თითქმის ერთდღიანი ბუღალტრული აღრიცხვების მოსმენა. მით უმეტეს, როდესაც თვითონვე აღიარებენ, რომ მათთვის უცნობ და გაურკვეველ საკითხებზე მსჯელობენ. რასაკვირველია, კომპოზიტორთა და მუსიკათმცოდნეთა ბუღალტერიაში გარკვევას გარკვეულწილად მოითხოვს, როდესაც კავშირის გამგეობის, შპს "მუსიკალური ფონდისა" თუ მუსიკალურ-საინფორმაციო ცენტრის ანგარიშის მოსმენა (ამ ანგარიშის წარმდგენზე აღარაფერს ვამბობ), მაგრამ, შაბათის ყრილობაზე ამ ყველაფერმა ცოტა კომიკური სახე შეიძინა.

ანგარიშების მოსმენა, როგორც ხდება ხოლმე, ცოტა მოსაბეზრებელიც იყო (რამდენადაც ის უშედეგოა), იმის მიუხედავად, რომ კავშირში არსებული "მეორე", თავმჯდომარესთან დაპირისპირებული მხარე ცდილობდა წარმოდგენილ ანგარიშში საზოგადოებისთვის ცდომილებანი ეჩვენებინა. ამგვარად, ყრილობის საკმაო ნაწილი დაეთმო კომბინატ "ჩანგის" გაყიდვას. როგორც თავმჯდომარის საპირისპირო მხარე ამტკიცებდა, კომბინატის გაყიდვის შემდეგ შემოსული თანხა ბორჯომის "კომპოზიტორთა სახლს" უნდა გადარიცხვოდა, რაც არ მოხდა. საპირისპიროს ამტკიცებდა ამ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე. ვაჟა აზარაშვილი ამბობდა, რომ თითქმის დაკარგული ბორჯომის სახლი მისი თავმჯდომარეობის პერიოდში კავშირმა უსასყიდლოდ დაიბრუნა. "ჩვენ გვრჩება მთელი შემოსავლის 47 პროცენტი. ვფიცავარ ჩემს კაცობას და ნუ დამაბრალებთ, ჩემს ჯიბეში არცერთი ლარი უკანონოდ არ მიდის", - ვაჟა აზარაშვილს საკუთარ უდანაშაულობაზე საუბარი შაბათს რამდენჯერმე მოუხდა.

მართალია, აზარაშვილის მოწინააღმდეგენი კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას სახით, ყრილობაზე საკუთარ სიმართლეს დოკუმენტაციის წარდგენით ამტკიცებდნენ, მაგრამ ამან წევრების გაღიზიანება უფრო გამოიწვია: სასამართლოა თუ კავშირის ყრილობა? სასამართლომ ხომ გადაწყვიტა სამჯერ, ჩვენ რატომ გვასმენინებთ ამას?, - ძირითადად ასეთი იყო კამათში ნუნუ გაბუნიას გამოსვლაზე დარბაზში მყოფთა უმრავლესობის რეპლიკები. როგორც ჩანს, ასეთ რეაქციას ელოდა კიდეც თავად ნუნუ გაბუნიაც, რადგანაც, როგროც დასაწყისში მან თქვა: "ბევრს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა თქვენს წინაშე გამოსვლა, რადგან ხუთი წელიწადია, ყველამ იცის, რომ კავშირში რაღაც ხდება, მაგრამ ხმას არ იღებენ". როგორც აღმოჩნდა, კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობის აზრები არ დაემთხვა ნუნუ გაბუნიასა და მის მომხრეთა მოსაზრებებს. ეს მაშინაც გამოიკვეთა, როდესაც ყრილობის მონაწილეებმა კენჭისყრით კავშირის მუშაობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დადებითად შეაფასეს.

### შედეგები

არჩევნების გარდა, ყრილობის 14 საათიანი მუშაობის ნაყოფიერ შედეგად უნდა მივიჩნიოთ კომპოზიტორთა კავშირის წესდებაში რამდენიმე ცვლილება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კავშირის გამგეობის წევრთა (24-დან 19-მდე) და კავშირის თავმჯდომარის ვადის 3 წლამდე (აქამდე თავმჯდომარეს 5 წლით ირჩევდნენ) შემცირება. სხვა, კავშირის წევრთათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა კი კომპოზიტორებმა და მუსიკათმცოდნეებმა საერთო კრებაზე არჩიეს.

# კინო მოკვდა, გაუმარჯოს ფოტოგრაფიას

## "ქოლგა" მესამედ გაიშალა

თეონა ჯაფარიძე

ფოტოგრაფია სპეციფიკური ხელოვნებაა: ერთდროულად კინოც არის და არც არის. კინოფესტივალი და ფოტოკონკურსიც შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს, მით უმეტეს, თუ მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურსთან "**ქოლგასთან**" გვაქვს თბილისში უკვე მესამედ "გაშალეს" ორგანიზატორებმა და კონკურსის რაფინირებულმა დაჯილდოების ცერემონიალმა საზოგადოების გული მოიგო. ცერემონიალი პომპეზური სულაც არ ყოფილა, უბრალოდ ვიზუალურად საინტერესო იყო და რეჟისორულად კომპიუტერული ესთეტიკით გადაწყვეტილი. თუ 22-მღერის ტუსია და ფოტოკონკურსს ციფრულ ელფერს აძლევს. აქვე გეტყვით, რომ კომპაქტ-დისკი, რომლის საკმაოდ დახვეწილი ყდის დიზაინი ელისო ჩუბინიძეს ეკუთვნის, კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა საჩუქრად.

საჩუქრები სხვაც ბევრი იყო, ამაზე ცოტა მოგვიანებით მოგახსენ-

**კოტეტიშვილ უმცროსს** გადაეცა, ნამუშევარში "ვარდები."

საუკეთესო ჟანრული ფოტოსათვის – "თეთრი ხაზი" დააჯილდოეს **თამარ ბოკუჩავა.** (მასაც "ორიფლეიმისაგან" გადაეცა 200 დოლარი და "პარნასისაგან" ალბომი კუბრიკის შემოქმედების შესახებ.

საუკეთესო პეიზაჟისთვის და-

ევტიხი ჟვანიას მიაკუთვნეს. პრიზი მის შვილიშვილს გადასცეს.

...და კიდევ, "ქოლგის" დანარჩენი ნიუანსების შესახებ:

"ქოლგას" პრიზების ავტორი დიზაინერი **კახი ერაძე** გახლავთ. კომპაქტ-დისკის გარდა გამოიცა წლევანდელი "ქოლგას" ფოტოალბომიც, (გაცნობებთ, რომ შარშან-



*მთავარი პრიზები*

საქმე, რომლის დაჯილდოების ცერემონიალი 27 დეკემბერს კინოთეატრ "ამირანში" შედგა. კინოს ასოციაცია შესაძლებელია იმიტომ ამეკვიატა, რომ დაჯილდოების ცერემონიალზე საკონკურსო ფოტონამუშევრები მაყურებელმა პირდაპირ დიდ ეკრანზე იხილა, თანაც ფოტოები, რომელიც კონკურსზე ძირითადად 2000-იანელთა თაობამ წარადგინა, მთლიანობაში საოცრად წააგავდა 60-ანი წლების ფრანგულ კინო-ხელწერას და არის მესამე მიზეზიც, რამაც კინო და ფოტოგრაფია ერთად გამახსენა: - ეს ქართული კინოა, რომელიც სამწუხაროდ მოკვდა, მაგრამ უკანასკნელი წლების ტენდენციისა და "ქოლგის" მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი ადგილი ახალმა ქართულმა ფოტოგრაფიამ დაიკავა.

ერთი სიტყვით მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურსი "ქოლგა" დან 27 დეკემბრამდე დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა საკონკურსო ნამუშევრები ქალაქის სამ გალერეაში: TMS-ში, N გალერეასა და "უნივერსში" ტრადიციულად ჩარჩოში ჩასმული და კედელზე დაკიდებული ეხილა, დაჯილდოების ცერემონიალზე ორგანიზატორებმა სპეციალურად "ქოლგასათვის" შექმნილი კომპაქტ-დისკიდან, კინოთეატრ "ამირანის" დიდ ეკრანზე გვიჩვენეს და ისე გვიამბეს "ქოლგის" ისტორია და საკონკურსო ნამუშევრებიც დაგვათვალიერებინეს. დისკი მუსიკალურად **გოგი ძოძუაშვილმა** გააფორმა. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მთელი საღამო გოგი ძოძუაშვილის ელექტრონული მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. დისკზე მის კომპოზიციაზე, "გოსლაბის" მიერ შექმნილი ვიდეოკლიპიც ვიხილეთ: - "მე გამოვალ ხაზზე" – ებთ. მანამდე კი "ქოლგას" ორგანიზატორზე – **ბესო ხაინდრავაზეც** მოგახსენებთ, რომელიც მთელი ცერემონიალის მანძილზე სცენიდან არ ჩამოსულა და "ამირანში" მისულ საზოგადოებას დაუზარლად უამბობდა "ქოლგას" ისტორიას, თითოეულ კონკურსანტსა თუ მათ ფოტოებზე. ბოლოს კი შედეგების გამოცხადების დროც დადგა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჟიურიმ (**დათო ცხადაძე, გურამ წიბახაშვილი, თეა თელია, გიკა ჭელიძე, მიშა მრევლიშვილი და დათო ჩიხლაძე**) 1400 ნამუშევრიდან 151 ფოტო შეარჩია. საბოლოოდ კი გამარჯვებულები 6 ნომინაციაში გამოვლინდნენ:

პრიზი საუკეთესო სერიისათვის (200 დოლარი "ორიფლეიმისაგან" და რენი ლიფენშტალის ფოტოალბომი "წიგნის სახლისაგან") **ტატო** ჯილდოვდა **ნიკა თაბუკაშვილი** ("ორიფლეიმმა" ისიც 200 დოლარით დააჯილდოვა).

ორგანიზატორთა პრიზით დაჯილდოვდა **ლევან ლაგაზიძე. სოფო ლაპიაშვილის** "ტრიპტიხმა" კი "ქოლგის" მთავარი პრიზი (TBC ბანკისაგან 700 ლარი და აშშ-ს საელჩოსაგან რობერტ კაპას ფოტოალბომი) მოიპოვა.

"ქოლგას" ორგანიზატორებმა და "ფოტოსამყარომ" წელს ერთი მეტად საინტერესო პრიზიც დააწესეს: ეს **ალექსანდრე როინაშვილის სახელობის** პრიზია. პრიზის ავტორი დიზაინერი **რატი ერაძე** გახლავთ (ეს ძველებურ ხის ყუთში ჩადებული უძველესი ფოტოაპარატია). როინაშვილის სახელობის პრიზი "ქოლგას" ორგანიზატორებმა მე-20-ე საუკუნის დასაწყისის უნიკალური ფოტოქრონიკის შემქმნელს – დელი ნიუ იორკის ფოტოგრაფიის ინსტიტუტში ინახება). 151-ივე მონაწილეს საჩუქრად გადაეცა "კოდაკის", "ორიფლეიმის" აქსესუარები, "ქოლგას" მაისურები, ფოტოალბომები და ის კომპაქტ-დისკები, რომლის შესახებაც ზემოთ გიამბეთ.

და ბოლოს, საჩუქრის გარეშე არც მთავარი ორგანიზატორი **ბესო ხაინდრავა** დარჩა: მან გოეთეს ინსტიტუტისაგან 1928 წელს დაბადებული გერმანელი ფოტოხელოვანის, შტეფან მოზესის ფოტოალბომი მიიღო. აქვე გაცნობებთ, რომ მიუნხენის მუზეუმმა 2002 წელს მოზესის გრანდიოზულ ფოტო-ამოფენას უმასპინძლა. მოემზადეთ ფოტომოყვარულებო, იმიტომ რომ ამ გამოფენის მცირე ნაწილს, იანვრის მეორე ნახევარში გოეთეს ინსტიტუტი თბილისში ჩამოიტანს.

# მუსიკა ნოტებში და ნოტებს მიღმა

## ნანა დიმიტრიადის არაოფიციალური შემოქმედების ოფიციალური პრეზენტაცია

მადი სერებრიაკოვა

**"მუსიკა ნოტებში კი არ არის, არამედ ნოტებს შუა"** – ეს ციტატა ცნობილმა მომღერალმა, პროფესორმა ნოდარ ანდღულაძემ ნანა დიმიტრიადის შემოქმედებაზე საუბრისას გაიხსენა. ცნობილი პიანისტის, კონცერტმაისტერის, პედაგოგის "არაოფიციალური" შემოქმედება (თავად ნანა დიმიტრიადი თავს ჯაზის შემსრულებლად არ თვლის და საკუთარ იმპროვიზაციულ ექსპერიმენტებს მხოლოდ ჰობიდ მიიჩნევს) გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში უკვე ოფიციალური სახით წარმოგვიდგინეს – ალბომის პრეზენტაციასთან ერთად, პიანისტმა კოლეგა-მეგობრებთან ერთად შესანიშნავი იმპროვიზებული კონცერტიც გამართა.

**"არ ვიცნობ მეორე პიროვნებას, რომელიც ისეთი საყოველთაო პატივისცემითა და ზღვარგადასული სიყვარულით სარგებლობდეს, როგორითაც ნანა დიმიტრიადი"** – აღნიშნა კონსერვატორიის რექტორმა მანანა დოიჯაშვილმა, რომელიც ამავე დროს დიმიტრიადის ალბომის პროდიუსერიც არის. პიანისტი მართლაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, როგორც უამრავ სტუდენტს, ისე მის კოლეგებსა და მუსიკალურ პარტნიორებს შორის. ნანა დიმიტრიადი ცნობილი დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადისა და მომღერლის ნადეჟდა ხარაძის ქალიშვილია. ბუნებრივია, რომ ასეთი მუსიკალური ტრადიციის პირობებში, თავად ქალბატონი ნანაც კლასიკურ მუსიკაზე აღიზარდა და საკუთარი საქმიანობაც ძირითადად ამ მიმართულებით წარმართა. დღეს იგი მხატვრული აკომპანიმენტის კათედრის გამგეა, მის სასცენო პარტნიორებს შორის კი შეიძლება ისეთი აღიარებული მუსიკოსები დავასახელოთ, როგორებიც მარინა იაშვილი, ნოდარ ანდღულაძე, თამარ



*ნანა დიმიტრიადი (ფორტეპიანოსთან) მეგობრებთან ერთად*

ნანა დიმიტრიადის ალბომი "და ისევ სევდა ხეივნის ბოლოს" სრულიად განსხვავდება პიანისტის ძირითადი მუსიკალური ინტერესებისგან. იგი ცნობილ მელოდიებზე, კინომუსიკასა და მიუზიკლების თემებზე შექმნილი იმპროვიზაციებისგან შედგება. ვის არ შეხვდებით აქ: ჩარლი ჩაპლინის, ნინო როტას, ალფრედ ნიუმანის, გია ყანჩელის მელოდიებს კინოფილმებიდან, ფრიმლის ოპერეტებს, ბიძინა კვერნაძის ცნობილ სიმღერებს – თუმცა გამეორებაზე ლაპარაკიც ზედმეტია - ძველი შინაარსები სრულიად ახალ ფორმას იღებენ და თავად მის ავტორებსაც აკვირვებენ სრულიად ახალი ჟღერადობით: **"პოპულარულ მელოდიებზე იმპროვიზება მისთვის ჰობია, სულიერი დასვენებისა თუ მოცალეობის ჟამს კლასიკური ნორმიდან აზრის გამოთავისუფლება, ლხენა, გატაცება, იქნებ თამაშიც** - აღნიშნავს ალბომის ჩაწერის ერთ-ერთი ინიციატორი, კონსერვატორიის პროფესორი ლამარა გოგლიჩიძე – **მაგრამ, რამდენადაც დიდი პროფესიონალები ამგვარი თავშესაქცევის დროსაც დიდ პროფესიონალებად რჩებიან, მსმენელმა სავსებით სერიოზულად მიიღო მისი საიმპროვიზაციო რეპერტუარი და ამ მშვენიერი კომპაქტ-დისკის ჩაწერაც უკარნახა."**

ეს ალბომი, ალბათ, არ იარსებებდა, რომ არა დიმიტრიადის კოლეგების, თავად მანანა დოიჯაშვილის დაჟინებული მოთხოვნა. Группа Захвата – ასე უწოდებს თავად პიანისტი მის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პროდიუსერებსა თუ მენეჯერებს. აღსანიშნავია, რომ ალბომის გარეკანი რეზო გაბრიაძის მიერაა გაფორმებული – მას ნანა დიმიტრიადის არაოფიციალური დირიჟორიც უწოდეს ხუმრობით. ალბომს ეს სენტიმენტალური სახელიც – "და ისევ სევდა ხეივნის ბოლოს" - სწორედ გაბრიაძემ დაარქვა.

გუშინდელ კონცერტზე ნანა დიმიტრიადი მარტო არ გამოსულა, მასთან ერთად წარდგნენ მისი კოლეგები და პარტნიორები – ნანა ავალიშვილი და თამარ გაბარაშვილი. კონცერტ-პრეზენტაციაზე სიტყვით მანანა დოიჯაშვილი, რევაზ თავაძე, ნოდარ ანდღულაძე, გია მაჩაბელი და პიანისტის სხვა მეგობრები გამოვიდნენ.

თავდაპირველად ალბომის პრეზენტაცია დარბაზის ფოიეში იყო დაგეგმილი, მაგრამ დასწრების იმდენი მსურველი გამოდგა, რომ ორგანიზატორებმა ღონისძიება საკონცერტო დარბაზში გადაიტანეს. პრეზენტაცია საახალწლო კონცერტების ციკლის ფარგლებში იმართებოდა. მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები, რომლებიც წელს მასში მონაწილეობენ, კონსერვატორიაში ამხელა აუდიტორიით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. ქართველ მელომანების საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნანა დიმიტრიადის კომპაქტ-დისკი ბევრად იაფია, ვიდრე მაგალითად ქართული ესტრადის ვარსკვლავების "მაღალმხატვრული შემოქმედება" (საშუალოდ ქართული წარმოების კომპაქტ-დისკი 20 ლარი ღირს, მაშინ როდესაც დიმიტრიადის ალბომის ფასი 12 ლარია), ღირსებით კი ამ უკანასკნელთ ბევრით აღემატება. ბოლოს და ბოლოს, მუსიკალურ ღირებულებას რომ თავი დავანებოთ, პოლიგრაფიული ხარისხი მაინც თვალშისაცემია.

საახალწლოდ ნანა დიმიტრიადიმაც მიიღო შესანიშნავი საჩუქარი: გუშინ, ნოდარ ანდღულაძემ პიანისტს რუსეთში გამოცემული საკუთარი წიგნის საქართველოში ჩამოტანილი პირველი ეგზემპლარი აჩუქა.

# ფოტომესიჯი მთელ საქართველოს

დალი კუპრავა

*"ნოემბრის შემდეგ უკვე აღარ ვფიქრობ საზღვარგარეთ გადაცხოვრებაზე. უკვე მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია"- ასე, ჩემი ახლობლის მსგავსად მთელი საქართველო ფიქრობს. "ვარდების რევოლუციამ" გააჩინა ის მუხტი, რომელიც ენერგიას დასაბამს აძლევს. გუშინ გალერეა TMS - ში იყო ეს მუხტი და ერთიანობის განცდაც.*

რასაც ახსნა არ სჭირდება, რაც თავისთავად საუბრობს და მსჯელობას არ ითხოვს, მუსიკა და ფოტოა.

ისინი, ვინც ნოემბრის რევოლუციურ დღეებში ფოტოკამერით შეიარაღებულნი იდგნენ ბარიკადებზე, მთელი არმიაა - პროფესიონალები და მოყვარულები. მათ თავიანთი სამოქალაქო, პატრიოტული და ისტორიული როლი შეასრულეს - აღბეჭდეს ერთ მუშტად შეკრული საქართველო.



*ფოტომესიჯი მიღებულია*

დროთა განმავლობაში ისტორია მომხდარ ფაქტებს და მოვლენებს შეაფასებს, მაგრამ რევოლუციური ფოტო უკვე შეფასებულია.

ეს პროცესი რეგიონებიდან დაიწყო. "ღია საზოგადოება-საქართველოს" მიერ დაფინანსებულმა, გაზეთ "24 საათის" პროექტმა: ფოტოგამოფენამ "გიორგობა 2003" მოიარა ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, რუსთავი. 2004 წლის იანვარში გამოფენა ოზურგეთსა და ბოლნისში გაემგზავრება.

გუშინ გალერეა TMS-ში თერთმეტმა ფოტოგრაფმა საქართველოს შემდგარი 2003 და მომავალი 2004 წელი წელი მიულოცეს.

ყველა ფოტო ხალხზეა და ხალხისაა - "ვარდების რევოლუციის" დღეების ამსახველი.

"ეს დღეები დაუვიწყარია, მაგრამ ამის შეხსენება კიდევ ერთხელ მგვრის სიამაყეს..."

"აუცილებლად უნდა ნახოს საქართველოს ყველა მოქალაქემ, რომ საკუთარი თავის რწმენა და იმედი არ გაუნელდეს...". "სად შეიძლება, რომ შევიძინო, ეს სახლში უნდა ჰქონდეს კაცს, შვილიშვილებისთვის..." ზოგიერთ დამთვალიერებელს ჟრუანტელმა დაუარა, ზოგიერთს ცრემლიც მოადგა... გუშინ გამოფენა, ნოემბრის კიდევ ერთმა უშუალო მონაწილემ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემაც დაათვალიერა.

გიორგი ცაგარელის, ლევან ხერხეულიძის, დიმა ჩიკვაიძის, ნათელა გრიგალაშვილის, გოგიტა ბუხაიძის, იური ლობოდინის, დათო მძინარიშვილის, ვახო ბესელიას, ზურაბ ბურდულის, ბესო გულაშვილის და თემო სუხიტაშვილის ფოტონამუშევრები იმ ფოტოისტორიის ნაწილია, რომელიც ნოემბერმა დააგროვა.

უახლოეს ხანებში ნოემბრის დღეების ამსახველი ყველა ფოტო საიტზე მოიყრის თავს.

საქართველოს იმ მოქალაქეებს, ვისაც ჯერ კიდევ ხელი არ მიუწვდებათ კომპიუტერზე, ხელთ ფოტოალბომი ექნებათ.

"ეს ფოტოები მთელმა საქართველომ უნდა ნახოსო" - ხომ გვითხრა ერთ ერთმა დამთვალიერებელმა ჯერ კიდევ ფოთში.

# ბრიტანელები ირჩევენ 100 საუკეთესო მიუზიკლს

ბრიტანული მეოთხე არხი სხვადასხვა სფეროში "საუკეთესო ასეულის" გამოსავლენად გამოკითხვებს ხშირად ატარებს. სულ ბოლოს ბრიტანეთის მოსახლეობას მეოთხე არხის ინტერნეტ-საიტზე ასი საუკეთესო მიუზიკლის არჩევის საშუალება ჰქონდა. ბუნებრივია, აქტიურმა ტელემაყურებელმა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შანსი ხელიდან არ გაუშვა და ყველა დროის საუკეთესო მიუზიკლების ასეული გამოავლინა. ამ შედეგებზე დაყრდნობით მეოთხე არხზე ორსერიანი ფილმიც გააკეთეს, რომლის პირველი ნაწილი 26 დეკემბერს, პარასკევს გადაიცა, მეორე კი – შაბათს.

პირველ ადგილზე, პროექტის ხელმძღვანელების გასაკვირად, ჯონ ტრავოლტასა და ოლივია ნიუტონ-ჯონის ცნობილი ფილმი Grease (1978 წელი) გავიდა. არადა, ყველას ეგონა, რომ ასეულს თავში უფრო ძველი ფავორიტები "სიმღერა წვიმაში" ანდა "მუსიკის ჰანგები" მოექცეოდა.

თუმცა, როგორც ჩანს, ბრიტანელები წინასაახალწლოდ 50-იანური სტილის დისკოთეკის განწყობაზე არიან და სხვა, მართლაც შესანიშნავ მიუზიკლებს Grease-სა და ახალგაზრდა, ტყავებში გამოწყობილი ჯონ ტრავოლტას როკ-ენ-როლს ამჯობინებენ. თანაც, არა მარტო ახლა, ასე იყო თავიდანვე – ფილმის პირველად გამოსვლისთანავე.

"1950-იანი წლების ამერიკაზე გადაღებული Grease, ფრიად ბანალური სიუჟეტით, მაგრამ კარგი მუსიკით, ბრიტანეთში 70-იანებში – პანკ-როკის ბუმის ხანაში გამოჩნდა", - წერს ბი-ბი-სი. საზოგადოებამ ის მიიღო, როგორც "სექს პისტოლსის" უვნებელი ალტერნატივა. შემდეგ უკვე მიუზიკლმა კინო-თეატრების სალაროები მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიპყრო და 340 მილიონი დოლარის მოგება მოუტანა შემქმნელებს.

მეტიც, Grease-ის საერთო მუსიკალურ ქარგას ლოგიკურად გამოეყო რამდენიმე სიმღერა (მათ შორის: You're The One That I Want, Hopelessly Devoted to You, Summer Nights...) და ჩარტების ჰიტებად იქცა. ამხელა წარმატების გამო იყო, რომ 1982 წელს ჰოლივუდში მეორე ნაწილის გადაღებაც გადაწყვიტეს, თუმცა, გადასაღებ მოედანზე ველარაფრით შეიტყუეს ვერც ჯონ ტრავოლტა და ვერც ოლივია ნიუტონ-ჯონი. სამაგიეროდ, Grease-2-ში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მიშელ პფაიფერმა, მაგრამ ფინანსურ ფონდს მისმა გამოჩენამ ნამდვილად ვერ უშველა. პირველ 96 მილიონ დოლართან შედარებით მეორე ფილმმა სულ რაღაც 6.5 მილიონი დოლარი მოიგო.

პირველმა Grease-მა კი ისე გაუძლო დროს და ისე შეაყვარა მაყურებელს თავი, რომ, როგორც ხედავთ, ბრიტანელებმა ის ასეულის პირველი ადგილის ღირსად ჩათვალეს.

რაც შეეხება საუკეთესო ათეულს, დანარჩენი ადგილები ასე გადანაწილდა: "მუსიკის ჰანგები" (1965 წ.), "ოზის ჯადოქარი" (1939 წ.), "ვესტ საიდის ისტორია" (1961 წ.), "მერი პოპინსი" (1964 წ.), "სიმღერა წვიმაში" (1952 წ.), "როკი ჰორორ ფიქჩერ შოუ" (1975 წ.), "ჩიკაგო" (2002 წ.), "ოლივერი" (1968 წ.) და "მულენ რუჟი" (2001 წ.).

ერთი სიტყვით, შესანიშნავი სიმღერებით, რომელსაც ყველა თაობა ცნობს ("ედელვაისი", "დორე-მი", I'm Just Sixteen...), საყვარელი ბავშვებითა და მომღერალი მონაზვნით, სახელად მარია – "მუსიკის ჰანგები" მეორე ადგილს დასჯერდა.

კრისტოფერ პლამერისა და ჯული ენდრიუსის მონაწილეობით ფილმი აქამდეც მრავალი ჯილდოს მფლობელი ყოფილა. 1965 წელს მიუზიკლი 11 "ოსკარზე" იყო წარდგენილი, მათგან მოიპოვა ხუთი: საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო ფილმი, საუკეთესო მონტაჟი, საუკეთესო პარტიტურა, საუკეთესო ჟღერადობა.

ჯული ენდრიუსი კი მეოთხე არხის საუკეთესო მიუზიკლების პირველ ხუთეულში მეორედაც მოხვდა, 1964 წლის "დისნეის" პოპულარული საოჯახო მიუზიკლით – "მერი პოპინსი", რომელშიც მას პარტნიორობას დიკ ვან დაიკი უწევს თავისი კოკნის აქცენტით...

როგორც თავადაც ნახეთ, პირველი ათეული საოცრად ეკლექტურია – იქ ყველაფერია ბრიტანელი მერი პოპინსიცა და თმაგაქონილი ამერიკელი თინეიჯერიც, ფრანგული მულენ რუჟიცა და მუსიკის ჰანგები ნაციზმის ფონზე და, რა თქმა უნდა, ჩიკაგოს კრიმინალური და ვესტ საიდის სასიყვარულო ამბები (შეგახსენებთ ამ მიუზიკლს ლეონარდ ბერსტეინის მუსიკა ამშვენებს). ჭრელია ფილმების გამოშვების თარიღებიც – 1939 წლიდან, როცა "ოზის ჯადოქარი" გამოვიდა 2002 წლამდე – "ოსკარის" ტრიუმფანტი ფილმის "ჩიკაგოს" პრემიერამდე.

თუმცა, რაც ყველაზე საოცარია, ბრიტანელების მოხიბვლა ახალი თაობის ამერიკელების გმირმა – ემინემმაც შეძლო, თავისი გავლილი თუ გასავლელი რვა მილით და ალბომში შესული რამდენიმე მართლაც კარგი რეპით. "რვა მილი" მეორმოცე ადგილზე გავიდა.

ისე, ნუსხის თითოეულ ათეულს რამდენიმე გლობალურად საყვარელი და აღიარებული მიუზიკლი ამშვენებს. მაგალითად ოცეულში შესული ფილმები: რვა "ოსკარით" დაჯილდოებული "კაბარე" (რომელიც წინა კვირას გაგვახსენა "რუსთავი-2"-მა) ბობ ფოსის შესანიშნავი რეჟისურითა და ლაიზა მინელით; ალან პარკერის "ბაგსი მელონი", რომელშიც ბავშვი-განსგეტერების იარაღები ტყვიების ნაცვლად კრემს ისვრიან და რომელშიც 14 წლის ჯოდი ფოსტერი მონაწილეობს; "მოჩვენება ოპერაში", "მეფე ლომი" და "ჩემი მშვენიერი ლედი" – ანუ, ოდრი ჰეპბერნი, რექს ჰარისონი და ქოვენთ გარდენის ბაზრობიდან სანაძლეოს მთავარ გმირად წაყვანილი გამყიდველი გოგონა, რომელიც მაღალი საზოგადოების ქალბატონად უნდა იქცეს.

**30-21**: ეს მონაკვეთი ენდრიუ ლოიდ ვებერს ეკუთვნის – "იესო ქრისტე სუპერვარსკვლავითა" და "კატებით". თუმცა იქვეა "დისნეიც" – "ჯუნგლების წიგნით", მადონას "ევიტა" და 1980 წლის ჰიტი – "ძმები ბლუზები", რომელშიც ჯონ ბელუში და დენ ეკროიდი თამაშობენ, ეპიზოდურ როლებში კი რეი ჩარლზი, არეტა ფრანკლინი და ჯეიმს ბრაუნიც ჩანან.

**40-31**: როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ათეულს ემინემი ხსნის. 34-ე ადგილზეა 1956 წლის ფილმი ფრენკ სინატრას მონაწილეობით, "მაღალი საზოგადოება". სხვათა შორის, ეს ბოლო ფილმია, რომელშიც გრეის კელიმ პრინცესად კურთხევამდე ითამაშა. ათეულში ასევე შედის: "მევიოლინე სახურავზე" და "შვიდი ძმის შვიდი საცოლე".

**50-41**: დისნეის ულამაზესი სანახაობა – "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" (1937 წ.) და "ჰელოოუ დოლი" (1969 წ.) ბარბრა სტრეიზანდით.

**60-51**: ეს ათეულიც ბარბრა სტრეიზანდით გრძელდება, უფრო ზუსტად კი მისი "სასაცილო გოგონათი" (1968 წ.). ამ ფილმმა სტრეიზანდს, როგორც საუკეთესო მსახიობ ქალს, "ოსკარი" მოუტანა. შემდეგ მოდის მილოშ ფორმანის "თმები" და "დისნეის" "კონკია".

**70-61**: ბეტ მიდლერის "ბოშა" და "ციხის როკი" – ელვის პრესლის ყველაზე ცნობილი ფილმი.

**80-71**: და აი, კიდევ ერთი ბობ ფოსი, ამჯერად ნახევრად ავტობიოგრაფიული და ძალზე ცნობილი მიუზიკლით "მთელი ეს ჯაზი". იქვეა "მოცეკვავე წყვდიადშიც" – ბიორკისა და ლარს ფონ ტრიერის შთამბეჭდავი ტანდემის შედეგი, ფილმი, რომელმაც კანის ფესტივალზე "ოქროს პალმის რტო" დაიმსახურა.

**90-81**: "სასაცილო სახე" საოცარი დუეტით – ოდრი ჰეპბერნითა და ფრედ ასტერით; და მერილინ მონრო 1954 წლის მიუზიკლში "შოუბიზნესს ვერც ერთი ბიზნესი შეედრება".

**100-91**: დაბოლოს, ასეულის ბოლო ათეული, რომელიც მართლაც შესანიშნავი ფილმებითაა სავსე. მათ შორის გახლავთ: კიდევ ერთი მერილინ მონრო 1960 წლის ფილმში Let's Make Love; კოპოლას 1984 წლის მიუზიკლი "კლუბი კოტონი", რომელიც მარიო პიუზოს მოთხრობებზე დაყრდნობითაა გადაღებული და წარმოგვიდგენს რიჩარდ გირს, ნიკოლას კეიჯს, დაიან ლეინსა და დიუკ ელინგტონის თანმხლებ მუსიკას; "შერბურის ქოლგები" – კეტრინ დენევით, სევდიანი ამბითა და ლამაზი მუსიკით; და ბოლოს, 91-ე ადგილზე გასული, ვუდი ალენის "ყველა ამბობს მე შენ მიყვარხარ" (1996 წ.) - ფილმი, რომელშიც ალენის უცნაურ იუმორს ტიმ როტი, ჯულია რობერტსი და ედვარდ ნორტონი წარმოგვიდგენენ.






Grease-დან "ჩიკაგომდე" – 100 საუკეთესო მიუზიკლი

# ყველას ჰქონდა ცხოვრებაში თავის ბაქო

ანა კორძაია-სამადაშვილი

მრავალი წელია, ბაქოში მივდივარ და ვერ მივდივარ. მიზეზი არასოდეს დაილია. ეს ამბავი ძალიან მიშლიდა ნერვებს. ამას ისიც დაემატა, რომ ბაქოში ყველა იყო, ცხადია, ჩემს გარდა, და ყველა ჯადოსნურ ამბებს მიყვებოდა, და მეც ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ მივდიოდი, და ასე...

ახლაც, როცა ჩემმა მეგობარმა ქეთევან კორძახიამ კვლავ ბაქოში გამგზავრება გადაწყვიტა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ წავიდოდი – მიზეზს რა დალევდა! მაგრამ ამჯერად გამიმართლა, ნავსი გატყდა, და მე ამიერიდან სულ ვილი ბაქოში, რადგან ეს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ქალაქია, რაც კი ოდესმე მინახავს, და მის "ათვისებას" ალბათ მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში ვერ მოვახერხებ. საერთოდ, საეჭვოა, რომ ოდესმე მოვახერხო, სხვა თუ არაფერი, აზერბაიჯანული არ ვიცი და ქუჩაში ჩამომდგარი ხალიჩების გამყიდვლების კომენტარები არ მეყურება. მხოლოდ ის მესმოდა, როგორ ხვდებოდნენ ქეთის: "Давно Вас не видели, ханум!"

ბაქოს შესახებ ყველამ იცის, და მეც ვიცოდი, რომ ის აზერბაიჯანის დედაქალაქია; რომ ის კასპიის ზღვის პირასაა, მაგრამ იქ ბანაობა არ შეიძლება, რადგან წყალი დაბინძურებულია; რომ ბაქოში შირვანშაჰების სასახლე დგას; რომ ბაქოს აბანოები დიდი სიამოვნებაა; რომ ბაქოში უგემრიელეს თევზს ამზადებენ და მაგარ ჩაის სვამენ. ვიცით "არშინ მალალანი" და ქალწულის კოშკი – სხვა თუ არაფერი, "ალი და ნინო" გვაქვს წაკითხული.

■ ■ ■

ბაქოს ციხე-სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – მხარე მეტისმეტად თვალშისაცემია, თორემ სხვა ქალაქებში მიმართულების დადგენა დიდი დაძაბვის შემდეგ თუ გამომდის – აღმართულია ქალწულის კოშკი. მაღალი კოშკია, უზარმაზარი კედლებით. ის რვასართულიანია და ამბობენ, რომ მასში ორასამდე ადამიანს შეეძლო თავის შეფარება – ალბათ, დიდად არ ულხინდათ, მაგრამ დატევით ნამდვილად დაეტეოდნენ. შიგნით დღის სინათლე ვიწრო სარკმელებიდან აღწევს. ძველ დროში პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიბე იხსნებოდა ხოლმე, და მტერი ზემოთ ველარ ადიოდა. კოშკში მყოფებს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეეძლოთ ალყის გაძლება, რადგან მასში ჭა არსებობს – 21 მეტრის სიღრმისა ყოფილა, სუფთა და მტკნარი წყლით სავსე.

რომანტიკული სახელწოდება, "ქალწულის კოშკი" სინამდვილეში მაინცდამაინც რომანტიკული არ ყოფილა: აღმოსავლეთში და თვით აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც უხვადაა კოშკები, რომლებსაც ქალწულისა ჰქვია – "ქალწულებრივი" ამ შემთხვევაში აუღებელს, მიდგომელს ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ბაქოს ქალწულის კოშკის შესახებ უამრავ ამბავს ჰყვებიან, მაგალითად:

ერთ შაჰს საკუთარი ქალიშვილი შეჰყვარებია და მისი ცოლად განუზრახავს. მამასთან ქორწინების პერსპექტივით დაზაფრულ გოგონას უთხოვია, ჯერ კოშკი ამიშენეო, იმედი ჰქონდა, რომ მამა დროთა განმავლობაში გონს მოეგებოდა. კოშკი ააშენეს, თანაც როგორი! მაგრამ შაჰი თავისას ადგა, და გოგონა კოშკზე ავიდა და ზღვაში გადახტა – მაშინ კასპიის ზღვის ტალღები ციხე-სიმაგრის კედლებს ეხეთქებოდა, ციხე-სიმაგრის ირგვლივ კი არაფერი ხდებოდა, მხოლოდ საქარავნო გზები იყო გადაჭიმული და აქლემები უზნეო შაჰისთვის დიდძალ სიმდიდრეს და თვალ-მარგალიტს ეზიდებოდნენ...

კაცმა არ იცის, რა ხდებოდა სინამდვილეში. საშინელი ამბავია, მაგრამ ლეგენდად კი ლამაზად ჟღერს. სინამდვილეში, დღემდე ვერავის დაუდგენია, როდის აშენდა ეს კოშკი. ზოგიერთები ამბობენ, მეთორმეტე საუკუნის ნაგებობაო – მასზე ამოკვეთილი წარწერა "მასუდ იბნ დავუდის თალი" სწორედ მეთორმეტე საუკუნითაა დათარიღებული. ერთი ისაა, რომ მეტისმეტად არააკურატულად გამოიყურება, თან შესასვლელის თავზე კი არაა გაკეთებული, როგორც წესი და რიგია, არამედ სადღაც გვერდით, საკმაოდ უმისამართოდ. ისეთი პირი უჩანს, რომ საფლავის ქვაა და არარამე სხვა.

ისიც ძნელი სათქმელია, რა საქმისთვის ააგეს ოდესღაც ქალწულის კოშკი. თურმე იმ ქვით, რომელიც მის აგებას მოხმარდა, კიდევ ერთი მთლიანი ციხე-სიმაგრის აშენება შეიძლებოდა, თან სარკმელები თუ სათოფურებიც ზღვისკენაა მიმართული, იქიდან კი ბაქოს არასოდეს არავინ ესხმოდა. არსებობს ვერსია – და მე ეს ვერსია ძალიან მომწონს – რომ ქალწულის კოშკი ცეცხლის ტაძარი იყო, ზოროასტრიტების დაჰმა, რომლის სახურავზეც ცეცხლთაყვანისმცემლები თავიანთ მიცვალებულებს ყვავ-ყორნებს უყრიდნენ საკვებად (ცეცხლთაყვანისმცემლების კვალს აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით. თუკი ქალწულის კოშკში მათი ამბავი ცოტა სათუოა, იან არდიში ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ ეს სალოცავი იქნებოდა. იქ მარადიული ცეცხლი ანთია, მიწა კარგად რომ მოჩიჩქნოთ, კიდევ ერთ კერას გააჩენთ. საერთოდ, აზერბაიჯანი სასწაულების მიწაა).

აი, ასე: ამიერკავკასიაში ზოროატრიტების ერთი წმინდა ადგილი ჩვენთანაა, თბილისში, სადაც გელა ზაუტაშვილს ჰქონდა სახელოსნო და მეზობლის ვარიები სახლობდნენ, და ერთიც – ბაქოში, ციხე-სიმაგრეში. ოღონდ ბაქოურს 2000 წლიდან იუნესკო იცავს, ჩვენსას კი – არავინ. მართალია, ჩვენი უფრო პატარაა და უშნო, მაგრამ მაინც.



ქალწულის კოშკის სახურავიდან თვალწარმტაცი ხედი იშლება: ბაქო და კასპიის ზღვა. ზემოდან კარგად ჩანს სამღებროს შიდა ეზოში გამოფენილი წითელი ქსოვილები, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, უამრავი ხალიჩა, და მედიდური შენობები, კოლონიური წარსულის გადმონაშთი. ამ შენობების ნაწილი გამჭვარტლულივითაა, ნაწილი – გაწმენდილი: ბაქოელები თავიანთ ქალაქს ძალიან უვლიან. მუეძინის მოძახილი, სალოცავად მოწოდება, აქ აუცილებლად მოგხვდებათ გულზე, განურჩევლად იმისა, რა აღმსარებლობისა ბრძანდებით, რადგან ბაქო ყველას ქალაქია.

ორიოდე საუკუნის წინ ქალწულის კოშკის სახურავზე დიდ ცეცხლს ანთებდნენ ხოლმე, რომ გემებისთვის გეზი ეჩვენებინათ. შემდეგ, როცა ქალაქი გაიზარდა, კოშკზე დანთებული ცეცხლი მის სინათლეებს შეერწყა, და შუქურა ნარგინზე გადაიტანეს, ბაქოური არქიპელაგის ერთ-ერთ უდიდეს კუნძულზე. ნარგინი სანაპიროდანაც მოჩანს, კოშკიდან ხომ – მით უმეტეს, ოღონდ მტერმა და ავისმოსურნემ აიღო ნარგინისკენ გეზი...

ჩვენ კი ქალწულის კოშკის სახურავზე ვიდექით და ვლაზღანდარობდით. მზის გულზე თბილოდა. ქეთი ნარგინის შესახებ მიყვებოდა, ბაქოურ ჭორებში მარკვევდა. მერე გალავანზე წარწერების კითხვა დავიწყეთ. მათი ნაწილი აზერბაიჯანული იყო და ბევრი ვერაფერი გავიგეთ. სამაგიეროდ, ის მაინც ზუსტად ვიცით, რომ ორი წლის წინათ, ქალწულის კოშკზე, ფარხადს და ელმირას უყვარდათ ერთმანეთი.

Фархад + Элмира = Лове
Я тебе люблю

დაუდგენელ ენაზე კი ულაპარაკიათ, მაგრამ ერთმანეთს ხომ მაინც გააგებინეს.

# "ბედის ირონია" ქვაშია უკვდავყოფილი



ცნობილი "სახლი №25, მშენებელთა მე-3 ქუჩა" ფილმიდან "ბედის ირონია, ანუ გაამოთ!" ახლა ასე ვთქვათ მატერიალურად შეასხეს ხორცი. "ჟენია ლუკაშენკოს ბინა" სინამდვილეში ვერნადსკის გამზირზე, №125 სახლში მდებარეობს. ფილმის გადაღებები სწორედ ამ სახლში მიმდინარეობდა. ამ "ისტორიული" სახლის კედელზე ახლა მემორიალური დაფა დაკიდეს, სადაც მსახიობები ანდრეი მიაგკოვი და ბარბარა ბრილსკა - ახალი წლის ნაძვის ხის, გიტარასა და შამპანიურთან ერთად არიან გამოსახულნი.

ეს ადგილი უდავოდ რაიონის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობად იქცევა. სურათი, რომელიც უკვე თითქმის 30 წლის წინათ შეიქმნა, მაშინვე სუპერ ჰიტად იქცა და დღემდე პოპულარულია. ბევრს მის გარეშე, საახალწლო დღესასწაული, უბრალოდ ვერც კი წარმოუდგენია. ახალი წლის ღამის მოახლოებასთან ერთად, ფილმს, როგორც წესი, რამდენიმე ტელევიზია უჩვენებს.

ფილმის რეჟისორი ელდარ რიაზანოვი მემორიალური დაფის გახსნას პირადად დაესწრო. მის გარდა ცერემონიალს საკმაოდ ბევრი მაყურებელი ჰყავდა. "აღფრთოვანებული ვარ იმ მაყურებლებით, რომლებიც ჩემს ფილმს ყოველ წელიწადს უყურებენ, იმის მიუხედავად, რომ თითოეული კადრი თუ რეპლიკა ზეპირად იციან. მე საშინლად მსიამოვნებს, რომ ჩემი ფილმი ჭეშმარიტად ხალხური გახდა", - აღნიშნა რეჟისორმა.

რიაზანოვმა აქვე ლეგენდარული გადაღების დეტალებზეც ისაუბრა. აღმოჩნდა, რომ "ლენინგრადის" ბინა, სადაც ჟენია ნადიას ხვდება, სინამდვილეში, იქვე ახლოს ვერნადსკის №113-ში მდებარეობს. ფაქტობრივად გადაღებების თითქმის ყველა სცენა დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეში მიმდინარეობდა.

რიაზანოვმა გადაწყვიტა მემორიალური დაფის გახსნა საზეიმოდ აღენიშნა, მაგრამ რატომღაც მან ეს სადღესასწაულო შამპანიურის ნაცვლად, უფრო ტრადიციული, ორმოც გრადუსიანი სასმელით გააკეთა, რასაც პირდაპირ სადარბაზოს კიბეებზე ბანკეტიც მოჰყვა.

ფილმის მთავარი გმირის შემსრულებელს ანდრეი მიაგკოვს რუსეთის პრეზიდენტმა სახელმწიფო ჯილდო მიანიჭა.

მოკლედ

# "ლივერპულის" 106 სახელგანთქმული ქომაგი



როზანა დევიდსონი "ლივერპულის" გულშემატკივარი აღმოჩნდა

ინგლისურმა "ლივერპულმა", თავის ვებ-გვერდზე კლუბის 106 ყველაზე ცნობილი გულშემატკივრის სია გამოაქვეყნა.

საინტერესო ის გახლავთ, რომ სიის სათავეში მის მსოფლიო 2003, ჩვენთვის კარგად ცნობილი ირლანდიელი როზანა დევიდსონია. როზანა ცნობილი მომღერლის, კრის დე ბურგის ქალიშვილია და "ლივერპულის" სიყვარულიც სწორედ მამისგან "გამოჰყვა".

მეორე ადგილს თვით რომის პაპი, იოანე მეორე იკავებს. სიის ავტორების თქმით, პაპი ყოველთვის სიმპათიებით იყო განწყობილი "ლივერპულის" მიმართ, ხოლო ამ კლუბში პოლონელი მეკარის, ერჟი დუდეკის გამოჩენის შემდეგ ინგლისური გუნდის დიდი გულშემატკივარი გახდა.

სამეულს ასრულებს ნელსონ მანდელა. ცნობილმა სამხრეთ ამერიკელმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ჯერ კიდევ 1994 წელს მიიღო საჩუქრად "ლივერპულის" მაისური, პირადად გუნდის მაშინდელი კაპიტნისაგან, ჯონ ბარნსისაგან. მანდელა ყოველთვის "ლივერპულის" გულშემატკივარი ყოფილა.

მეოთხე ადგილზეა ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი, სვენ გორან ერიქსონი. ერთ-ერთ ინტერვიუში მას წამოსცდა, რომ ინგლისში სამუშაოდ გადასვლამდე "ლივერპულს" გულშემატკივრობდა.

საკმაოდ დიდი სიურპრიზია ამ სიაში ანჯელინა ჯოლის გამოჩენა, რომელიც მეხუთე პოზიციას იკავებს. საქმე იმაშია, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავის ვაჟი, მედოქსი "ლივერპულის" შემადგენლობაში თამაშზე ოცნებობს და ანჯელინა ჯოლიც "იძულებულია", "ლივერპულს" უქომაგოს.

სიაში ასევე ფიგურირებს მსახიობ სემუელ ლ. ჯექსონის, რეპის მომღერალ დოქტორ დრეს, მელანი სის ("სპაის გერლზი"), მაიკ მაიერსის ("ოსტინ პაუერსის" როლის შემსრულებელი), მიხაელ შუმახერის, ბერტი ფოგტსის, რიო ფერდინანდის, იარი ლიტმანენის, ოლე გუნარ სოლსკიაერის და სხვათა გვარები.

# ატაცვი, აკვრა აჭარულად

დასრულდა ოთხწლიანი პაუზის შემდეგ განახლებული საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში. შეჯიბრება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში ატაცში, აკვრაში და, შესაბამისად, ორჭიდის ჯამში რამდენიმე ისეთი შედეგი დაფიქსირდა, რომელიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა იმ სტანდარტებთან, რომლებიც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებელი საგზურის - ლიცენზიის დაუფლების პერსპექტივის საფუძველს იძლევა.

"56, 62 და 85 კილოგრამ წონით კატეგორიებში მეტ-ნაკლებად კარგი შედეგები დაფიქსირდა, დანარჩენებში კი - საშუალოზე დაბალი. იმედი გვაქვს, რომ გაზაფხულამდე ბიჭები, ასე თუ ისე, მეტს შეძლებენ. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალგაზრდები არიან. ასე რომ, პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს", - ჩემპიონატის დასასრულს გვითხრა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ.

რაც შეეხება ათენის ოლიმპიურ თამაშებს და იქ გასამგზავრებელ საგზურებს, იგი აპრილში კიევში, ევროპის ჩემპიონატზე გათამაშდება.

საქართველოს ჩემპიონატში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს, საჩხერისა და აჭარის გუნდები გამოდიოდნენ. საქართველოს ჩემპიონატი შაბათს დასრულდა. გუნდური პირველი ადგილი აჭარის რეგიონის გუნდმა დაისაკუთრა; მეორეზე ქუთაისელი ძალოსნები გავიდნენ, ხოლო მესამეზე მასპინძლები - თბილისელები.

ტექნიკური შედეგები:

**85 კგ.**

1. თემურ ჩხეიძე
2. თემურ ლომჯარია
3. როლანდ ქავთარაძე

**94 კგ.**

1. გიორგი მაჭავარიანი
2. გიორგი ბეჟიტაშვილი
3. ირაკლი თურმანიძე

**105 კგ.**

1. ბესო გოგია
2. თორნიკე კოკაია
3. ზვიად ციბაძე

**105+**

1. ნუგზარ ხუზაურაშვილი
2. ლევან მამისაშვილი
3. გიორგი თურმანიძე

TV-სპორტი

## ორშაბათი. 29 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

09:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
09:30 NBA TV – NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ინგლისის ჩემპიონატი. "მიდლსბრო" – "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:00 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. არგენტინა – კოლუმბია
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "დინამო" (უკრაინა) – "ინტერი" (იტალია)
18:55 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები. ფინალი. ბრაზილია – ესპანეთი
20:55 თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:10 ყველა დროის მატჩები. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ინგლისი – გერმანია
00:10 ჩვენები ჩემპიონთა ლიგაში. 1998-1999 წლების სეზონი. "სპარტაკი" – "რეალი"
01:55 01:55-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. DETROIT PISTONS - NEW ORLEANS HORNETS. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:10, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი
14:40 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
15:10 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ფინეთში. რუსეთი – შვედეთი
17:25 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
18:00 "NHL - პლიუსი"
18:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი ფინეთში. ნაწილი პირველი
18:50 "რკინის ფაქტორი". მის ოლიმპია 2003
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში. ინგლისი. დღე მე-6
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 "NHL - პლიუსი"
00:15 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:45 "რკინის ფაქტორი". მის ოლიმპია 2003
03:15 03:15-დან 06:00-მდე შესვენება
06:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. COLORADO AVALANCHE - VANCOUVER CANUCKS. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი იტალიაში
12:30 სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
13:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
14:30 მულტისპორტი
15:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
18:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი საფრანგეთში
20:00 მულტისპორტი
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
00:00 K-1: ლეგენდები
02:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:00 თავგადასავალი. "გალუაზის" რეიდი ყირგიზეთში.

ფეხბურთი

# "პარმას" სუპერ-მარკეტად გადაკეთება ემუქრება

## იტალიური კლუბი დაშლის პირასაა

აკა ტონია

საფეხბურთო კლუბების შემოსავლის წყაროები ხშირად განსხვავდება. "რეალისა" და "მანჩესტერის" მსგავსი განთქმული კლუბები უსაზღვრო პოპულარობის ხარჯზე დიდ მოგებებს ნახულობენ. ეს გუნდები რეგულარულად მონაწილეობენ ევრო-ტურნირებში, მათი თამაშების ტელეტრანსლაციების ხილვა ყველას სურს და, აქედან გამომდინარე, ძალიან ძვირიც ღირს. "რეალს", "მანჩესტერს" და მათნაირ გიგანტებს ისეთი ფეხბურთელები ჰყავთ, რომ მათ განუწყვეტლივ სარეკლამო რგოლებში იღებენ, ხოლო მათი მაისურები მთელ მსოფლიოში მილიონობით იყიდება. ყოველივე ამას სპონსორებიც ემატებიან და გროვდება მილიონები...

მაგრამ, ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების მეტად წარმატებული კლუბების უმრავლესობაც კი, მხოლოდ საკუთარი პოპულარობისა და კარგი თამაშის ხარჯზე ვერ იარსებებს. ასეთ შემთხვევაში, ან "აიაქსის" მსგავსი ძლიერი საბავშვო განყოფილება უნდა გაგაჩნდეს, რომელიც კლუბს ყოველწლიურად ახალ-ახალი ვარსკვლავებით"ამარაგებს", ან ძლიერი სპონსორი, ან სულაც ძლიერი მეპატრონე.

იტალიური "პარმა", უკანასკნელ წლებში მეტად წარმატებული კლუბია. 1992 წლიდან დაწყებული, რეგიონ ემილიას კლუბმა რვა დიდი ტიტულის მოპოვება შეძლო, მათ შორის - თასების მფლობელთა თასი (1993 წელს) და ორჯერ UEFA-ს თასი (1995 და 1999 წლებში). მიუხედავად ამისა, "პარმა" უკანასკნელ ხანს მეტად სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა, ახლა კი "პარმას" დაშლა ემუქრება.

რძის მწარმოებელი Parmalat-ის გაკოტრება ყველაზე დიდი დაღმასვლაა, რომელიც კი რომელიმე ევროპული კონცერნს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოდესმე განუცდია. ეს ამბავი უკანასკნელ



ტანცის იმპერია დანგრევის პირასაა

კვირას დატრიალდა - Parmalat-ი "ჩაიძირა". თანაც საფეხბურთო კლუბ "პარმას" კუთვნილი სტადიონის, "ენიო ტარდინის"-გან საკმაოდ დიდი დაშორებით. "პარმა" რომ ევროპის ოთხეულში შემავალი რძისმწარმოებელი კონცერნის საკუთრებას არ წარმოადგენდეს, Parmalat-ის დაღმასვლა კლუბის მომავალს საფრთხის ქვეშ არ დააყენებდა. ვაი რომ, "პარმა" სწორედ Parmalat-ს ეკუთვნის და ამ კომპანიაზე ძირეულად არის დამოკიდებული.

1961 წელს კალისტო ტანცი კოლეჩიოში მდებარე პატარა რძის ქარხანას ჩაუდგა სათავეში და ის ევროპაში სიდიდით მეოთხე, რძის კონცერნად აქცია. 1990 წლიდან, ტანციმ "პარმას" აქციების 98,7 პროცენტი შეიძინა და, პრაქტიკულად, კლუბის ერთპიროვნულ მეპატრონედ იქცა, ხოლო მისი ვაჟი ვიტორე გუნდის პრეზიდენტი გახდა. Parmalat-ი "საგადასახადო სამოთხეებად" წოდებულ ქვეყნებში, მსოფლიოს სახვადასხვა ოფშორულ ზონებში აწარმოებდა საქმეებს. დეკემბრის დასაწყისში კონცერნის ფინანსურ დარღვევებზე, კერძოდ კი, გადასახადების დამალვაზე დაიწყო საუბარი. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კალისტო ტანცი გუშინწინ მილანში დააპატიმრეს და "სან ვიტორეს" ციხეში ამოაყოფინეს თავი.

Parmalat-ის ვალები 13 მილიარდს შეადგენს! ვილას ახსოვს ამ დროს "პარმა". არადა, კლუბს 50 მილიონი ევროს სიდიდის დავალიანება აქვს და ეს ვალები Parmalat-ს უნდა გადაეხადა... ასე და ამრიგად, Parmalat-თან ერთად "პარმაც" ეშვება ფსკერზე.

"თუ 31 დეკემბრამდე საჭირო თანხის გარანტია ვერ მივიღეთ, ვალების გასტუმრება ფეხბურთელების გაყიდვით მოგვიწევს, - ამბობს "პარმას" გენერალური დირექტორი პატრიკ ნებიოლო, - ტანცების ოჯახი კლუბის მეპატრონეა და ისინი ყოველთვის ჩვენი სიმშვიდის უმთავრესი გარანტები იყვნენ. ცხადია, Parmalat-ის გაკოტრების შემდეგ, კლუბში მეტად დაძაბული და გაურკვეველი სიტუაციაა". მეტისმეტად საეჭვოა, რომ კონცერნი "პარმასთვის" ფინანსური გარანტების მიცემას მოახერხებს, ამიტომაც კლუბის ერთადერთი შანსი ფეხბურთელების გაყიდვაა.

ეიდეტოში ნაკატა იჯარის წესით უკვე გადავიდა "ბოლონიაში" და იანვრიდან იქ ითამაშებს. გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი ადრიანო მილანის "ინტერში" გადადის. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, მომავალი სეზონის დაწყებამდე მეკარე სებასტიან ფრეი 15 მილიონ ევროდ ლონდონის "ჩელსიში" გაიყიდება. ევროპის წამყვანი კლუბების ინტერესის სფეროში "პარმას" ახალგაზრდა ტალანტებიც მოექცნენ. ალბერტო გილარდინოთი, უკვე დიდი ხანია, "მილანი" და "იუვენტუსი" დაინტერესდნენ. ამ ფეხბურთელის საბაზრო ფასი, დაახლოებით, 18 მილიონ ევროს შეადგენს. სავარაუდოდ, 10 მილიონი "ღირს" მატეო ფერარი, რომლის გადაბირება "მილანს" და "ლაციოს" სურთ. "მილანს", თანაქალაქელ "ინტერთან" ერთად, მარკო მარკიონის გადაბირებაც სურს (12 მილიონი), დანიელე ბონერას შეძენას კი "იუვენტუსი" და "რომა" შეეცდებიან.

ნებიოლო აცხადებს: "ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რაზე მოველაპარაკებით Parmalat-ს. ამ კონცერნში გაუსტუმრებელი კრედიტები გვაქვს და ეს თანხები კლუბის საკუთრებად უნდა ვაქციოთ. Parmalat-მა ასევე 50 მილიონი ევროს დავალიანებაც უნდა გაგვისტუმროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიკვიდაციას ვერ გადავურჩებით".

"პარმა" უკანასკნელ დღემდე შეეცდება, რომ "ლიკვიდაციას" გადაურჩეს. კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს, რომ Parmalat-ისაგან დამოუკიდებელი გახდეს და სხვა ინვესტორებს დაუკავშიროს ბედი. "სხვადასხვა ბანკებს სურთ ჩვენი დახმარება. "პარმა" მეტისმეტად მნიშვნელოვანია ქალაქისათვის. როდესაც აზიაში ვიმყოფებოდით, ყველამ იცოდა "პარმა", Parmalat-ს კი არავინ იცნობდა", - ამბობს ნებიოლო.

მაგრამ თუ კლუბი ახალი წლის დადგომამდე დარჩენილ სამ დღეში ვალების გასტუმრებას ვერ შეძლებს, "პარმას" გადარჩენის გეგმა ჩაიშლება. მაშინ კი, ყველასათვის ცნობილ ამ კლუბს პატარა სუპერ-მარკეტად გადაკეთების პერსპექტივა გამოუჩნდება...

კალათბურთი

# ექსცენტრული სპრიუელი და...

## ...და NBA-ს სათამაშო დღე

სანდრო ნავერიანი

"მინესოტა თიმბერვულვზის" მოთამაშე ლატრელ სპრიუელი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ 25000 დოლარით დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ "თიმბერვულვზი"- "ნიუ-იორკ ნიქსის" შეხვედრის მსვლელობისას ლატრელ სპრიუელმა თავისი ყოფილი გუნდის წარმომადგენელი ჯეიმს დოლანი უხამსი სიტყვებით და შეძახილებით შეამკო. ამ მატჩში სპრიუელმა 31 ქულა გააკეთა; "თიმბერვულვზმა" ის შეხვედრა მოიგო. როდესაც სპრიუელი "ნიუ-იორკ ნიქსში" თამაშობდა, მაშინაც ხდებოდა ამგვარი ფაქტები. საერთოდ, ლატრელ სპრიუელი ცნობილია თავისი თავშეუკავებლობით და მთელს ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ყველაზე მოჩხუბარი კალათბურთელის სახელი აქვს განთქმული. 1999 წელს "გოლდენ სთეით უორიორზის" და "ნიუ-იორკ ნიქსის" შეხვედრის მსვლელობისას სპრიუელმა ლანძღვა დაუწყო გოლდენ სთეითელთა გულშემატკივრებს. ეს პირველი თამაში იყო მისი ყოფილი მწვრთნელის პიჯეი კარლესიმოს გუნდის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც ლატრელ სპრიუელი 1997 წლის დეკემბერში თავის მაშინდელ მწვრთნელს ახრჩობდა და, თანაგუნდელები რომ არა, საწყალი კარლესიმო საკუთარი შეგირდის ხელით მოკვდებოდა. შარშანდელი სეზონის მსვლელობისას ლატრელ სპრიუელმა ჩაატარა კონფერენცია, რომელიც მხოლოდ მას ეხებოდა და, რომელსაც არავითარი შეხება არ ჰქონია კალათბურთთან. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ბოლო მოელო მის უსაქციელობებს და აღარასოდეს გააკეთებს ისეთ რამეს, რაც მის კარიერას ხელს შეუშლის. იმ კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა და ჟურნალისტებმა ბევრიც გაიხსენეს, მაგრამ როგორც კი რაიმე ისეთს იხსენებდნენ, რაც სპრიუელს ეხებოდა, ლატრელი მაშინვე თვალების ბრიალს იწყებდა და გაბრაზებული ამბობდა, - მე არ მინდა ამის გახსენებაო. კონფერენციამ მშვიდად ჩაიარა, რაც საკმაოდ უცნაური იყო. ამ პრესკონფერენციის შემდეგ, თითქმის, ერთმა წელმა განვლო და ექსცენტრული კალათბურთელი, თითქოს, ძველებურად, მართლაც, აღარ იქცეოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ახლა ყველაფერი თავიდან დაიწყო; და ეს მის კარიერას, ალბათ, ძალიან მალე დაუსვამს წერტილს. სპრიუელის სამუდამო დისკვალიფიკაციაზე საუბარი დიდი ხნის იყო შემწყდარი, მაგრამ ახლა კულუარებში ამაზე ისევ ალაპარაკდნენ. რა მოხდება, ვნახავთ, მაგრამ თუ სპრიუელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს, მაშინ მსოფლიო კალათბურთს ნამდვილად დააკლდება ერთი ძალიან კარგი კალათბურთელი. ლატრელ სპრიუელის პრეტენზიულ და მძიმე ხასიათს ხომ მხოლოდ იმიტომ ჰპატიობდნენ, რომ ის ძალიან ძლიერი კალათბურთელია.

ახლა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მორიგ სათამაშო დღეზე ვისაუბროთ. გუშინ არც ერთი ქართველი ლეგიონერის გუნდს არ ჩაუტარებია შეხვედრა, მაგრამ იყო სხვა საინტერესო შეხვედრები - ერთ-ერთი ინდიანაპოლისში, "კონსეკო ფილდ-ჰაუსში" გაიმართა, სადაც ადგილობრივმა "ინდიანა პეისერზმა" შარშანდელ ფინალისტს "ნიუ-ჯერსი ნეთსს" უმასპინძლა. მატჩი სტუმრებმა მოიგეს. ჯეისონ კიდმა ამა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა - 16 ქულა, 14 შედეგიანი გადაცემა, 10 მოხსნა და 4 ჩაჭრა გააკეთა. ჯეისონ კიდმა მოედანზე 42 წუთი გაატარა და მთელი ამ დროის განმავლობაში გულშემატკივარი მხოლოდ მის სახელს სკანდირებდა. ეს წლევანდელ სეზონში ჯეისონ კიდის, მართლაც, ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გახლდათ. კენიონ მარტინმა და რიჩარდ ჯეფერსონმა, შესაბამისად, 23 და 20 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. მასპინძელთა შემადგენლობაში სამმა კალათბურთელმა 13-13 ქულა გააკეთა. ეს რომ საქართველოში მომხდარიყო, აუცილებლად იმას ვიტყოდით, 3 თარსი რიცხვია და ამიტომაც დამარცხდნენო, მაგრამ ოკეანის გაღმა არავის სჯერა 13 რიცხვის და შავი კატის - იქ ყველაფერს სალად უყურებენ და რაღაც სისულელეებს არ აბრალებენ თავიანთ წარუმატებლობას. როგორც უკვე გითხარით, სამმა კალათბურთელმა 13-13 ქულა გააკეთა. ესენი იყვნენ - რეჯი მილერი, ჯერმაინ ონილი და ოსტინ კროშირი. ყველაზე შედეგიანი კი ალ ჰარინგტონი გამოდგა - მან 22 ქულა და სამი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. საინტერესო იყო კიდევ ერთი შეხვედრა - "სიეტლ სუპერსონიქსი" და "მინესოტა თიმბერვულვზი" ერთმანეთს სიეტლში, "ქეი არენას" პარკეტზე დაუპირისპირდნენ. შეხვედრა მინეაპოლისელი კალათბურთელების სასარგებლოდ დასრულდა; ექსცენტრულმა სპრიუელმა კი 12 ქულის მეტი ვერ მოაგროვა. როგორც ყოველთვის, ამ მატჩშიც ყველაზე შედეგიანი თავის გუნდიდან კევინ გარნეტი იყო, მან 28 ქულა, 14 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. სემ კასელმა და ფრედ ჰოიბერგმა, შესაბამისად, 20 და 14 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. სიეტლელი კალათბურთელები ვერ იყვნენ სათანადო ფორმაში, რასაც მათი ლიდერების ცუდი მაჩვენებელიც ადასტურებს. "სუპერსონიქსის" რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ რაშარდ ლუისი და რეი ალენი. მათ, შესაბამისად, 16 და 15 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. დანარჩენ კალათბურთელებს, თითქმის, ვინც კი მოედანზე გამოვიდა, 10 ქულაზე მეტი არ მოუგროვებიათ. საბოლოო შედეგი მინეაპოლისელი კალათბურთელების სასარგებლოდ დაფიქსირდა - 86:104.

| | |
|---|---|
| **სიეტლი-მინესოტა** | **86:104** |
| **ინდიანა-ნიუ-ჯერსი** | **75:82** |
| **ატლანტა-დეტროიტი** | **84:87** |
| **ჩიკაგო-ვაშინგტონი** | **100:86** |
| **მაიამი-ნიუ-იორკი** | **80:100** |
| **დალასი-მემფისი** | **104:98** |



სპრიუელი 25 ათასი დოლარით "გაღარიბდა"

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ კლუბს მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მას მადრიდის "რეალი" მიმართავს წინადადებით. "მე არ მსურს "ჩელსიში" ვითამაშო. იტალიიდან მხოლოდ "რეალში" შემიძლია გადავიდე. თუმცა, ამ მომენტამდე მინდა, "რომასთან" ერთად ორი-სამი "სკუდეტო" მოვიგო," - განაცხადა ტოტიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პორტსმუთის" მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, რომ გუნდის წამყვანმა ნახევარმცველმა ტიმ შერვუდმა "ტოტენჰემთან" შეხვედრაში ფეხი მოიტეხა. ტიმს ფეხებში მაურიციო ტარიკო ჩაუხტა. ჯერჯერობით შერვუდს სიარულიც კი არ შეუძლია. რამდენი ხნით გამოეთიშა ნახევარმცველი ფეხბურთს, უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულის" მეკარე კრის კირკლენდი ორი თვით გამოვიდა მწყობრიდან - მან "ბოლტონთან" მატჩში ხელის თითი მოიტეხა. ახლა ძირითად შემადგენლობაში ადგილს პოლონელი ირჟი დუდეკი მიიღებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ზევერენის" ნახევარმცველი იაია ტურეს აგენტი აცხადებს, რომ კლუბი ცდილობს, ტურე დონეცკის "შახტარში" გაყიდოს. თუმცა, ბელგიური კლუბი 1,4 მილიონ გირვანქა სტერლინგს მოითხოვს, რაც, სერჟ ტრიმპონტის აზრით, ძალიან დიდი ფასია. ფეხბურთელზე, რომლის ძმა - კოლო "არსენალის" ღირსებას იცავს პრეტენზიას იტალიური "მოდენაც" აცხადებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს იტალიის წინააღმდეგ. მანამდე კი ინიაკი საესის გუნდი პერუსა და დანიას შეხვდება. იტალიის წინააღმდეგ ესპანელები სტუმრად ითამაშებენ. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გაიმართება მატჩი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტმა სანდრო როსელმა განაცხადა, რომ რობერტო ბონანოსა და დანის შეუძლიათ, ახალი კლუბი მოძებნონ. გუნდის მწვრთნელმა ფრენკ რაიკაარდმა განაცხადა, რომ შემადგენლობაში ამ ფეხბურთელთა ადგილს ვერ ხედავს. სავარაუდოდ, ორივე ფეხბურთელი კლუბს იანვარში დატოვებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა, რომ გუნდის მტკიცე ფინანსური მდგომარეობა საშუალებას იძლევა, სეზონის ბოლოს კლუბმა რამდენიმე გახმაურებული შენაძენი განახორციელოს. "სეზონის ბოლოს გაჩნდება საშუალება, ფული დავაბანდოთ და თუ მწვრთნელები გვთხოვენ, შევძლებთ, შევიძინოთ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი," - თქვა ლაპორტამ. კითხვაზე, რომელიც იანვარში კლუბის სასელექციო საქმიანობას ეხებოდა, ლაპორტამ ასე უპასუხა: "მწვრთნელთა შტაბს ახალი ფეხბურთელების შეძენა არ უთხოვია".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პორტუგალიის "ბენფიკამ" კონტრაქტი გააფორმა ბერძენ ფორვარდ პანაგიოტის ფისასთან. გუშინ ის თავის ახალ კლუბს უნდა შეერთებოდა. საბერძნეთის ნაკრების ფორვარდის კონტრაქტი "პანათინაიკოსთან" 1 იანვარს მთავრდება. "ბენფიკას" ღირსებას ის ორი წლით დაიცავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსიმ" მადრიდის "რეალს" 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა ახალგაზრდა ნახევარმცველის ხუანფრანის სანაცვლოდ. 17 წლის ფეხბურთელი იუნიორთა შემადგენლობიდან ძირითად გუნდში მხოლოდ ახლახან, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გამართული იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადაიყვანეს. "ჩელსის" სკაუტებმა ფეხბურთელის აგენტთან წინასწარი მოლაპარაკებები უკვე გამართეს. თუმცა, თვითონ ხუანფრანიო აპირებს, "რეალში" დარჩეს და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებისთვის იბრძოლოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "მარკას" ცნობით, სეზონის ბოლოს, "ჩელსი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" მზად იქნებიან მადრიდის "რეალს" პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ წაჰგვარონ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მუხლის ტრავმის გამო, "მანჩესტერ სიტის" ფორვარდი პაოლო ვანჩოპე გუნდს 2 თვით გამოაკლდა. მთავარი მწვრთნელის კევინ კიგანის თქმით, ვანჩოპე აშშ-ში გაემგზავრება, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ფეხბურთელი ამ სეზონში ოფიციალურ მატჩებიდან სულ 7 შეხვედრაში გამოჩნდა და 2 გოლი გაიტანა. 2002-2003 წლების სეზონი კი კოსტა-რიკელმა ფორვარდმა, მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო, გამოტოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური ტელევიზიის პირველი არხის ინფორმაციით, იტალიის გაკოტრების სპეციალურმა კოლეგიამ შაბათს მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა კომპანია "პარმალატს". კოლეგიის დასკვნით, კომპანია ამჟამად არ არის გადახდისუნარიანი. ვარაუდობენ, რომ ორშაბათს დაკითხავენ რძის მწარმოებელი ამ გიგანტის ყოფილ პრეზიდენტს, მის დამფუძნებელ გალტასტო ტანცისა და მის ვაჟს, რომლებიც იტალიაში უცხოეთიდან უნდა დაბრუნდნენ. გამოძიება ვარაუდობს, რომ კომპანიის ფინანსური მაქინაციები 15 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. "შეგახსენებთ, რომ "პარმალატი" "პარმას" სპონსორი იყო.

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** "ფინიქსმა" "ორლანდო "მეჯიკის" ფორვარდი დონელ ჰარვი გადაიბირა. სანაცვლოდ, "მეჯიკმა" დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო. ჰარვიმ სექტემბრიდან "ჯადოქრების" რიგებში 24 მატჩი ჩაატარა, რომლებშიც, საშუალოდ, 4 ქულას აგროვებდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ნიკოლა ესკუდემ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის "ველური ბარათი" მიიღო. იგივე ბარათი მიიღო 15 წლის ტატიანა გოლოვინამ, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** დევიდ კულტჰარდს წილად ხვდა პატივი "მაკლარენის" ახალი ბოლიდი - MP4-19 პირველს გაეყვანა ტრასაზე, რომელზეც გუნდი ახალ სეზონში დიდ იმედებს ამყარებს. ზამთრის ტესტების შემდეგ "ვერცხლის ისრების" თანამშრომლებმა შვებით ამოისუნთქეს. MP4-19 არ აღმოჩნდა მეორე "ფანტომი". "ჩვენ უპირატესობა უკვე მოვიპოვეთ - გავხდით პირველი გუნდი, რომელმაც ახალ ბოლიდთან ერთად ტესტი უკვე გაიარა, - განმარტა დევიდმა, - ეს შეუფასებელია. ამჟამად კონკურენტებს ბევრად ვჯობნით, რომლებსაც ჯერ კიდევ მოუწევთ ახალი მანქანების გამოცდა".

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "იაგუარში" პირველი სეზონი მარკ უებერსთვის არც ისე ცუდად წარიმართა. რა თქმა უნდა, ბოლიდი მას არ აძლევდა საშუალებას, მაღალი ადგილებისთვის ებრძოლა, მაგრამ პილოტი მუდმივად იმყოფებოდა ყურადღების ცენტრში კვალიფიკაციებში გამარჯვებების წყალობით. არ არის საკვირველი, რომ ჟურნალმა - "ავტოკარი," უებერს საპატიო ჯილდო - "წლის მრბოლელი" გადასცა. "თუ თქვენ ეძებთ საფრთხეს ფორმულა 1-ის აღიარებული ვარსკვლავებისთვის, ეს ახალგაზრდა ავსტრალიელი ბიჭია, - წერენ "ავტოკარის" ჟურნალისტები, - რა არაჩვეულებრივი ტალანტი უნდა გქონდეს, რომ იყო ამდენად სწრაფი ასეთ ნელ მანქანაზე".

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "აროუზ A24" არსებობს და მისტერ სტოდარტმა შეიძინა ის," - ამას წინათ განაცხადა ჯანკარლო მინარდიმ, რომელიც ამტკიცებს, რომ "მინარდი PS04" A23-ისა და A24-ის ასლი არ იქნება. ამ განცხადებამ ნეგატიური დამოკიდებულება თავად "მინარდის" ბანაკში გამოიწვია და მან გადაწყვიტა, მდგომარეობა სასწრაფოდ განემარტა. "მინარდიმ" შედარებითი ტესტი გამართა "აროუზ A23" ორ შასის შორის. როცა ჯანკარლო A24-ის ბოლიდზე საუბრობდა, მას მხედველობაში A23 ჰყავდა," - თქვა გუნდის წარმომადგენელმა. ამრიგად, ახალი PS04-ის შექმნისას გაკოტრებული "აროუზის" არავითარი დეტალები გამოყენებული არ იქნება. ამის აუცილებლობა მინარდის არ შეენიშნება. ზაფხულში პოლ სტოდარტმა A23-ის ხუთი შასი შეიძინა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ბერნი ეკლსტოუნი ფორმულა 1-ს ნაბიჯ-ნაბიჯ ექაჩება აზიური და არაბული ბაზრებისკენ. 2004 წლის აპრილში პირველად გაიმართება ბახრეინის, სექტემბერში კი ჩინეთის გრან-პრი. ამასთან, ბერნი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს. "ფორმულა 1 გლობალური სპორტია და ჩვენ მუდმივად ვეცდებით მისი გეოგრაფია გავზარდოთ, - აცხადებს ბერნი ეკლსტოუნი, - ორი ახალი გრან-პრი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევენ, გავიდეთ ბაზრებზე, რომელიც ფორმულა 1-ისთვის მანამდე ღია არასოდეს ყოფილა. ამას გარდა, ფანჯარა ბახრეინში პირველი იქნება შუა აღმოსავლეთში. უკვე ახლა სხვა ქვეყნები კარზე გვიკაკუნებენ; თუ ეს ბახრეინსა და ჩინეთს გამოუვიდათ, რატომ არ შეიძლება სხვა ქვეყნებსაც გამოუვიდეთ?"

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** ლიენცში გაიმართა მსოფლიო თასის ეტაპი სამთო-სათხილამურო სპორტში. წარმატებით იასპარეზა ავსტრიელმა ნიკოლ ჰოსპმა, რომელმაც შედეგით - 2:06,24 პირველი ადგილი მოიპოვა. მეორეზე მისი თანამემამულე რენატე გეტშლი გავიდა - 2:06,89. მესამე კი ამერიკელი კირსტენ კლარკი იყო - 2:07,17.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** 2005 წელს სამთო-სათხილამურო სპორტის პროგრამაში ახალი სახეობა - გუნდური გამოჩნდება. ასეთი გადაწყვეტილება გუშინ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო. "სუპერგიგანტურ სლალომში ორი ვაჟი და ორი ქალბატონი იასპარეზებს," - პრესკონფერენციაზე განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანფრანკო კასპერმა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის დღის ორ სასტარტო შეხვედრაში ამერიკელებმა და კანადელებმა მეტოქეები გაანადგურეს. ამერიკელებმა დაამარცხეს ავსტრია - 8:0, ხოლო კანადამ ტურნირის მასპინძელი ფინეთი - 3:0. ჩეხეთის ნაკრებმა, ასევე, დიდი ანგარიშით მოიგო უკრაინას - 8:0.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ლოს-ანჯელესის" გოლკიპერმა რომან ჩეკმანეკმა ბარძაყის ტრავმა მიიღო. მის ნაცვლად, ფარმკლუბიდან მილან გნილიჩკა გამოიძახეს. ფარმ-კლუბიდან გამოძახებულია ბრაიან მური და ჯონ ტრიპი.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ტორონტოს" ფორვარდი მიკაელ რენბერგი შვედეთში წავიდა და NHL-ის სამ მატჩს გამოტოვებს; გამგზავრების მიზეზი ოჯახური მდგომარეობაა. ბოლო სამ შეხვედრაში რენბერგმა 4 შაიბა გაიტანა და 2 შედეგიანი გადაცემა განახორციელა.

# ვისთვის - სუბიექტური, ვისთვის ობიექტური რეფერენდუმი

გიგა გურასაშვილი

ესა თუ ის ფედერაცია, თუ ოგანიზაცია საკუთარ რჩეულებს ავლენს, მაგრამ მთავარი ისაა, ვის დაასახელებენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ სპორტული ჟურნალისტები. ამ შემთხვევაში ჩვენ - სპორტული ჟურნალისტები არ შემოვიფარგლებით რაღაც განსაზღვრული ჩარჩოებით. ჩვენ ვამბობთ და ვაფიქსირებთ იმას, რაც ჩვენ მიგვაჩნია მართებულად. შესაძლოა, ვინმეს ეს სუბიექტურად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენთვის ის ობიექტურადაა არჩეული. რეფერენდუმები მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, მასში რამდენიმე ათეული ჩვენი კოლეგა მონაწილეობს და ყველას საკუთარი შეხედულება აქვს. ეს შესავალი კი იმითის დაგვჭირდა, რომ გუშინდელ წვეულებაზე სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში," საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული რეფერენდუმით, 10 საუკეთესო სპორტსმენი და გუნდი გამოვლინდა. გუშინდელი თავშეყრის მიზეზი 2003 წლის შედეგები და მათ შემოქმედთა დაფასება გახლდათ. გაიმართა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალიც, რომელსაც "სალხინოს" დარბაზი მასპინძლობდა.

მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა თავიდანვე აღნიშნა, - მიმდინარე წელი უხვმოსავლიანი იყო, რამაც რეფერენდუმი გაართულაო, - და იქვე დასძინა, რომ ამგვარი გამოკითხვები სიმბოლურ ხასიათს ატარებს, თუმცა კი "განაჩენი" სამართლიანიაო. წვეულებას ყველასთვის კარგად ნაცნობი მსახიობი ჯემალ მონიავა უძღვებოდა, რომელმაც კულმინაციის მისაღწევად სპოტსმენთა ათვლა თუ ჩამოთვლა ბოლოდან დაიწყო. ჩვენც აღვნიშნავთ, თუ ვინ დასახელდა წლის საუკეთესო სპორტსმენად. ასეთია ევროპის ოთხგზის ჩემპიონი და ვიცე ჩემპიონი, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ისევე როგორც შარშან, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე! კურტანიძე ერთადერთია, რომელიც გამოკითხულთა შორის (ასეთი კი 60 გახლდათ) საუკეთესოთა შორის უკლებლივ ყველამ დაასახელა (31 პირველი ადგილი, 14 – მეორე, 9 – მესამე, 2 – მეოთხე, 1 – მეხუთე, 3 – მერვე) და, შესაბამისად, მაქსიმალური 600 შესაძლებელი ქულიდან 537 ხმა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ მსოფლიოს ჩემპიონ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მანუჩარ კვირკველიას 44 ქულით გაუსწრო. მესამე ადგილზე დასახელდა საქართველოს ნაკრებისა და იტალიური "მილანის" ფეხბურთელი კახა კალაძე (356 ქულა).



"წლის საუკეთესო გუნდს" მის საქართველოც უმშვენებდა გვერდს.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმის მონაწილეებს არ დავიწყებიათ მოჭადრაკეთა წლევანდელი, მართლაც, კარგი შედეგები. საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრებმა ევროპის გუნდურ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, რაც ქართული საჭადრაკო სკოლისთვის უდავოდ ბრწყინვალე შედეგია, ისევე, როგორც ზურაბ აზმაიფარაშვილის მიერ კონტინენტის უპირველესი მოჭადრაკის ტიტულის დაუფლება, მაგრამ, როგორც თავში ვთქვით, თუ ვინ იმსახურებს წლის საუკეთესო სპორტსმენის სახელს, ჟურნალისტები წყვეტენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მას შემდეგ, რაც აზმაიფარაშვილს სცენაზე უხმეს, როგორც რეფერენდუმში მეხუთე პოზიციაზე (257 ქულა) გასულ სპორტსმენს, დიდოსტატმა 2003 წლის მიღწევებზე საუბრის შემდეგ საჭიროდ ჩათვალა, რჩევა მოეცა: ჟურნალისტები სემინარებს საჭიროებენო. ალბათ, გულნატკენი იყო, პირველობა რომ არ ერგო. ყოველ შემთხვევაში, მისი საუბრიდან ასეთი შთაბეჭდილება შეიქმნა. ვეთანხმებით, რასაც წელს ქართულმა საჭადრაკო სკოლამ მიაღწია, მართლაც, აღნიშვნის ღირსია, მაგრამ თავზე მოხვეულიც ხომ არაფერი ვარგა?!

2003 წლის საუკეთესო გუნდად კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ძიუდოისტთა ნაკრები დასახელდა, რომელმაც ევროპის გუნდურ ჩემპიონატში უმთავრესი ტიტული შეინარჩუნა.

### საქართველოს 2003 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი

1. ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) – 537
2. მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – 493
3. კახა კალაძე (ფეხბურთი) – 356
4. რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – 352
5. ზურაბ აზმაიფარაშვილი (ჭადრაკი) – 257
6. ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) – 249
7. რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) – 220
8. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) – 219
